შემსწავლელის წიგნი

ქართული ენა უცხოელი შემსწავლელებისთვის

სოდსოი

B2+

ზღვრული განვითარებული
დონის გაძლიერებული საფეხური

თინათინ კილურაძე

ეკატერინე ქუთათელაძე

„აღმართი“ B2+ (ზღვრული განვითარებული დონის გაძლიერებული საფეხური) განკუთვნილია იმ შემსწავლელებისათვის, რომლებიც უკვე საფუძვლიანად ფლობენ ენის ზღვრულ განვითარებულ დონეს. ქართული ენის B2+ დონეზე დაუფლების შემდეგ შემსწავლელს შეეძლება: ხმაურიან გარემოში სალიტერატურო ენით მიმდინარე საუბრის დაწვრილებით გაგება; იმ სატელევიზიო დოკუმენტური ფილმების, ინტერვიუების, თემატური პროგრამების, სპექტაკლებისა და მხატვრული ფილმების უმეტესების გაგება, რომელთა პერსონაჟები მეტყველებენ სალიტერატურო ენით; მხატვრული ნაწარმოებების, სამეცნიერო-პოპულარული ნაშრომების, ასევე რეკლამების, ინსტრუქციებისა და განცხადებების კითხვა; მათი შინაარსის გადმოცემა, ძირითადი თემებისა და სხვადასხვა თვალსაზრისის კომენტირება, მათ განხილვაში მონაწილეობა; ზოგად თემატიკაზე დაწერილი ვრცელი ტექსტებიდან ძირითადი შინაარსის გაგება იმ შემთხვევაშიც კი, თუ ამ ტექსტში არის იშვიათად გამოყენებადი გამოთქმები და უცნობი სიტყვები; საუბრის თავისუფლად დაწყება, გაგრძელება და დასრულება; დაწვრილებითი ინფორმაციის გადმოცემა ენობრივი დაბრკოლების გარეშე; სხვადასხვა საკითხზე გამართულ ზოგადი ხასიათის ხანგრძლივ საუბარში აქტიური მონაწილეობა; ნაცნობ თემაზე მიმდინარე არაოფიციალურ საუბრებში აქტიურად ჩართვა და საკუთარი თვალსაზრისის მკაფიოდ გამოხატვა; სხვადასხვა ტექსტის (ესეები, შეტყობინებები, რეფერატები) ნათლად და დაწვრილებით წერა, სტატიის შინაარსის ან ზოგად თემებზე დისკუსიის შესახებ მოკლე რეზიუმეს წერა; სხვადასხვა წყაროდან ინფორმაციის მოძიება და დამუშავება მისი გამოქვეყნების ან მოხსენებაში გამოყენების მიზნით.
სახელმძღვანელო შემსწავლელს აძლევს გრამატიკისა და ლექსიკის ცოდნას ისეთი მოცულობით, როგორიც საჭიროა ენობრივი უნარ-ჩვევების გამომუშავებისათვის B2+ დონის შესაბამისად და ამზადებს ენის ფლობის შემდეგ დონეზე სწავლის გასაგრძელებლად.

ავტორები: თინათინ კიღურაძე, ეკატერინე ქუთათელაძე
რედაქტორი — ნატა დავითაშვილი

ილუსტრატორ-დიზაინერი — ქეთევან ლომიშვილი
მოსასმენი დავალებები გახმოვანებულია სტუდია ანასეულის“ მიერ.

სახელმძღვანელო მომზადდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ქართულის, როგორც უცხო ენის, სწავლების პროგრამა „ირბახის“ ფარგლებში.

პროგრამის ავტორი და ხელმძღვანელი — მარიკა ოძელი

© 2017

ᲖᲠᲐᲛᲐᲢᲘᲙᲐ

ᲚᲔᲥᲡᲘᲙᲐ

ᲬᲐᲘᲙᲘᲗᲮᲔ

ᲜᲐᲮᲔ

ᲩᲐᲬᲔᲠᲔ

ᲓᲐᲐᲙᲕᲘᲠᲓᲘ

ᲛᲝᲣᲡᲛᲘᲜᲔ

ᲛᲝᲘᲨᲘᲭᲠᲔ

თავი I

თბილისური ცხოვრება ძველად და ახლა

მისაღწევი მიზნები

მოსმენა:

შემსწავლელს შეუძლია ძირითადად ყველაფერი გაიგოს სალიტერატურო ენით გადმოცემული სატელევიზიო რეპორტაჟებიდან არქიტექტურისა და ქალაქის განაშენიანების თემაზე;

შემსწავლელს შეუძლია ვრცელი სატელევიზიო რეპორტაჟიდან ამოიცნოს ძირითადი ბიოგრაფიული დეტალები; ამოიცნოს განსხვავებული ფაქტობრივი დეტალები ერთსა და იმავე საკითხთან დაკავშირებით.

კითხვა:

შემსწავლელს შეუძლია გაიგოს ძირითადად ყველაფერი ლიტერატურული ტექსტიდან; შემსწავლელს შეუძლია რთულ სალიტერატურო ტექსტში ამოიცნოს ავტორის განწყობა და დამოკიდებულება ამა თუ იმ მოვლენისა თუ საგნის მიმართ.

ლაპარაკი:

შემსწავლელს შეუძლია წარმოადგინოს ნათელი და სისტემური მონოლოგი, გამოკვეთოს საგულისხმო საკითხები და საყურადღებო დეტალები.

შეუძლია მკაფიოდ აღწეროს საკითხი ან პრობლემა, გამოთქვას ვარაუდები მიზეზებისა და შედეგების შესახებ, შეაფასოს ამა თუ იმ თემაზე დადებითი და უარყოფითი მხარეები.

წერა:

შემსწავლელს შეუძლია ჩაინიშნოს მისთვის საჭირო ინფორმაცია ვრცელი სატელევიზიო რეპორტაჟიდან და ჩანაწერების მიხედვით შეადგინოს ბიოგრაფიული ტექსტი; შეუძლია მოვლენათა თანამიმდევრობის რეზიუმირება.

შემსწავლელს შეუძლია საკუთარი გამოცდილების კარგად სტრუქტურირებული, დეტალური აღწერა, რომელშიც ჩანს აზრებსა და ტექსტის ნაწილებს შორის კავშირი.

გრამატიკა/ლექსიკა

შუალობითი კონტაქტი (-ინ).

არქიტექტურასთან და ურბანიზაციასთან დაკავშირებული ლექსიკა;

ემოციებისა და დამოკიდებულებების გამომხატველი ფრაზები.

ბლოკი **1** – ფიროსმანი

ბლოკი **2** – აბანოთუბანი

ბლოკი **3** – იტალიური ეზო

ბლოკი **4** – თბილისის არქიტექტურული მემკვიდრეობა

ბლოკი 1

ფიროსმანი

https://ka.wikipedia.org

1 **წაიკითხეთ ხელოვნების მიმდინარეობების განმარტებები და დააკვირდით ნიკო ფიროსმანის ნამუშევრებს. თქვენი აზრით, რომელ მიმდინარეობას შეიძლება მივაკუთვნოთ ნიკო ფიროსმანის შემოქმედება?**

იმპრესიონიზმი – (ფრანგ. impressionisme, Impression — შთაბეჭდილება) — მიმდინარეობა მხატვრობაში, ჩაისახა და განვითარდა საფრანგეთში.1874-1886 წლებში პარიზში შვიდი იმპრესიონისტული გამოფენა მოეწყო, რაც გახდა აკადემიზმისაგან თანამედროვე ხელოვნების გამყოფი ზღვარი. იმპრესიონიზმის ზოგადი ტენდენციაა წარმავალი შთაბეჭდილების, მოვლენათა ცვლის და არა საგანთა სტაბილური და კონცეპტუალური მხარის ასახვა.

პრიმიტივიზმი – ფერწერის სტილი, შეიქმნა XIX საუკუნეებში. გულისხმობს სურათის შეგნებულ გამარტივებას, რაც მის ფორმას ხდის პრიმიტიულს, როგორც ეს არის ბავშვის შემოქმედებაში, ან პირველყოფილი ხანის ნახატებში.

მანიერიზმი – (იტალიურად maniera – მანერა, სტილი), ასევე ცნობილია გვიანი რენესანსის სახელწოდებით, მიმდინარეობა ხელოვნებისა და ლიტერატურაში 1520-1580 წლებში.

იმ პერიოდში, როცა რენესანსულმა ხელოვნებამ უმაღლეს წერტილს მიაღწია საგნებისა და სხეულების უნაკლო გამოსახვაში, ზოგიერთი ხელოვანი უარს ამბობს პროპორციების სიზუსტეზე, ფერთა ჰარმონიაზე, დამაჯერებლობაზე და მიზნად ისახავს უფრო ემოციური და არტისტული ეფექტის მოხდენას. მანიერიზმს ახასიათებს დანაწევრებული სივრცე, ბუნდოვანი და არეული სურათი, სხეულთა დეფორმაცია, მოძრაობის გამოსახვა.

2 გადახედეთ ტექსტს და დაალაგეთ თანამიმდევრობით:

- ( ) შაბათობით ფიროსმანი სეირნობდა რუსთაველის პროსპექტზე.
- ( ) ფიროსმანმა გაყიდა თავისი სარდაფი.
- ( ) ფიროსმანმა 10 ეტლით ყვავილები გაუგზავნა მარგარიტას.
- ( ) მარგარიტამ თბილისი დატოვა.
- ( ) ფიროსმანს ღვინის სარდაფი აჩუქეს.
- ( ) ფიროსმანმა იყიდა მარგარიტას კონცერტის ბილეთი.
- ( ) ფიროსმანმა მთელი დღე ღვინის სმაში გაატარა.
- ( ) მარგარიტამ მოისურვა ფიროსმანის ნახვა იმ წამსვე.



ფიროსმანი

მდიდარს ოქრო აქვს – ჩვენ კი თვითონ ვართ ოქრო ბიჭები…
რობერტ ბერნსი

– ფიროსმანმა რომ სმას უმატა, – ჰყვება ერთი თვალებგაბრწყინებული კაცი, – მეგობარმა მხატვრებმა გადაწყვიტეს, რამე უნდა ვუშველოთ, თორემ დაიღუპებაო. ფული შეაგროვეს, ღვინის სარდაფი უყიდეს მთელი უძრავი-მოძრავით, ჩააბარეს და დაანამუსეს: ივაჭრე, თან ხატე, და თუ დალევა მოგინდეს, სხვაგან ნუ წახვალ, ისევ აქ დალიეო. ფიროსმანი ყველაფერზე დათანხმდა. ასეთი კაცი იყო – მაღალი, ხმელ-ხმელი, პირქუში, ბოხხმიანი, და მაინც დამყოლი. ბავშვს რომ ეთქვა: – არაფრის მაქნისი არა ხარ, არაფერს არ წარმოადგენ ამ ქვეყნისთვისო, – თავზე მოფერებით გადაუსვამდა ხელს, ჩაეღიმებოდა და ასე მიუგებდა: – მართალი ხარ, მეც ბევრჯერ მიფიქრია ამაზეო. მეგობარ მხატვრებთან ხომ შემოპარული კაცივით იქცეოდა. თუ რა თქმა უნდა, ჟინის ჭია არ ჰყავდა შემჯდარი.

არავინ არ იცის მისი დახლის ამბავი. სარდაფი ყოველთვის სავსე იყო მუშტრით, აურაცხელი ღვინო-არაყი ისმებოდა, სარდაფის პატრონს კი, ისევ „ხუდოჟნიკ ნიკალას“ რომ ეძახდნენ, ყოველთვის ერთი მუხლებთან გამობერილი „დიაგანალის“ შარვალი და სატინის ხალათი ეცვა, ყოველთვის დაბრეცილი ჩექმებით დადიოდა.

– ეს კია – შაბათ საღამოს, როცა სხვა დუქნების შემოსავალი ერთიათად მატულობდა, ფიროსმანი სულ არ ვაჭრობდა. მაშინ ის მხრებში მოჭმუჭნულ პიჯაკს შემოიცვამდა, ჩექმებს ვაქსით გააპრიალებინებდა, თმას დაივარცხნიდა, ულვაშებს დაიპეწავდა და გოლოვინის პროსპექტზე გავიდოდა. მიდიოდა ჯიბეებში ხელებჩაწყობილი, მძიმედ, ხველებ-ხველებით, ხან ამას დაუძახებდა სიცოცხლესა და გამარჯვებას, ხან იმას. თუ რაღაც საინტერესო რამ იყო – ქართულ თეატრში ან ოპერაში შეუხვევდა…

იმ შემოდგომას ერთი ფრანგი მოცეკვავე ქალი ჩამოვიდა, მარგარიტა ერქვა. ცეკვით ხომ ცეკვავდა, ლამაზი იყო – მთელი თბილისი გადარია. ეს გაფცქვნილი თავადები და თავქარიანი სტუდენტები უკანასკნელ ხონჯრებსაც კი აგირავებდნენ, ოღონდ იმ ქალისთვის ერთხელ მაინც მოეკრათ თვალი. თეატრის წინ ზედახორა ჰქონდათ გამართული. იყო ხორხოცი, ბილწსიტყვაობა, ჟინიანი ხვიხვინი და ათასი სხვა ოხრობა.

აბა, ფიროსმანი რაღა დღეში ჩავარდებოდა – ლამაზი რამის გულისთვის ეშმაკსაც კი რომ მიჰყიდდა სულს! ტყავი გაიძრო, ვიღაც სპეკულანტი ააშენა და პარტერის პირველ რიგში გამოიჭიმა.ზის და ელოდება.

აიხადა ფარდა. გამოჩნდა ის დედოფალასავით თვალებფოფინა მარგარიტა. დარბაზმა იქუხა, ვიღაც-ვიღაცები დასაბმელები გახდნენ. ფიროსმანი კი ზის და მარტო ის ემჩნევა, რომ წელში იმართება და სახე ებადრება თანდათან. ასე ამაღლებული, სახეგაბრწყინებული იჯდა პირველ განყოფილებაზე, ანტრაქტზე, მეორე განყოფილების დაწყებისას… მერე უცებ წამოდგა, უკან გაიყოლა უამრავი

დამცინავი თვალი და გარეთ გავარდა. თავისი ღვინის სარდაფი, მთელი უძრავ-მოძრავით, ვიღაც სომხის მიკიტანს მიაჩეჩა, სურათები იყო თუ იარაღები, ისიც ზედ მიაყოლა, აღებული ფულით მებაღეებს და საყვავილეებს ჩამოუარა, რაც კი თბილისში შემოდგომურა ყვავილები იყო, მთლიანად იყიდა, ათი ეტლი დააზვინინა და სასტუმრო „პალას-ოტელს“ მიაყენა.

1909წ.
აქტრისა მარგარიტა

წარმოდგენის შემდეგ ბანკეტი ჰქონდათ. მარგარიტას იქ შეჰგვიანებოდა და სასტუმროში გათენებისას დაბრუნდა. ყვავილებით სავსე ეტლები სასტუმროს წინ ასე, ორ მწკრივად იდგნენ.

– მეჩვენება თუ რა არისო, – შიშით შეჩერდა მარგარიტა, მაგრამ ამ დროს ქართულ ქულაჯაში გამოწყობილი ბიჭი წარუდგა წინ, ერთი დიდი ხავერდოვანი შავი ვარდი მიართვა და თავაზიანად მოახსენა:

– ამ ვარდს და ამ ყვავილებს მხატვარი ფიროსმანი გიძღვნით თქვენო.

მარგარიტა არაერთი ევროპელი თავიგლეჯია ვაჟკაცის დარდიმანდობის მიზეზი ყოფილა, მაგრამ ასეთ რამეს მაინც პირველად ხედავდა.

– მხატვარი? თვითონ მხატვარი სად არისო.

ამაზეც უბრალოდ, თავაზიანად მოახსენეს: აქ, ჩვენთან, მტკვრის პირას, ბაღია. ბაღში დიდი ხეები დგას და დიდი მთვარე იცის. ფიროსმანი ახლა იქა ზის და თქვენს სადღეგრძელოს სვამსო.

ამან მთლად გადარია მარგარიტა: წავალ და მე თვითონ ვნახავო. მაგრამ ვიღაც დარბაისელებმა უდროობა მოიმიზეზეს, ვიღაცებმა ხვალინდელი დღე შეახსენეს, თვითონაც იფიქრა – ვაითუ დაღლილ-დაქანცულს ცუდი შთაბეჭდილება დაეტოვებინა მხატვარზე, რომელიც უთუოდ დიდი გემოვნების პატრონი ჩანდა. დანაღვლიანდა, განმარტოვდა და მერე თვალცრემლიანმა იმ ქართულქულაჯიან ბიჭს თავისი სურნელოვანი სადარბაზო ბარათი გაატანა „ბატონ ფიროსმანთან“: ნაშუადღევისათვის, დიდის მოწიწებით, თავისთან იწვევდა.

ფიროსმანი ცას შესწვდა სიხარულით. ვინც კი აიარ-ჩამოიარა, ყველა სუფრაზე მიიპატიჟა, ხელადები დააჯარებინა, დამკვრელების კიდევ ერთი დასტა დაისვა და ქეიფი განაახლა.

ეს დალოცვილი სასმელი უგემურად არასოდეს არ სჩვენებია, მაგრამ იმ დღეს მთლად გაახელა. ფიალას ფიალაზე ცლიდა, ტიროდა, იცინოდა, ყველაფერი ელამაზებოდა, ყველაფრის გულში ჩახუტება უნდოდა, ყველაფერზე მტლად დადებას ეპირებოდა.

გათენდა. ამოვიდა მზე.

– გეყოფა, ნაშუადღევს სხვაგან ხარ წასასვლელიო! – რამდენჯერმე შეახსენეს მეგობრებმა, მაგრამ ფიროსმანმა ნაშუადღევამდე ვერ იმყოფინა ვერც ღვინო, ვერც იეთიმ გურჯის ლექსი და ვერც „ალავერდიიახშიოლ“...

ქეიფი, ბეგოს მეგობრები, ფიროსმანი გვიან ღამით წამოდგა. ქამარი გაისწორა, პიჯაკს მკლავი გაუყარა, საყველაწმინდო დალია, ულვაშები ხელის ზურგით გადაიპეწა და ეტლი „პალას-ოტელისაკენ“ დააძვრევინა.

იქ შემდეგი მოახსენეს:

– ქალბატონი მარგარიტა ნაშუადღევიდან ვიღაცას ელოდა, ნერვიულობდა, წუხდა, სხვა არავინ მიუღია... ხოლო ცხრა საათზე პეტერბურგს გაემგზავრა თავის თეატრთან ერთადო.

ფიროსმანმა ეტლამდე ძლივს მიათრია მოწყვეტილი ფეხები, ზედ აბობღდა, ისევ ორთაჭალისკენ დაახვევინა, იქ ბალახებზე წაიქცა, ხელადა ჩაიხუტა და გაქვავდა...

მედუდუკეებმა გუმანით იგრძნეს, რა ცეცხლიც მოსდებოდა მათ საყვარელ მხატვარს, – ვაიმე, ვაიმეო, – გააქნიეს თავები სინანულით, ერთმანეთს გადახედეს და დამწვრისა დაუკრეს:

„კარგი იყო, არ მენახე თავიდან“ და სხვ...

აი, მეგობარო, როგორ ლამაზად ავსებს თავისი დიდი მხატვრის უცნობ ბიოგრაფიას ჩვენი ჭკვიანი ხალხი. შენ, ვიცი, რასაც მეტყვი: ფიროსმანისთვის ღვინის სარდაფი არავის არ უყიდიაო, ფიროსმანს ფრანგი მარგარიტასთვის ეტლებით ყვავილები არ მიუძღვნიაო, შავი ვარდი რაღაა, ეს რაღამ მოაგონათო... რამ მოაგონათ მთლიანად ეს ამბავი – წადი და თუ ამ ქვეყანაზე თითო თლაშო არყის ფასად დახატული, ბავშვის თვალებივით მეტყველი სურათები შეგხვდეს სადმე – ამას ეს სურათები გეტყვიან მხოლოდ...

რევაზ ინანიშვილი
https://burusi.wordpress.com/2009/03/21//რევაზ-ინანიშვილი-ფიროსმ/

3 ა. როგორ ფიქრობთ, რა ფუქნცია ჰქონდა ფიროსმანის სარდაფს / დუქანს?

ბ. ამოწერეთ ფრაზები, რომლებზე დაყრდნობითაც შეიმუშავეთ თქვენი ვარაუდი:

4 რით განსხვავდებოდა ფიროსმანი სხვა დუქნების მფლობელებისგან?

ა.

ბ.

5 როგორ ფიქრობთ, როგორი ხასიათი ჰქონდა ფიროსმანს? იმუშავეთ წყვილებში და დაასაბუთეთ თქვენი მოსაზრებები ტექსტზე დაყრდნობით:

ბლოკი 2

აბანოთუბანი

1 თქვენი ქალაქის რომელ ნაწილს მიიჩნევთ ისეთ ადგილად, რომელიც აუცილებლად უნდა ნახოს ვიზიტორმა?

ქალაქის ისტორიული ნაწილი
ქალაქის ცენტრი
ქალაქის საცხოვრებელი სახლების უბნები
ქალაქის ეკონომიკური / ბიზნესცენტრი

2 ნახეთ ვიდეოჩანაწერი (1.2) და დაწერეთ:

ა. რით არის თბილისისთვის მნიშვნელოვანი აბანოთუბანი?

ბ. რატომ იყო თბილისის სტუმრებისთვის საინტერესო აბანოთუბანი მე-19 საუკუნეში?

3 გადაიკითხეთ ალექსანდრე დიუმას აბანოში ვიზიტის ამბავი და აღწერეთ, რა განწყობით მიდიოდა ავტორი აბანოში და რა განწყობით დატოვა ეს ადგილი.

ფინო მთელი დღე გვპირდებოდა, საღამოსთვის სიურპრიზს გიმზადებთო. ავდოტია როსტოპჩინას სიკვდილის ამბავმა ხასიათი დამიკარგა, მაგრამ მარტო როდი ვიყავი, თანაც ფინოს ხათრი ვერ გავუტეხე. ეტლში ჩავსხედით.

აბანოში! - თქვა მან რუსულად.

იმდენი რუსული კი ვიცოდი, რომ ეს გამეგო და გაკვირვებულმა ვკითხე:

როგორ თუ აბანოში, აბანოში რა გვინდა?

გაქვთ რამე ამის საწინააღმდეგო? - მკითხა მან.

საერთოდ აბანოს საწინააღმდეგო, რა რა უნდა მქონდეს, მაგრამ თქვენგან დიდი თავხედობაა, თუ გგონიათ, რომ აბანო ჩემთვის სიურპრიზია!

სპარსული აბანო თუ გაგიგონიათ ოდესმე?

გამიგონია.

თუ დაგიბანიათ ასეთ აბანოში?
არა.
ჰოდა, სიურპრიზიც ესაა. [...]

აბანოს ინტერიერს ბიბლიური სისადავე დაჰკრავს და მთლიანად ქვითაა მოპირკეთებული. ქვის ოთხკუთხა აბაზანებში სხვადასხვა ტემპერატურის თბილი წყალი, ან უფრო სწორად, ბუნებრივად ცხელი წყალი მოდის. ერთი წუთით თავი ფოსტის სადგურზე მეგონა. ამ აბანოს მოტრფიალენი 40 გრადუსამდე ცხელ აბაზანაში ჩადიან და შიგ მამაცურად წვებიან. შედარებით ზომიერი ტემპერატურის მოყვარულნი – 35 გრადუსიანში. დამწყებნი კი ფრთხილად და მორცხვად ჩადიან მესამე, 30-გრადუსიან აბაზანაში. შემდეგ აქედან უფრო ცხელში გადადიან, შემდეგ კი ძალიან ცხელში. ამგვარად, ისინი ტემპერატურის მომატებას ნაკლებად გრძნობენ. კავკასიის ზოგი სამკურნალო წყლის ბუნებრივი ტემპერატურა 65 გრადუსს აღწევს. ამ წყლებით რევმატიზმს მკურნალობენ. მობანავე ზეწარზე წევს და მისი ოთხივე კუთხე ოთხ კაცს ზედ აბაზანაზე 6-10 წუთს უჭირავს. 10 წუთს მხოლოდ გულმაგარი კაცი თუ გაძლებს.

ფინო უშიშრად გაემართა 40-გრადუსიანი აბაზანისკენ (მე ვურჩევ სატანას, განსაკუთრებული ქვაბი მოამზადოს იმ დღისთვის, როცა საფრანგეთის ელჩს ჯოჯოხეთში მიიღებს). თავად კი გაუბედავად გავწიე 30-გრადუსიანი აბაზანისკენ და შიგ ფრთხილად ჩავედი. შემდეგ აქედან უფრო გაბედულად გადავედი ჯერ 35-გრადუსიან, შემდეგ 40-გრადუსიანში. ბოლოს მექისეებთან აღმოვჩნდი. სწორედ მაშინ ჩამიგდეს ხელში, როცა ნაკლებად ველოდი. თავის დაცვა რომ მოვინდომე, ფინომ დამიყვირა - ნუ გაუძალიანდებით, თორემ რამეს მოგტეხენ!

ასე რომ მცოდნოდა, უფრო აქტიურად გავუწევდი წინააღმდეგობას, მაგრამ რაკი წარმოდგენა არ მქონდა, რას მიპირებდნენ, ადვილად დავნებდი. მათ ხის ტახტზე დამაწვინეს, თავქვეშ სველი ბალიში ამომიდეს და ხელ-ფეხი გამიჭიმეს. მერე სათითაოდ ხელებში მეცნენ და სახსრების მტვრევა დამიწყეს. ეს ოპერაცია მხრებიდან დაიწყო და თითებით დამთავრდა. შემდეგ ფეხებს მიადგნენ. მერე კეფაზე, ხერხემალსა და წელზე გადავიდნენ. ეს ვარჯიში, რომელსაც თითქოს სახსრების მტვრევა უნდა მოჰყოლოდა, სრულიად ბუნებრივად მიმდინარეობდა და არამცთუ უმტკივნეულო, არამედ სასიამოვნოც იყო. თუმცა ჩემი სახსრების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ, მართალია, ამგვარი გამოცდილება არ ჰქონდათ, მაინც გაუძლეს. პირსახოცივით რომ დამკეცონ და კარადის თაროზე შემომდონ, მაინც არაფერი მეტკინება-მეთქი, ვფიქრობდი. მასაჟის პირველი ეტაპი რომ დაასრულეს, მექისეებმა შემატრიალეს და ვიდრე ერთი მათგანი, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, ხელებს მიზელდა, მეორე ჩემს ზურგზე აცეკვდა, თან დროდადრო ფეხი უცურდებოდა და ტყაპუნით იატაკზე ეცემოდა.

უცნაურია, რომ ეს კაცი, რომელიც ალბათ, 120 გირვანქას მაინც იწონიდა, პეპელასავით მსუბუქი მეჩვენებოდა. ის ჩემს ზურგზე მიდი-მოდიოდა, ცოტა ხნით ჩამოდიოდა, მერე ისევ აგრძელებდა. ეს ქმნიდა შეგრძნებათა მთელ ჯაჭვს, რომელიც აუწერელ ნეტარებას მგვრიდა. ისე ვსუნთქავდი, როგორც არასდროს. დაღლილობას საერთოდ ვერ ვგრძნობდი. პირიქით, მეჩვენებოდა, რომ ენერგია მემატებოდა.

იმ წუთში სანაძლეოს დავდებდი, რომ გაშლილი ხელებით მთელ კავკასიას ავწევდი. შემდეგ მექისეები ხელისგულებს მირტყამდნენ წელზე, მხრებზე, გვერდებზე, ბარძაყებსა და წვივებზე. ერთგვარ საკრავს დავემსგავსე, რომლეზეც ისინი რაღაც არიებს უკრავდნენ და ბევრად უფრო მომწონდა, ვიდრე "ვილჰელმ ტელისა" და "რობერტ ეშმაკის" პატივსაცემი ოპერის არიები; მათ ის უპირატესობაც ჰქონდათ, რომ მალბრუკის არია ერთხელაც ვერ ვიმღერე ისე, მელოდია რომ არ ამრეოდა. ამ აბანოში კი სულ მის კილოზე ვაქნევდი თავს.

ძილში წასულ იმ ადამიანს ვგავდი, რომელმაც იცის, რომ სძინავს, და რადგანაც ეს სიამოვნებს, ყველანაირად ცდილობს, არ გამოფხიზლდეს. სამწუხაროდ, ტანის მასაჟი დამთავრდა და ახლა უკანასკნელ ეტაპზე გადავიდნენ. ესაა გასაპვნა. ერთმა მექისემ იღლიაში ამომიდო და ისე წამომსვა, როგორც არლეკინმა პიერო.

ამასობაში მეორე მექისემ მარჯვენა ხელზე ძუის თათმანი წამოიცვა და ტანზე წამისვა. მეორე კი 40-გრადუსიანი აბაზანიდან ვედროთი წყალს იღებდა და კეფასა და ზურგზე მასხამდა. უცებ მექისემ აიღო პარკი, იქიდან გამოუშვა საპნის თბილი ქაფი, რომელშიც თავიდან ფეხებამდე გავეხვიე, თვალები ოდნავ მეწვოდა, მაგრამ საპნისგან ასეთი სიამოვნება არასოდეს განმიცდია.

როგორ მოხდა, რომ პარიზში, ამ ტკბილი გრძნობების ქალაქში, ჯერაც არ არის სპარსული აბანო? ნუთუ ვერც ერთმა ვაჭარმა ვერ მოახერხა თბილისიდან ორიოდე მექისე გამოეწერა? ფილანთროპულ მიზანსაც განახორციელებდა და, რაც უფრო სარწმუნოა, დიდ მოგებას ნახავდა.

რძესავით თბილ, თეთრ, ჰაერივით მსუბუქ ქაფში გახვეული აბაზანასთან მიმიყვანეს, სადაც ისეთი გატაცებით ჩავხტი, თითქოს მასში დამხვდებოდნენ ნიმფები, ჰილასი რომ მოიტაცეს. აბაზანაში თავი ისე ვიგძენი, თითქოს ეს-ესაა გამეღვიძა და გარეშე საგნებს ერთგვარი ზიზღით შევეხე. დაახლოებით ხუთ წუთს დავრჩით აბაზანაში და შემდეგ გამოვედით.

წინა ოთახის ტახტებზე გრძელი ქათქათა ზეწრები იყო გაშლილი. ერთ წუთს თითქოს შეგვცივდა, მაგრამ ესეც სასიამოვნო იყო. ტახტებზე რომ დავწექით, ჩიბუხები ჩამოგვირიგეს. ახლა მესმის, რას ნიშნავს თამბაქოს წევა აღმოსავლეთში. აქ ბოლი სურნელოვან წყალში და ხის ღეროში გადის. ჩვენი “კაპრალი” კი თიხის ჩიბუხში მიედინება, ხოლო ალჟირიდან თუ ბელგიიდან შემოტანილი ვითომდა ჰავანის სიგარას, რომელსაც ჩვენში იმდენსვე ღეჭავენ, რამდენსაც ეწევიან, ღმერთმა შეუნდოს!

შეგვეძლო აგვერჩია ყალიონი, ჩიბუხი და ჰუკა, და ჩვენი სურვილის შესაბამისად, თურქი, სპარსელი ან ინდოელი გავმხდარიყავით. ამ საღამოს რომ არაფერი დაჰკლებოდა, ერთმა მეაბანოემ ხელში რაღაც გიტარის მსგავსი საკრავი აიღო, რომელიც ერთ ფეხზე იმგვარად ტრიალებდა, რომ ქამანდი კი არ ეძებდა სიმებს, არამედ პირიქით, და საადის ლექსების სევდიანი მელოდია დაუკრა, რომელმაც ისე ტკბილად დაგვარწია, რომ თვალები მივლულეთ. ზოგს ყალიონი, ზოგს ჩიბუხი და ჰუკა გაუვარდა ხელიდან.

თბილისში თვე-ნახევარი დავრჩი და ორ დღეში ერთხელ სპარსულ აბანოში დავდიოდი.
ალექსანდრე დიუმა, კავკასია

4 **გადაიკითხეთ ტექსტი კიდევ ერთხელ და უპასუხეთ შეკითხვებს:**

ა. ვინ არის ალექსანდრე დიუმას თანამგზავრი ფინო?

ბ. თქვენი სიტყვებით აღწერეთ ეტაპები, რომლებსაც აბანოს ვიზიტორები გაივლიდნენ:

გ. რა განსაკუთრებული თვისებები გააჩნია თბილისის ბუნებრივად ცხელ წყლებს?

დ. წყლის აბაზანის გარდა, რა პროცედურას ითვალისწინებდა აბანოში ვიზიტი?

ე. რა აზრისაა დიუმა თავის სამშობლოში, საფრანგეთში, სპარსული აბანოების არსებობის შესახებ?

5 **წაიკითხეთ ტექსტის ის ნაწილი, რომელშიც დიუმა მასაჟის პროცედურებზე ლაპარაკობს.**

ა. განმარტეთ, რას ნიშნავს შემდეგი სიტყვები:

მექისე _____

სახსრები _____

ბ. იპოვეთ ორი შედარება, რომლებსაც ავტორი იყენებს:

1) იმის აღსაწერად, რომ მექისის მიერ ჩატარებული მასაჟის შემდეგ დიუმას ენერგია მოემატა.

2) იმის აღსაწერად, რომ მექისე მოხერხებულად და მსუბუქად მოძრაობდა.

3) იმის აღსაწერად, რომ მასაჟი უმტკივნეულო აღმოჩნდა.

ბლოკი 3

იტალიური ეზო

1 **ა. დააკვირდით ფოტოებს. მათზე გამოსახულია ე.წ. „იტალიური ეზოები“. მეწყვილესთან ერთად გამოთქვით ვარაუდი:**

საიდან მოდის ეს სახელწოდება?

რა დადებითი და უარყოფითი მხარე შეიძლება ჰქონდეს ასეთ სახლში ცხოვრებას?

ბ. ნახეთ ვიდეოჩანაწერი (1.3) და გადაამოწმეთ თქვენი ვარაუდი.

2 ა. აღწერეთ იტალიური ეზოს მთავარი არქიტექტურული მახასიათებლები:

ბ. აღწერეთ ურთიერთობები, რომლებსაც იტალიური ეზოს არქიტექტურული თავისებურებები განაპირობებდა:

3 ნახეთ ვიდეოჩანაწერი (1.4) და შეავსეთ ცხრილი თბილისური ეზოს შესახებ ინფორმაციით:

ევროპული მახასიათებლები	აზიური მახასიათებლები

4 როგორ ახასიათებს თბილისური ეზოების არქიტექტურულ სტილს არქიტექტორი ნოდარ სუმბაძე (ვიდეოჩანაწერი 1.4)?

5 დაიყავით წყვილებად, გამოიყენეთ ვიდეოჩანაწერების ინფორმაცია და მოამზადეთ საინფორმაციო ტექსტი თბილისური ეზოების შესახებ.

ბლოკი 4

თბილისის არქიტექტურული მემკვიდრეობა

1 დააკვირდით თბილისის ფოტოებს. მეწყვილესთან ერთად მოიფიქრეთ:

როგორ დაახასიათებდით ამ ქალაქს?

რა აქვს მას ისეთი, რაც ინდივიდუალობას ანიჭებს?

2 ნახეთ ვიდეოჩანაწერის (1.6ა.) და გამოთქვით მოსაზრება, რას გულისხმობს გადაცემის წამყვანის მიერ მოყვანლი ციტატა – "თბილისი უიღბლო ქალაქია". ეთანხმებით თუ არა ამ მოსაზრებას და რატომ?

3 ნახეთ ვიდეოჩანაწერი (1.6) და დაწერეთ, რა მახასიათებლები აქვს თბილისსა და ნიუ-იორკს:

რა განსაზღვრავს თბილისის უნიკალურობას?
რა თავისებურებები აქვს ნიუ-იორკს?
რითი განსხვავდება ეს ორი ქალაქი ერთმანეთისგან?

ბ. გაიხსენეთ და აღწერეთ, რა თავისებურებები აქვს თქვენს ქალაქს / ქალაქს, რომელშიც გიმოგზაურიათ.

4 ვიდეოჩანაწერის (1.6) მიხედვით:

ა. რა მოსაზრება აქვს ცირა ელისაშვილს ქალაქის რესტავრირების, განახლებისა და განაშენიანების თაობაზე?

ბ. ცირა ელისაშვილის აზრით, რა პრობლემა გაჩნდა მტკვართან დაკავშირებით 1930 წლის გენერალური გეგმის განხორციელების შემდეგ?

გ. „ქალაქს აქვს ნგრევის და შენების ფაზები“, – ამბობს ცირა ელისაშვილი. როგორ ფუნქციონირებს ამ ფაზების მონაცვლეობა თბილისის შემთხვევაში?

5 დაიყავით მცირე ჯგუფებად, აირჩიეთ ქვემოთ ჩამოთვლილთაგან ერთი საკითხი და წარმოადგინეთ თქვენი მოსაზრებები ერთ-ერთი ქალაქის მაგალითზე.

- ცირა ელისაშვილის მოსაზრებები კონსერვატულ შეხედულებად უნდა ჩაითვალოს თუ ქალაქის იერსახის შენარჩუნებას ითვალისწინებს?
- უნდა არსებობდეს ქალაქი-მუზეუმები, თუ ქალაქი უნდა ვითარდებოდეს თანამედროვე მშენებლობების ხარჯზე?

თავი II

განათლების სისტემა და პრობლემები

მისაღწევი მიზნები

მოსმენა:

შემსწავლელს შეუძლია კომპლექსური შინაარსის მქონე ვიდეომოხსენების/პრეზენტაციის გაგება.

კითხვა:

შემსწავლელს შეუძლია სქემების ამოკითხვა;

შემსწავლელს შეუძლია განათლების პრობლემებზე დაწერილი სტატიების გაგება, რომელთა ავტორებიც გამოთქვამენ განსაკუთრებულ აზრს ან დგანან განსხვავებულ პოზიციაზე.

ლაპარაკი:

შემსწავლელს შეუძლია პრობლემის კრიტიკულად აღწერა და პრობლემური სიტუაციიდან გამოსვლის დადებითი და უარყოფითი მხარეების ჩამოთვლა;

შემსწავლელს შეუძლია დისკუსიის დროს არგუმენტების, ახსნა-განმარტებებისა და კომენტარების საშუალებით საკუთარი მოსაზრებების გამოთქმა, დასაბუთება და დამტკიცება; ალტერნატიული შეხედულებების შეფასება; მას ასევე შეუძლია რეაგირების მოხდენა სხვათა არგუმენტებზე.

წერა:

შეუძლია სხვადასხვა წყაროზე დაყრდნობით ინფორმაციისა და არგუმენტების სინთეზი.

გრამატიკა/ლექსიკა

- განათლებასთან დაკავშირებული ლექსიკური ერთეულები;

- დისკუსიის წარმართვისთვის საჭირო ფრაზები და ლექსიკური ერთეულები: აზრის გამოთქმა, არგუმენტის მოყვანა.

ბლოკი **1** – განათლების სისტემა საქართველოში.

ბლოკი **2** – უფასო თუ ფასიანი უმაღლესი განათლება?

ბლოკი **3** – სიღარიბის გავლენა განათლებაზე

ბლოკი **4** – მასობრივი თუ ელიტური უმაღლესი განათლება?

ბლოკი 1

განათლების სისტემა საქართველოში

1 დააკვირდით სურათს და გაარკვიეთ, საქართველოს განათლების სისტემის მიხედვით:

ა. რა საფეხურები უნდა გაიაროს ადამიანმა, რომ დაიწყოს სწავლა უნივერსიტეტში?

ბ. რა საფეხურები უნდა გაიაროს ადამიანმა, რომ დაიწყოს სწავლა პროფესიულ სასწავლებელში?


საქართველოს განათლების სისტემა
აკადემიური განათლების სვეტი
პროფესიული განათლების სვეტი
დოქტორანტურა
ინტეგრირებული სამედიცინო
ინტეგრირებული ოსტეოპათიური
მაგისტრატურა
საერთო სამაგისტრო გამოცდები
ბაკალავრიატი
შუალედური კვალიფიკაცია
გამოცდები
X-XII
საშუალო განათლება
პროფესიული განათლების მეხუთე საფეხური
პროფესიული განათლების მეოთხე საფეხური
პროფესიული განათლების მესამე საფეხური
პროფესიული განათლების მეორე საფეხური
პროფესიული განათლების პირველი საფეხური
პროფესიული ტესტირება
VII-IX
საბაზო განათლება
I-VI
დაწყებითი განათლება
სკოლამდელი განათლება

2 ტექსტის მიხედვით დაწერეთ, რა გასხვავებაა პროფესიული განათლების საფეხურებს შორის:

პროფესიული განათლება

სამართლებრივი ბაზა

პროფესიული განათლების სფეროს მარეგულირებელ ნორმებს შევხვდებით რიგ საკანონმდებლო აქტებსა და საერთაშორისო ხელშეკრულებებში, თუმცა, პროფესიული საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელების წესი და პირობები, მართვისა და დაფინანსების პრინციპები, პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებათა სტატუსი და აღნიშნულ სფეროსთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები განსაზღვრულია საქართველოს კანონში პროფესიული განათლების შესახებ.

პროფესიული განათლების სახეები და საფეხურები

მოქმედი კანონმდებლობა იცნობს პროფესიული განათლების ორ სახეს: ფორმალურსა და არაფორმალურს. ფორმალური პროფესიული განათლების მიღება ხდება პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს თეორიულ სწავლებას, სასწავლო ან/და საწარმოო პრაქტიკას და სრულდება პროფესიული განათლების შესაბამისი საფეხურის კვალიფიკაციის დამადასტურებელი პროფესიული დიპლომის გაცემით. არაფორმალურად ითვლება პროფესიული განათლება, რომელიც პირმა მიიღო პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებისაგან დამოუკიდებლად. მისი სახელმწიფო აღიარება ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და მიზნად ისახავს არაფორმალური განათლების მქონე პირის ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების შემოწმებას. არაფორმალური გზით მიღებული პროფესიული განათლების აღიარება დაუშვებელია პროფესიული განათლების IV და V საფეხურების ფარგლებში. პროფესიული განათლება მოიცავს ხუთ საფეხურს, რომლებიც განისაზღვრება სწავლის შედეგების შესაბამისად:

> I საფეხურის კვალიფიკაციის მფლობელს შესწევს თავისი მოვალეობების ერთგვაროვან სიტუაციებში მეთვალყურეობით შესრულების უნარი;

> II საფეხურის კვალიფიკაციის მფლობელს შესწევს თავისი მოვალეობების გარკვეული დამოუკიდებლობით შესრულების უნარი;

> III საფეხურის კვალიფიკაციის მფლობელს შესწევს უნარი, განსხვავებულ სიტუაციებში შეასრულოს თავისი მოვალეობები და ადეკვატურად იმოქმედოს წარმოშობილი პრობლემების გადასაწყვეტად;

> IV საფეხურის კვალიფიკაციის მფლობელს შესწევს უნარი, პროფესიული ცოდნა გამოიყენოს ცვალებად სიტუაციებში წარმოშობილი პრობლემების გადასაწყვეტად, ზედამხედველობა გაუწიოს სხვების საქმიანობას და აიღოს გარკვეული პასუხისმგებლობა შესრულებული სამუშაოს შეფასებასა და გაუმჯობესებაზე;

> V საფეხურის კვალიფიკაციის მფლობელს შესწევს უნარი, შეასრულოს ისეთი სამუშაო, რომელიც მოითხოვს სხვების სამუშაოს დაგეგმვასა და ხელმძღვანელობას, ასევე განხორციელებული სამუშაოს შეფასებასა და სრულყოფას.

წყარო: http://edu.aris.ge/news/umarlesi-ganatleba-sazrvargaret-romeli-qveyana-avirciot.htm

3 ა. დააკვირდით სქემას პირველ დავალებაში: როგორ ფიქრობთ, რა სახით არის გამოცდა სკოლისა და უმაღლესის საფეხურებს შორის?

ბ. გადახედეთ ტექსტს და დააზუსტეთ ამ გამოცდის ტიპი:

უმაღლესი განათლება

2005 წელს ბოლონიის დეკლარაციის ხელმოწერის შემდეგ, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები ვალდებულნი არიან, ბოლონიის პროცესის ძირითადი პრინციპების იმპლემენტაცია მოახდინონ, რომელთაგან „სწავლა მთელი სიცოცხლის მანძილზე“ (Lifelong Learning) და უწყვეტი განათლება (Continuing Education) ერთ-ერთი უმთავრესი და, იმავდროულად, საერთო ევროპულ საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრაციის მთავარი პირობაა.

2005-2006 სასწავლო წლიდან უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებში სტუდენტების მიღება ხდება ერთიანი ეროვნული გამოცდებით. ასეთი გამოცდის მთავარი ორიენტირია უმაღლეს განათლებაზე დაშვების საერთო პრინციპი, რომლის წინაშეც ყველა აბიტურიენტი თანასწორია. ერთიან ეროვნულ გამოცდაზე დაიშვება სრული, ზოგადი ან მასთან გათანაბრებული განათლების მქონე პირი. ერთიანი ეროვნული გამოცდებით, ფაქტობრივად, გამოირიცხა კორუფციის, როგორც შემაფერხებელი ფაქტორის გავლენა უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობაზე. 2005 წელსვე გაუქმდა ფორმალურად უფასო უმაღლესი განათლება და ამავე წლიდან ამუშავდა მერიტოკრატიული და სოციალური გრანტების პროგრამა. ორივე მათგანი უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის საფასურის სრულად ან ნაწილობრივ დაფარვას ითვალისწინებს (მათ შორის, კერძო უმაღლეს სასწავლებლებშიც). ამასთანავე, ერთიანი ეროვნული გამოცდები ითვალისწინებს ეროვნული უმცირესობების ინტერესებს – საგამოცდო ტესტები არსებობს საქართველოში მცხოვრები ეროვნული უმცირესობების ენებზე: რუსულად, სომხურად, აზერბაიჯანულად, ოსურად და აფხაზურად. 2009-2010 სასწავლო წლიდან ერთიანი ეროვნული გამოცდებით (საერთო სამაგისტრო გამოცდები) მიღება დაიწყო ასევე მაგისტრატუ-რის საფეხურზეც.

მოქმედი კანონმდებლობისა და ბოლონიის პროცესის მოთხოვნების შესაბამისად, საქართველოში აკადემიური უმაღლესი განათლება სამსაფეხურიანია:

- **პირველი საფეხური (ბაკალავრიატი)** – საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც მოიცავს არანაკლებ 240 კრედიტს;
- **მეორე საფეხური (მაგისტრატურა)** – საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც მოიცავს არანაკლებ 120 კრედიტს;
- **მესამე საფეხური (დოქტორანტურა)** – საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც მოიცავს არანაკლებ 180 კრედიტს.

შესაბამისად, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში, ერთი სასწავლო წლის განმავლობაში, საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს საშუალოდ 60 კრედიტს. თითოეული საფეხურისთვის კანონმდებლობით დაწესებულია მინიმალური საკვალიფიკაციო მოთხოვნები.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება შედგება ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულებისაგან: ფაკულტეტებისაგან, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ბიბლიოთეკის (ბიბლიოთეკების) და დამხმარე სტრუქტურული ერთეულებისაგან (რექტორის აპარატი, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის აპარატი, კანცელარია და მართვის ორგანოების სამდივნოები). უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტრუქტურული ერთეულების საქმიანობის წესი, ფაკულტეტის სხვა სტრუქტურული ერთეული, ასევე დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეული, მათი მართვის ორგანოები და საქმიანობის წესი კი, უნდა განისაზღვროს დაწესებულების წესდებით და სტრუქტურული ერთეულების დებულებებით.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მართვის ორგანოებია: აკადემიური საბჭო, წარმომადგენლობითი საბჭო, რექტორი, ადმინისტრაციის ხელმძღვანელი და ხარისხის

უზრუნველყოფის სამსახური; ფაკულტეტის მართვის ორგანოებია: ფაკულტეტის საბჭო, დეკანი და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური.

4 **წაიკითხეთ ზემოთ მოცემული ტექსტები და შეავსეთ ცხრილი თქვენი სიტყვებით.**

	განათლების საფეხურები	მახასიათებლები	მიზანი
პროფესიული განათლება			
უმაღლესი განათლება			

5 **დაიყავით ორ ჯგუფად, აირჩიეთ მოცემული ჰიპოთეზიდან ერთ-ერთი და მოიყვანეთ არგუმენტები დასასაბუთებლად.**

პროფესიული განათლების მიღებისას ადამიანს აუცილებლად ექნება დასაქმების გარანტია, რასაც ვერ ვიტყვით უმაღლეს სასწავლებლებში მიღებულ განათლებაზე.

უმაღლესი განათლება ადამიანს ეხმარება მუდმივად წინსვლასა და კარიერულ წარმატებაში, რასაც ვერ ვიტყოდით პროფესიულ განათლებაზე.

ბლოკი 2

უფასო თუ ფასიანი უმაღლესი განათლება?

1 **დაიყავით მცირე ჯგუფებად. განიხილეთ, ფასიანია თუ არა უმაღლესი განათლება თქვენს ქვეყანაში? ჩამოაყალიბეთ ფასიანი და უფასო უმაღლესი განათლების პრო- და კონტრარგუმენტები.**

პროარგუმენტები	კონტრარგუმენტები

2 გადახედეთ ტექსტს და შეურჩიეთ სათაური მოცემული ვარიანტებიდან:

ა. სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გავლენა უმაღლეს განათლებაზე;
ბ. უფასო და ფასიანი განათლების აუცილებლობა;
გ. სახელმწიფოს მიერ განათლების დაფინანსება.

უმაღლესი განათლება – უფასო თუ ფასიანი საჭიროება

ავტორი – მარიამ ტაკიძე
21 დეკემბერი, 2014

ახალი სასწავლო წლის დაწყებიდან ძალიან მალე გავრცელდა ინფორმაცია, რომ გერმანიაში უმაღესი განათლების მიღება სტუდენტებისთვის უფასო გახდებოდა. თუმცა, როგორც ექსპერტები აღნიშნავენ, „უფასო განათლება“ არ არსებობს. მაშინ რა იგულისხმება „უფასო“ განათლებაში, რა დადებითი და უარყოფითი შედეგები შეიძლება ჰქონდეს მას და რამდენად რეალურია, საქართველოში უმაღლესი განათლება უფასო გახდეს სტუდენტებისთვის?

Erasmus + (-ის) ეროვნული ოფისის კოორდინატორი ლიკა ღლონტი „უფასო“ განათლებას შემდეგნაირად განმარტავს: „უფასო“ განათლება, როგორც ასეთი, არ არსებობს, ყოველთვის ვიღაც იხდის ფულს. ამ შემთხვევაში „უფასო“ განათლებაში იგულისხმება ის, რომ სწავლის საფასურს ფარავს არა მომხმარებელი, ანუ სტუდენტი, არამედ სახელმწიფო. შესაბამისად, სახელმწიფოს უნდა უღირდეს ამ ინვესტიციის ჩადება. ვიცით, რომ განათლებაზეა გამოყოფილი მწირი ბიუჯეტი, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სახელმწიფოს სურს გაზარდოს უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობა. სინამდვილეში ეს საკმაოდ ხელოვნური გადაწყვეტილებაა, რომელიც ეფუძნება კვლევებს და რომელსაც გრძელვადიანი ხედვა არ გააჩნია“.

როგორც სტუდენტი ოთო კობახიძე აღნიშნავს, როდესაც უნივერსიტეტში სწავლა სტუდენტებისთვის უფასოა, იზრდება მისი ხელმისაწვდომობა ყველა იმ ადამიანისთვის, რომლებსაც თავიანთი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გამო მისი მიღება ეზღუდებოდათ: „მიმაჩნია, რომ უმაღლესი განათლება სტუდენტებისთვის უნდა იყოს უფასო. ვფიქრობ, უფასო უმაღლესი განათლება ამ სფეროს კომერციალიზაციისაგან დაცვის მნიშვნელოვანი გზაა. უარყოფით მხარეებს, იმ შემთხვევაში, თუ უმაღლესი განათლება უფასო გახდება, ვერ ვხედავ“.

როგორც ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი ანო მაჭავარიანი აღნიშნავს: „უფასო“ უმაღლესი განათლების შემთხვევაში პრობლემა შეიძლება იყოს ის ფაქტი, რომ ჩვენთან „დიპლომიანი სიძე/პატარძლის“ ტენდენცია არსებობს, ამიტომ ყველა უნივერსიტეტში აბარებს, უნდა თუ არა, ან აინტერესებს თუ არა, ჩაბარების შემდეგ კი თავს დიდად არ იკლავენ სწავლით".

უმაღლესი განათლების განვითარების სამმართველოს უფროსი ნუგზარ ჩიტაია ამბობს, რომ უკვე არსებობს ასეთი „უფასო“ განათლების შემთხვევა, როდესაც სტუდენტი არ იხდის სწავლის საფასურს: „სახელმწიფოს მიერ სტუდენტების დაფინანსების 2 პროგრამა გვაქვს. პირველი პროგრამა ეს არის დაფინანსება, 100%-იან გრანტს თუ მოიპოვებს სტუდენტი, ის სწავლის საფასურს არ იხდის, მის ნაცვლად იხდის სახელმწიფო. ამის გარდა, არსებობს მეორე პროგრამა სპეციალურ საგანმანათლებლო პროგრამებზე არის ჩამონათვალი, სადაც სწავლა დაფინანსებულია სახელმწიფოს მიერ სრულად, ამდენად სტუდენტისთვის, ასეც და ისეც, სწავლა არის უფასო. როდესაც არსებობს ტერმინი „უფასო განათლება“, სტუდენტსაც ჰგონია, რომ არავინ არ იხდის ფულს და უფასოა სწავლა და სინამდვილეში, სახელმწიფო იხდის მის ნაცვლად სწავლის საფასურს; ეს ან კონკრეტულ სტუდენტს აქვს იმ დამსახურებისთვის, რომ მან წარმატებით ჩააბარა ერთიანი ეროვნული გამოცდები, ან სახელმწიფოსთვის პრიორიტეტულ პროგრამებზე გადაწყვიტა სწავლა და სახელმწიფო აფინანსებს“.

ნუგზარ ჩიტაიას განცხადებით, დღეს სულ 21 საგანმანათლებლო პროგრამა არის სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული: „ეს დაფინანსებული პროგრამები შეირჩა იმის მიხედვით, რაც ქვეყნის განვითარებისთვის იყო აუცილებელი საჭიროება ან კადრების დეფიციტი იგრძნობოდა ამა თუ იმ

გარკვეულ სპეციალობებზე.უახლოეს მომავალში, მაგალითად, 2015 წლისთვის არ იგეგმება მსგავსი რამ, რომ უმაღლესი განათლება „უფასო“ გახდეს სტუდენტებისთვის, ანუ სახელმწიფომ დააფინანსოს ყველა მიმართულება. მაგრამ შესაძლებელია სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული საგანმანათლებლო პროგრამების რაოდენობა გაიზარდოს, ეს ყველაფერი უნდა გამოცხადდეს ერთიანი ეროვნული გამოცდების რეგისტრაციამდე, რომ სტუდენტს საშუალება ჰქონდეს დროულად დარეგისტრირდეს“.

როგორც ექსპერტი განათლების საკითხებში სიმონ ჯანაშია აღნიშნავს, შეიძლება გადასახადი არ იყოს უნივერსიტეტში კონკრეტული სტუდენტებისთვის, მაგრამ ხარჯი რომ არ ჰქონდეს სტუდენტს, ასეთი რამ უბრალოდ შეუძლებელია, ან შეიძლება ეს ხარჯები აუნაზღაუროს სახელმწიფომ: „ხარჯები შეიძლება იყოს ნებისმიერი სტუდენტისთვის: ეს არის სწავლის გადასახადი, ეს არის სასწავლო მასალები, ეს არის ცხოვრების თანხები, ეს არის ის ფული, რასაც ვერ იღებს სტუდენტი იმიტომ, რომ სწავლობს და არ მუშაობს, ანუ ეს არის ფული, რომელიც მას ექნებოდა ალტერნატიული არჩევანის შემთხვევაში, ვთქვათ, რომ წასულიყო და ემუშავა ნებისმიერ სხვა ადგილას – ეს ყველაფერი არის ხარჯი. ამ ხარჯების ანაზღაურებას ჩვენი სახელმწიფო დღევანდელი ეკონომიკური პირობების შემთხვევაში ვერ შეძლებს, ან შეძლებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მკვეთრად შეამცირებს უნივერსიტეტებში სტუდენტების რაოდენობას, რაც რეალურად მაინც დ ამაინც ეკონომიკისთვის კარგი არ არის“.

სიმონ ჯანაშიამ ასევე ისაუბრა იმ პრობლემების შესახებ, რომლებიც იმ შემთხვევებში ჩნდება, როდესაც სახელმწიფო აფინანსებს უმაღლესი განთლების პროგრამებს: „იმ ქვეყნებში, სადაც სახელმწიფო უფინანსებს სტუდენტებს სწავლას, იწყება სტუდენტთა რაოდენობის რეგულირება, ასევე იწყება მერე შეზღუდვები მიმართულებების მიხედვით. შემდეგ ამბობენ, რომ მაგალითად, ჰუმანიტარები არ გვჭირდება, ტექნიკურები გვჭირდება და ა.შ. და რეალურად ჩნდება ახალი პრობლემა, შეიძლება ნაკლები ხარჯი იყოს სტუდენტისთვის სწავლა, მაგრამ სტუდენტად გახდომა იყოს რთული და კონკრეტული მიმართულებებზე აბსოლუტურად შეუძლებელი, ძალიან მაღალი იყოს კონკურსი. მეორე პრობლემა არის თავად პასუხისმგებლობა სტუდენტის მხრივ; ვთქვათ, ჩვენ როდესაც საკუთარ, ასე ვთქვათ, თანხის ინვესტიციას ვახდენთ, შეიძლება უფრო მაღალი პასუხისმგებლობა გვქონდეს ამ თანხის მიმართ, ვიდრე გვქონდეს, როდესაც ვინმე სხვა გვიფინანსებს სწავლას“.

წყარო: http://www.tavisupali.ge/umaghlesi-ganathleba/2201-umaghlesi-ganathleba-ufaso-thu-fasiani-satciroeba.html?lang=ka-GE

3 **წაიკითხეთ ტექსტი და მასში გამოთქმული მოსაზრებებით შეავსეთ პირველ სავარჯიშოში მოცემული ცხრილი ფასიან და უფასო განათლებაზე.**

4 **კიდევ ერთხელ გადახედეთ ტექსტს და უპასუხეთ ქვემოთ მოცემულ კითხვებს:**

ა. ტექსტის მიხედვით, რატომ არ არსებობს „„უფასო“ განათლება?

ბ. რა პრობლემები არსებობს ფასიან განათლებასთან დაკავშირებით?

5 დააკვირდით ცხრილში მოცემულ სახელებს და გადმოეცით მათი აზრი თქვენი სიტყვებით. რას ფიქრობენ ისინი ,,ფასიან“ ან ,,უფასო“ განათლებაზე?

	რას ფიქრობს ,,ფასიან“ ან ,,უფასო“ განათლებაზე?
ლიკა ღლონტი	
ოთო კობახიძე	
ანო მაჭავარიანი	
სიმონ ჯანაშია	

6 დაიყავით 2 გუნდად. ერთი გუნდი იქნება „ფასიანი“ განათლების მომხრე, მეორე – „უფასო“ განათლების მომხრე. გამართეთ დისკუსია და მოიყვანეთ არგუმენტები, რა დადებითი და უარყოფითი მხარეები შეიძლება ჰქონდეს თითოეულ მათგანს (შეგიძლიათ დაიხმაროთ მე-2 დავალებაში მოცემული ტექსტი).

ბლოკი 3

სიღარიბის გავლენა განათლებაგე

1 დააკვირდით ქვემოთ მოცემულ სქემას და უპასუხეთ შეკითხვებს:

ა. როგორია სწავლის საშუალო საფასური საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში სხვადასხვა ფაკულტეტზე?

ბ. არის თუ არა სწავლის გადასახადი თქვენი ქვეყნის უმაღლეს სასწავლებლებში და როგორ მიგაჩნიათ, მაღალია თუ დაბალი?

სწავლის საფასური საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში



2 **გაეცანით ტექსტს და უპასუხეთ მოცემულ კითხვებს:**

ა. ნიკა ჯორბენაძის აზრით, რა არის სტუდენტისთვის მნიშვნელოვანი?

ბ. რა მიზეზების გამო გადაწყვიტა ნიკა წულუკიძემ სამსახურის მოძებნა?

გ. რას ფიქრობს ლინდა შავლიძე განათლებასა და დასაქმებასთან დაკავშირებით?

დ. შუტა სურმანიძის აზრით, რა დადებითი მხარეები აქვს საკუთარი სპეციალობით მუშაობას?

სწავლა მუშაობის შეთავსებით

სად და როგორ მუშაობენ სტუდენტები?

ევროპისა და ამერიკის მსგავსად, სტუდენტების დასაქმების პრაქტიკა ნელ-ნელა საქართველოშიც მკვიდრდება და დღეს სულ უფრო მეტი სტუდენტი ცდილობს თავისი შრომით დააფინანსოს საკუთარი განათლება თუ სხვა ხარჯები. მაგალითად, ბათუმის უნივერსიტეტის მესამე კურსის სტუდენტი ნიკა ჯორბენაძე ამბობს, რომ სამსახურის იმ განყოფილებაში, სადაც ის მუშაობს, 18 დასაქმებულიდან 9 სტუდენტია.

ნიკა ჯორბენაძე ბსუ-ში ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტია. იგი ინგლისურ ენასა და ფილოლოგიას სწავლობს, საღამოს საათებში კი უკვე ორი თვეა სასტუმრო „რადისონში“ მიმტანად მუშაობს.

ნიკა ამბობს, რომ სტუდენტისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს ისეთ სამსახურს, სადაც მისთვის მოხერხებული განრიგი იქნება, რადგან სტუდენტისთვის, პირველ რიგში, პრიორიტეტული უნდა იყოს სწვლა და არა – შემოსავალი. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია, რომ დასაქმებულმა სტუდენტმა იცოდეს თავისი უფლებები. „მართალია, სამუშაო გრაფიკი არის რვასაათიანი, მაგრამ სტუდენტების შემთხვევაში ხშირად ხდება სამუშაო საათების გახანგრძლივება. მეც მქონია ისეთი გამოცდილება, რომ 8 საათის ნაცვლად ვრჩებოდი 13-14 საათი, მაგრამ მე მოვითხოვე, რომ ეს საათები აენაზღაურებინათ ჩემთვის. პირველ კვირაში, როცა ვნახე ბონუსის სახით არ იყო დარიცხული თანხა, მივმართე HR-ს და მოგვარდა ეს პრობლემა, რადგან მე ვიცოდი ჩემი უფლებები. მნიშვნელოვანია, რომ სტუდენტებმაც დაიცვან სამსახურში საკუთარი უფლებები,” – ამბობს ნიკა.

ნიკა წულუკიძე ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში ტურიზმის სპეციალობის მესამე კურსის სტუდენტია და თითქმის ერთი წელია, რაც ქართული ჭიდაობის ფედერაციაში საორგანიზაციო საკითხებისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერად მუშაობს. იქამდე ერთ-ერთი სამედიცინო კომპანიის სადაზღვევო აგენტად მუშაობდა, ზაფხულის პერიოდში კი, სხვადასხვა სასტუმროში „ბელ ბოისა“ და ადმინისტრატორის სამსახურსაც ითავსებდა: „როცა ფედერაციაში რაიმე ღონისძიება ტარდება, მე მევალება ინფორმაციის გავრცელება მედიაში, ასევე, ღონისძიებებზე ჩამოსული სტუმრების დახვედრა. ამ დროს მე მაბარია, რაც კვებასა და სასტუმროს ეხება. კარგი ის არის, რომ სავალდებულო არ არის ყოველდღე ჩემი იქ ყოფნა, ასეთი ღონისძიებები თვეში საშუალოდ 2-3-ჯერ ტარდება და თავისუფლად ვახერხებ შევათავსო სამსახური სწავლასთან“.

ნიკა ამბობს, რომ მთავარი მიზეზი, რის გამოც სამსახურის შოვნა გადაწყვიტა, დამოუკიდებლობის შეგრძნებაა. „მე ხულოში გავიზარდე, დიდაჭარიდან ვარ, სოფლის ცხოვრებას კარგად ვიცნობ. აქ რომ ჩამოვედი, ძალიან გამიჭირდა, მაგრამ უკვე დავრწმუნდი, რომ ადამიანი თუ მოინდომებ – შეუძლებელი არაფერია. არ მინდოდა მშობლებზე დამეკისრებინა ჩემი აქ ცხოვრების ხარჯი და სწორედ ამაში მეხმარება ჩემი შემოსავალი,“ – ამბობს ნიკა.

უნივერსიტეტში ჩაბარებიდან მეორე სემესტრში, მაღალი აკადემიური მოსწრების გამო, ნიკას სრულად მოეხსნა სწავლის გადასახადი.

ნიკა ამბობს, რომ სტუდენტმა სამსახურის შერჩევისას აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს დროის ფაქტორი და გააგებინოს მომავალ დამსაქმებელს, რომ ის სტუდენტია და სამუშაოს განრიგში მას ხელშეწყობა დასჭირდება: „მიუხედავად იმისა, რომ ვმუშაობ და ვსწავლობ, გაგიკვირდებათ და თავისუფალი დროც საკმაოდ მრჩება, მთავარი დროის სწორად გადანაწილებაა“.

მესამეკურსელი ლინდა შავლიძე ბსუ-ში თარგმანმცოდნეობასა და ინგლისურ ენას სწავლობს. ის უკვე ოთხი თვეა ტოტალიზატორ „კრისტალ ბეთში“ მოლარე-ოპერატორად, ყოველ სამ დღეში ერთხელ, საღამოს ათი საათიდან დილის ათ საათამდე მუშაობს, იქამდე კი მაღაზიაშიც მუშაობდა, თუმცა სწავლის დაწყების შემდეგ ამ სამსახურს თავი დაანება, რადგან სწავლას ვეღარ შეძლებდა.

მთავარი მიზეზი, რის გამოც ლინდამ სამსახურის შოვნა გადაწყვიტა, სწავლის მაღალი საფასურია. „სტუდენტობის დროს საკუთარი ფინანსები ძალიან კარგია. როცა მე მაფინანსებდნენ მშობლები, უფრო ზედაპირულად ვუყურებდი ყველაფერს, ახლა კი, როცა ჩემი შრომით ვაფინანსებ ამ ყველაფერს, უფრო სხვაგვარად ვხედავ, მეტად მონდომებული ვარ. მაგრამ არის ერთი მინუსიც, როცა სტუდენტი სწავლობს მესამე კურსზე – მას რაღაც დონე უკვე გააჩნია. მე, მაგალითად, ვფიქრობ, რომ უნდა იყოს ხელფასიანი პრაქტიკა იმ მიმართულებით, რაც სტუდენტის მომავალ პროფესიას უკავშირდება. სადაც ახლა მე ვმუშაობ, ამას მხოლოდ ფინანსების გამო ვაკეთებ და ის მე პროფესიულად არაფერს მაძლევს. ეს არის სტუდენტობისას სამუშაოს ერთადერთი მინუსი, თორემ ძალიან კარგი იქნება, თუ იარსებებს რაღაც პარალელები სტუდენტის სამსახურსა და მის პროფესიას შორის. მაღაზიაში მუშაობასა და ქალაქის დალაგებაშიც არაფერია ცუდი, ყველა სფეროს უნდა იცნობდეს სტუდენტი, მაგრამ ეს გაუმართავი სისტემის ბრალია, როცა ოთხი წლის შემდეგ ჩვენგან უნდათ კარგი მუშახელის მიღება, მაშინ ამ ოთხი წლის განმავლობაში უნდა მოგვცენ სათანადო განათლება და პრაქტიკა“, – ამბობს ლინდა.

შუტა სურმანიძე ერთ-ერთი მათგანია, ვინც თავის სპეციალობასთან ახლო სამსახური იპოვა, თუმცა ამბობს, რომ ასეთი საქმის მოძებნა სტუდენტისთვის რთულია. იგი ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში უკვე მეოთხე წელია მარკეტინგს, მთავარ სპეციალობად კი აუდიტის საქმეს სწავლობს. პარალელურად უკვე წელიწად-ნახევარია სამშენებლო კომპანია „Private construction"-ში მთავარი ბუღალტრის თანაშემწედ, საფოსტო-სატრანსპორტო მომსახურება „გექსში" კი ბუღალტრად მუშაობს. ამბობს, რომ სამსახურში თავისუფალი გრაფიკი აქვს და ლექციებზე დასწრებაში ხელი არ ეშლება. „დატვირთული ვარ, მაგრამ ექვს საათამდე უნივერსიტეტსაც ვასწრებ და სამსახურში ყოფნასაც. ამის შემდეგ დანარჩენი ექვსი საათი ჩემს განკარგულებაშია, რასაც სწავლასა და მეგობრებთან ერთად ყოფნაზე ვანაწილებ," – ამბობს ის.

შუტა ამბობს, რომ სტუდენტისთვის დიდი პლუსია, როცა სწავლის პარალელურად, თავის სპეციალობასთან მიახლოებულ სამსახურში მუშაობს: „სტუდენტებს ხელი ეშლებათ, როცა თავიანთი სპეციალობისგან ძალიან განსხვავებული განხრით მუშაობენ. ზოგიერთი ჩემი კურსელი ისეთი გადატვირთული მოდის ლექციებზე, ძილსაც ვერ ასწრებს სახლში და ეს, რა თქმა უნდა, სწავლაზეც აისახება. ხოლო როცა თავისი სპეციალობის სამსახურს პოულობს სტუდენტი, სწავლასთან ერთად იგი აგროვებს გამოცდილებას, პრაქტიკაში ხედავს იმ თეორიას, რასაც სწავლობს... თუმცა, ასეთი სამსახურის პოვნა საკმაოდ რულია, მით უმეტეს, ჩვენს ქალაქში. მე, პირადად, ბუღალტერიის სწავლა ცალკე დავიწყე და იქიდან გამოჩნდა დასაქმების შესაძლებლობაც, ამიტომ სტუდენტებს ვურჩევდი, რომ იყვნენ ძალიან აქტიურები."

წყარო: http://batumelebi.netgazeti.ge/weekly1/22278/

3 **კიდევ ერთხელ გადახედეთ ტექსტს და დაწერეთ, სწავლის მუშაობასთან შეთავსების დადებითი და უარყოფითი მხარეები.**

დადებითი მხარეები	უარყოფითი მხარეები

4 **გამოკითხული სტუდენტებისგან რომლის სამუშაო შეესაბამება ყველაზე მეტად სტუდენტურ ცხოვრებას? დაასაბუთეთ თქვენი მოსაზრება არგუმენტებით:**

ფრაზები მსჯელობისთვის

ჩემი აზრით..., მე სრულიად გეთანხმებით...;
მე ვფიქრობ, რომ...; მე მიმაჩნია, რომ...;
დიახ, მართალია / ნამდვილად ასეა;
მე ნაწილობრივ ვეთანხმები...;

5 **თქვენი აზრით, სად შეიძლება იმუშაოს სტუდენტმა და რატომ?**

6 **დაიყავით ორ ჯგუფად და გამართეთ დისკუსია მოცემულ თემაზე: რამდენად მისაღებია, სტუდენტის მუშაობა სწავლის პარალელურად. დაეთანხმეთ მოცემულ მოსაზრებას ან უარყავით ის.**

ბლოკი 4

მასობრივი თუ ელიტური უმაღლესი განათლება?

1 **დაიყავით მცირე ჯგუფებად და ჩამოაყალიბეთ, როგორ გესმით ტერმინები:**

ა. მასობრივი განათლება?

ბ. ელიტური განათლება?

2 **ა. თქვენთვის ნაცნობ განათლების სისტემაში უმაღლესი განათლება უფრო ელიტურია თუ მასობრივი?**

ბ. თქვენი აზრით, რა შეიძლება იყოს ამის მიზეზი?

3 **წაიკითხეთ ტექსტი, გამოკვეთეთ ავტორის აზრი უმაღლესი განათლების შესახებ და შეავსეთ ცხრილი თქვენი სიტყვებით:**

	უპირატესობა	ნაკლი
ელიტური განათლება		
მასობრივი განათლება		

უმაღლეს განათლებასთან დაკავშირებულ დისკუსიებში ხშირად გვესმის ფრაზა: „უნივერსიტეტში ყველა კი არ უნდა სწავლობდეს!" მართლაც, უნდა ჰქონდეს თუ არა ყველა სკოლადამთავრებულს უფლება და შესაძლებლობა, რომ უმაღლესში ისწავლოს და თუ პასუხი დადებითია, მაშინ რას ნიშნავს ეს ჩვენი უმაღლესი განათლებისთვის?

რამდენად გამართლებულია, როდესაც საზოგადოება საშუალებას აძლევს უმაღლესებს, რომ მუდმივად ზარდონ თავიანთი მისაღები კონტინგენტი და საუნივერსიტეტო განათლება მასობრივი გახადონ?

უნივერსიტეტში სწავლის სურვილი სკოლადამთავრებულებს არა მხოლოდ სიმბოლური სტატუსის მიღების, არამედ პრაგმატული მოგების გამოც უჩნდებათ. უმაღლესში სწავლა სოციალური კავშირების გაფართოების შესაძლებლობაა, რაც ცხოვრებისეულ წარმატებას უწყობს ხელს. თუ სკოლაში სწავლისას ახალგაზრდებს მხოლოდ თავიანთი დასახლების ფარგლებში მცხოვრებლებთან შეუძლიათ კავშირების დამყარება, საუნივერსიტეტო დონეზე სოციალური კაპიტალის დაგროვების შესაძლებლობები მნიშვნელოვნად ფართოვდება. ზოგი მომავალი საქმიანი პარტნიორების, ბევრი კი მომავალი მეუღლის გაცნობას სწორედ უნივერსიტეტში ახერხებს, რითიც ზრდის შანსებს, რომ ცხოვრების თანამგზავრი მისივე სოციალური წრის წარმომადგენელი იყოს.

დასაქმების თანამედროვე მოთხოვნებიც მუდმივად მეტ კომპეტენციებს მოითხოვს, რის განვითარებასაც სკოლაში მიღებული განათლება ვერ უზრუნველყოფს. თუ ადრე საწარმოში სკოლის განათლების მქონეს კონვეიერზე სტანდარტული მექანიკური სამუშაოს შესრულება მოეთხოვებოდა, დღეს მას მართვისა და ტექნოლოგიების გამოყენების მრავალი უნარი სჭირდება წარმატებისთვის. ამავდროულად, როდესაც დასაქმების შესაძლებლობები დაბალია, საუნივერსიტეტო განათლებაზე მოთხოვნა იზრდება.

ცხადია, მისაღები ადგილების რაოდენობის შემცირება უმაღლესის დიპლომების სიმბოლური მნიშვნელობის მატებას გამოიწვევდა. სამაგიეროდ, ამით უნივერსიტეტებში მოხვედრის უპირატესობა ელიტის წარმომადგენლებისთვის გაიზრდებოდა. მას, ვისაც მეტად განათლებული მშობლები ჰყავს, მეტი ფინანსური რესურსი აქვს უკეთესი სასკოლო განათლების მისაღებად ან უნივერსიტეტებისთვის მომზადებისთვის და სწავლის ხარჯების დასაფარად, უმაღლესი განათლების მიღების მეტი შანსიც გააჩნია.

ელიტური განათლება, ანუ განათლება, რომელიც მხოლოდ ან ძირითადად ელიტის წარმომადგენლებისთვის არის ხელმისაწვდომი, ხელოვნურ ბარიერს ქმნის საზოგადოების შიგნით სოციალური მობილობისთვის. სტატიკურ საზოგადოებაში ინდივიდისთვის სიღარიბის დაძლევა უკეთესი განათლებით და, შესაბამისად, შემდგომში უფრო მაღალი შემოსავლების ხარჯზე, რთულია.

ელიტური სისტემის ინსტრუმენტული ბარიერების შექმნა აბსტრაქტული კრიტერიუმების დახმარებით მიიღწევა, რომლებიც ხშირად იმდენად ბუნებრივი გვგონია, რომ მათი სამართლიანობის შესახებ კითხვა იშვიათად ისმის. მაგალითად, უნივერსიტეტში სწავლისთვის მომზადებულებს შორის, რატომ უნდა ჰქონდეს უპირატესობა მას, ვინც უკეთესად არის მომზადებული კონკრეტულ საგანში და არა მას, ვისაც ყველაზე მეტად უნდა სწავლა ან ყველაზე მეტად სჭირდება? რატომ უნდა ჰქონდეს ვინმეს უპირატესობა უმაღლესში სწავლისთვის მისი რაიმე მახასიათებლიდან გამომდინარე?

წარმოვიდგინოთ, რომ ბიბლიოთეკის გამოყენების მსურველი უფრო მეტია, ვიდრე იქ არსებული ადგილი. რა პრინციპით უნდა გადაწყდეს, ვინ შევა იქ წიგნის წასაკითხად? ამ პროცესსაც თუ უმაღლესი განათლების ორგანიზების ანალოგიით მოვაწყობთ, მაშინ უპირატესად ისინი უნდა შევუშვათ ბიბლიოთეკაში, ვისაც ყველაზე მეტი წიგნი აქვს წაკითხული. საეჭვოა, რომ საზოგადოების განათლებისთვის ასეთი პოლიტიკა ყველაზე ეფექტური იყოს. არადა, უნივერსიტეტებში მიღების სისტემა სწორედ ამგვარია.

ელიტიზმის ეტაპი გაიარა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლამაც. მიუხედავად იმისა, რომ დღეს სკოლის დიპლომის ღირებულება უფრო დაბალია, ვიდრე ეს მეცხრამეტე საუკუნის ბოლოს იყო, დადებითი მოვლენაა ის, რომ მოქალაქეების უმეტესობა ზოგად განათლებას იღებს, რადგან სკოლაში მიღებული ცოდნა, უნარები და ღირებულებები მნიშვნელოვანია არა მხოლოდ პიროვნული წარმატებისთვის, არამედ დემოკრატიული საზოგადოების ფუნქციონირებისთვისაც. უმაღლესი განათლების სისტემა დღეს მსგავსი გარდაქმნის პროცესშია.

თუ უმაღლესი განათლების მასიფიკაცია, შესაძლოა, საფრთხეს უქმნიდეს უმაღლესი განათლების ხარისხს, ხოლო ადგილების ხელოვნური შეზღუდვა ზღუდავდეს სამართლიანობას და საზოგადოებრივი თუ ეკონომიკური განვითარების შესაძლებლობას, მაშინ ამ ვითარებიდან გამოსავალი რა იქნებოდა?

წყარო: http://www.tabula.ge/ge/story/75802-masobrivi-tu-elituri-umaghlesi-ganatleba?

4 **როგორი მოდელი არის თქვენთვის საუკეთესო? დაასაბუთეთ თქვენი მოსაზრება არგუმენტებითა და მაგალითებით:**

ჩემი აზრით, ელიტური განათლება უკეთესია, რადგან….

მაგალითი…

მე ვფიქროთ, რომ მასობრივი განათლება უფრო …. იმიტომ, რომ…

მაგალითი:

მე მიმაჩნია, რომ საუკეთესო მოდელი ორივე ტიპის სისტემის თანაარსებობაა ...

5 **მოცემულ თემაში მიღებული ინფორმაციის საფუძველზე აღწერეთ უმაღლესი განათლების პრობლემები საქართველოში და პრობლემების გადაჭრის თქვენეული გზა.**

თავი III

გარემოს დაცვა და ეკოლოგია

მისაღწევი მიზნები

მოსმენა:

შემსწავლელს შეუძლია გაიგოს ძირითადად ყველაფერი სატელევიზიო და რადიოგადაცემებიდან, ასევე, ინტერვიუებიდან გარემოს დაცვის თემაზე.

კითხვა:

შემსწავლელს შეუძლია თვალი გადაავლოს დიდი მოცულობის რთულ ტექსტს და გამოყოს მნიშვნელოვანი დეტალები;
შემსწავლელს შეუძლია წაიკითხოს და გაიგოს აქტუალურ თემებზე დაწერილი სტატიები, სხვადასხვა ტიპის ტექსტები და გაიაზროს ავტორის პოზიცია;
შემსწავლელს შეუძლია კომპლექსური და გრძელი ტექსტების სწრაფად გადაკითხვა და მნიშვნელოვანი ინფორმაციის მოძიება.

ლაპარაკი:

შემსწავლელს შეუძლია მოხსენების წაკითხვა / პრეზენტაციის ჩატარება ბუნებრივი კატასტროფის გამომწვევი მიზეზებისა და პრობლემის გადაწყვეტის გზებზე;
შემსწავლელს შეუძლია დისკუსიის გამართვა ეკოლოგიული კატასტროფის თემაზე.

წერა:

შემსწავლელს შეუძლია კარგად ჩამოყალიბებული, დეტალური ტექსტის დაწერა წაკითხული ან მოსმენილი ინფორმაციის საფუძველზე.

გრამატიკა/ლექსიკა



წარსული დროის -ული სუფიქსიანი მიმღეობის წარმოება.

ეკოლოგიასა და გარემოს დაცვასთან დაკავშირებული ლექსიკა.

ბლოკი **1** – ადამიანი და ბუნება
ბლოკი **2** – ბუნებრივი კატასტროფა
ბლოკი **3** – წყალდიდობები თბილისში
ბლოკი **4** – პარტიზანული მებაღეობა

ბლოკი 1

ადამიანი და ბუნება

1 **დაიყავით ჯგუფებად და იმსჯელეთ ადამიანისა და ბუნების ურთიერთდამოკიდებულებაზე. თქვენი აზრით, როგორ ახდენს ბუნება გავლენას ადამიანაზე ან პირიქით?**

ჩაინიშნეთ თქვენი მოსაზრებები პუნქტებად:

2 **გადახედეთ ქვემოთ მოცემულ ტექსტს და თქვენი სიტყვებით შეაჯამეთ:**

ა. როგორ შეიცვალა ბუნებამ პირვანდელი სახე?

ბ. რა როლი ითამაშა ამაში ადამიანმა?

ადამიანი და ბუნება

სამყარო ჩვენ გარშემო საოცრად შეიცვალა. ბაღებისა და სკვერების ნაცვლად ყველგან ავტოსადგომებია. ბუნების წიაღიდან ადამიანი მრავალსართულიანი შენობების ტყვეობაში აღმოჩნდა. ქიმიური წარმოების ნარჩენები პირდაპირ მდინარეებში ჩაედინება. ჩვენ კი რატომღაც გვიკვირს, რატომ აღარ არის ადამიანი დღეს ისეთი ჯანმრთელი, როგორიც, თუნდაც, გასულ საუკუნეში იყო.

ადამიანის საარსებო გარემო არაცოცხალი და ცოცხალი ბუნების, მცენარეებისა და ცხოველებისგან შედგება. თითოეული მათგანი თავისებურ გავლენას ახდენს ჩვენს ცხოვრებასა და არსებობაზე, ჯანმრთელობისთვის ზოგი სასიკეთოა, ზოგი კი საზიანი.

ეკოსისტემის შემადგენელ კომპონენტებს ეკოლოგიური ფაქტორები ეწოდება. წარმოშობის მიხედვით განასხვავებენ აბიოტურ, ბიოტურ და ანთროპოგენურ ეკოლოგიურ ფაქტორებს. აბიოტურია არაცოცხალი ბუნების ის ფაქტორები, რომლებიც პირდაპირ ან ირიბად მოქმედებენ ადამიანის ორგანიზმზე, ესენია: ჰაერი, წყალი, ნიადაგი. ბიოტურია სიცოცხლის ყველა ფორმა, რომლებიც მოქმედებს ერთმანეთზე: მცენარეები, ცხოველები, მიკროორგანიზმები. ანთროპოგენურია ადამიანის საქმიანობის ყოველგვარი შედეგი, რომელიც ცვლის ბუნებას, როგორც საარსებო გარემოს და ამასთანავე, უშუალო გავლენას ახდენს ადამიანის ცხოვრებაზე.

გარემოს ტემპერატურა მნიშვნელოვანი აბიოტური კლიმატური ფაქტორია, რომელზეც უშუალოდ არის დამოკიდებული ორგანიზმების ნივთიერებათა ცვლის ინტენსივობა და მათი გეოგრაფიული გავრცელება. სწორედ გარემოს ტემპერატურის მიხედვით ენაცვლება ერთმანეთს ადამიანის სეზონური და დღეღამური აქტივობები. ნებისმიერი ორგანიზმისთვის არსებობს განსაზღვრული ტემპერატურა, რომელშიც ის თავს ყველაზე კომფორტულად გრძნობს. ცოცხალი ორგანიზმების უმრავლესობისთვის საარსებო ოპტიმალური ტემპერატურა არც ისე მაღალია.

რაც შეეხება ბუნებაში ნალექების რაოდენობასა და გავრცელებას, იგი უმთავრესად ჰაერის დიდი მასების გადაადგილებასა და გეოგრაფიულ არეალზეა დამოკიდებული. წლის განმავლობაში მოსული ნალექების რაოდენობა უშუალოდ მოქმედებს ადამიანის ორგანიზმზე, ხშირად მის ფსიქიკურ თავისებურებებსაც კი განსაზღვრავს.

ატმოსფეროს აიროვანი შემადგენლობა ასევე მნიშვნელოვანი კლიმატური ფაქტორია. ჰაერში ჟანგბადის შემცველობაზე უშუალოდ არის დამოკიდებული ჰაერის სისუფთავე და სიჯანსაღე, მაშასადამე ისიც, რამდენად მავნე ან სასარგებლოა ასეთი ჰაერით სუნთქვა. ჟანგბადი დედამიწის გარშემო ოზონის შრესაც ქმნის, რომელიც აკავებს, ჩვენამდე არ უშვებს კოსმოსიდან წამოსულ მავნე გამოსხივებას.

ადამიანისა და ბუნების ურთიერთობა ჩვენს პლანეტაზე მისი გაჩენის დღიდან იწყება. მას შემდეგ ადამიანი არა მარტო შეეგუა გარემომცველ გარემოს, არამედ აქტიურად დაიწყო მისი გარდაქმნაც: გაჩეხა ტყეები, გადახნა მიწები, გაიყვანა გზები, ააგო ხიდები და კაშხალები, ააშენა ქალაქები და ა.შ.

გეოგრაფიული გარსის განვითარების ისტორიაში დადგა ახალი ეტაპი, რომელიც უშუალოდ და მჭიდროდ არის დაკავშირებული ადამიანის სამეურნეო საქმიანობასთან. გეოგრაფიული გარსი გადაიქცა ე.წ. ნოოსფეროდ, ანუ ადამიანის გონების სფეროდ. ნოოსფერო დედამიწის პლანეტური და მასთან დაკავშირებული კოსმოსური სივრცეა, რომელიც ადამიანის გონებრივი მოქმედების შედეგად გარდაიქმნება და იმართება.

მრავალი მილიონი წლის განმავლობაში დედამიწაზე ბუნებრივი კომპონენტების გარკვეული წონასწორობა ჩამოყალიბდა. ადამიანი თავისი არსებობის დღიდან გავლენას ახდენს მასზე.

მოსახლეობის რაოდენობის ზრდამ, მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარებამ ადამიანს გაუადვილა ბუნებრივი რესურსების გამოყენება. მაგალითად, სასარგებლო წიაღისეული, რომელიც ბუნებაში მილიონობით წლის განმავლობაში გროვდებოდა, ადამიანმა სულ რამდენიმე ათეულ წელიწადში სხვადასხვა ტერიტორიაზე გადაიტანა. ადამიანის საქმიანობის შედეგად გაჩნდა ახალი ნივთიერებები და სხეულები, რომლებიც ბუნებისთვის არ არის დამახასიათებელი.

ადამიანის საქმიანობის შედეგად ბუნებამ ბევრ ადგილას შეიცვალა პირვანდელი სახე. გაჩნდა რელიეფის ისეთი ფორმები, როგორებიცა: ტერასები, ხრამები და სხვა.

გარემომცველი ბუნების გარდა, ადამიანებს არსებობის სხვა წყარო არ გააჩნიათ, ამიტომ მისი სიმდიდრის გამოყენებისას საჭიროა ზომიერება და მოფრთხილება.

წყარო: http://ici.ge/news/adamiani-da-buneba.htm

3 კიდევ ერთხელ გადახედეთ ტექსტს და უპასუხეთ კითხვებს:

ა. ტექსტის მიხედვით დაასახელეთ სამი მიზეზი, რომელთა გამოც ადამიანის ჯანმრთელობა გაუარესდა:

1. _____

2. _____

3. _____

ბ. რომელ ეკოლოგიურ ფაქტორებზეა ტექსტში საუბარი?

_____

_____

გ. რა იგულისხმება ე.წ. ნოოსფეროში?

_____

_____

_____

4 შეავსეთ ცხრილი ეკოლოგიური ფაქტორების შესახებ ინფორმაციით:

ეკოლოგიური ფაქტორები	რას მოიცავს ისინი?
აბიოტური	
ბიოტური	
ანთროპოგენური	

5 ტექსტის მიხედვით მოკლედ შეაჯამეთ ინფორმაცია კლიმატურ ფაქტორებზე. რაზეა დამოკიდებული მოცემული ფაქტორების ცვალებადობა და რა გავლენას ახდენენ ისინი ადამიანის ჯამრთელობაზე?

_____

_____

_____

_____

_____

_____

6 დაიყავით ჯგუფებად და იმსჯელეთ:

ა. როგორ გაამყარებდით ავტორის პოზიციას ბუნებრივი რესურსების მოფრთხილებასთან დაკავშირებით?

ბ. თუ ადამიანები მეტად გაუფრთხილდებოდნენ ბუნებას, თქვენი აზრით, როგორ იმოქმედებდა ეს ეკოლოგიურ და კლიმატურ ფაქტორებზე?

ბლოკი 2

ბუნებრივი კატასტროფა

1 ა. რომელი ბუნებრივი კატასტროფები იცით?

ბ. რომელი ბუნებრივი კატასტროფაა ასახული ამ ფოტოზე?

გ. როგორ ფიქრობთ, რამ შეიძლება გამოიწვიოს აღნიშნული ბუნებრივი კატასტროფა?

2 გადახედეთ ტექსტს და შეავსეთ ცხრილი:

რომელი ბუნებრივი კატასტრობა მოხდა?	
სად მოხდა?	
როდის მოხდა?	

გარემოს დაცვის სამინისტრო აქვეყნებს დასკვნას თბილისში 13 ივნისს მომხდარ წყალდიდობასთან დაკავშირებით. დოკუმენტში საუბარია უპრეცედენტოდ ძლიერი წვიმისა და მეწყერული პროცესების დამთხვევით გამოწვეულ სტიქიაზე. გარემოს დაცვის სამინისტროში ასევე საუბრობენ ვერეს ხეობის შესასწავლად დაგეგმილ ღონისძიებებზე – ამ კვლევის მიზანი ხეობაში მიმდინარე სახიფათო პროცესების გამოვლენაა.

„გარემოს ეროვნული სააგენტოს სპეციალისტებმა 13-14 ივნისს თბილისში მომხდარი სტიქიის მიზეზებსა და შედეგებთან დაკავშირებით ანგარიში მოამზადეს. ანგარიში საზოგადოებას გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრმა, გიგლა აგულაშვილმა, გააცნო. კვლევების შედეგად დადგინდა, რომ 2015 წლის 13-14 ივნისს მდინარე ვერეს ხეობის მარჯვენა ფერდობზე გეოლოგიური და ჰიდრომეტეოროლოგიური პროცესების თანხვედრა მოხდა, უხვი ატმოსფერული ნალექების მოსვლას თან დაერთო კლდეზვავების, მეწყერების, ღვარცოფების, მდინერეებში სიღრმითი და გვერდითი ეროზიების, წყალმოვარდნების, წყალდიდობების, დატბორვებისა და სეტყვის მასშტაბური განვითარება, რასაც მოჰყვა თანმდევი უარყოფითი შედეგები და ადამიანთა მსხვერპლი. სპეციალისტების მიერ საველე პირობებში მოპოვებული ინფორმაციისა და საფონდო (ისტორიული) გეოლოგიური და ჰიდროლოგიური მასალების ანალიზის საფუძველზე შედგა წინასწარი ანგარიში, რომელშიც მოცემულია მდინარე ვერეს ხეობაში ადრეულ წლებში განვითარებული კატასტროფების სტატისტიკური მონაცემები, სტიქიის გამომწვევი ბუნებრივი მიზეზები, უკიდურესად გართულებული ცალკეული უბნების გეოდინამიკური პირობები და შემუშავებულია რეკომენდაციები სამომავლოდ დამცავი ღონისძიების გასატარებლად როგორც ახლო, ასევე საშუალოვადიან პერსპექტივაში. გარემოს ეროვნული სააგენტოს გეოლოგიისა და ჰიდროლოგიის დარგის სპეციალისტებმა მდინარე ვერეს ხეობაში კატასტროფის განვითარების პირველივე წუთებში დაიწყეს სიტუაციის ადგილზე ოპერატიულად შეფასება, სტიქიის გამომწვევი მიზეზების შესწავლა. გადაუდებელი დამცავი ღონისძიებების გატარების მიზნით, სპეციალისტები რეკომენდაციებს ადგილზე გასცემდნენ,“ – ნათქვამია უწყების განცხადებაში.

წყარო: http://pirveliradio.ge/?newsid=51521 (2015-07-20 17:25:24)

3 წაიკითხეთ ტექსტი კიდევ ერთხელ: რამ გამოიწვია ეს ბუნებრივი კატასტროფა ვერეს ხეობაში?

4 ა. იპოვეთ ტექსტში შემდეგი ფრაზების შესატყვისი და შეავსეთ ცხრილი:

მიმღეობა	ზმნის პირიანი ფორმა	საწყისი
გამოქვეყნებული დასკვნა	აქვეყნებს დასკვნას	…..
….. ანგარიში	ანგარიში მოამზადეს	……
მოპოვებული ინფორმაცია	……	ინფორმაციის მოპოვება
…..	სტიქია …..	სტიქიის გამოწვევა

ბ. მიუსადაგეთ შემდეგი ფრაზები ისრებით ცხრილის თითოეულ სვეტს:

უდროო ფორმა

შესრულებული მოქმედება წარსულში

აწმყო დრო

გ. დააკვირდით მიმღეობის (პირველი სვეტის) ფორმებს. რა არის საერთო პირველი სვეტის ყველა მიმღეობას შორის? შემოხაზეთ შესაბამისი აფიქსები.

დ. დააკვირდით საწყისის ფორმებს მესამე სვეტში და შემოხაზეთ იდენტური აფიქსები.

---

5 ა. დააკვირდით წინა დავალებებს და შეავსეთ წესი:

> თუ საწყისს აქვს ფორმა ზმნისწინი - ძირი - …. ,
>
> მაშინ მიმღეობა იწარმოება შემდეგნაირად: ზმნისწინი - ძირი - ….

ბ. შემუშავებული წესის მიხედვით შეავსეთ ცხრილის პირველი სვეტი მიმღეობებით:

… რეკომენდაციები	რეკომენდაციების შემუშვება
…	ღონისძიებების გატარება
…	სიტუაციის შეფასება

ბლოკი 3

წყალდიდობები თბილისში

1 **წაიკითხეთ ტექსტი და დაადგინეთ, საშუალოდ რამდენად ხშირად ხდება წყალდიდობა თბილისში და რომელ ტერიტორიაზე?**

წყალდიდობები თბილისში 1895 წლიდან მოყოლებული 2015 წლის 13 ივნისამდე

ქართული „ინტერნეტსაიტები“ 13 ივნისს დატრილებულმა ტრაგედიამ ააჭრელა და არა მარტო ქართული, მსოფლიო პრესა ორი დღეა საქართველოს დედაქალაქში მომხდარის შესახებ წერს. როგორც წყაროებიდან ირკვევა, წყალდიდობები საქართველოს დედაქალაქში ჯერ კიდევ 1895 წლიდან დიწყო. ამის შესახებ სრულ სურათს აქვეყნებს „ფეისბუქის“ საკუთარ გვერდზე ფოტოგრაფი და მოგზაური ივანე გოლიაძე. მისი თქმით, ქალაქის გეოგრაფიული მდებარეობის გამო წყალდიდობა სრულიად მოსალოდნელი და ჩვეულებრივი მოვლენაა. როგორც გოლიაძე წერს, საქმე ისაა, რომ არ არსებობს ევაკუაციის გეგმა და მზადყოფნა. ეს არც ერთ მთავრობას არ ჰქონია და დარწმუნებით საუბრობს, რომ არც დღევანდელ ხელისუფლებას ექნებოდა გეგმის მსგავსი. – 1895 წელს თბილისში წყალდიდობის ფოტოები.

როგორც სპეციალისტები ვარაუდობენ, პირველმა შემოსულმა ნაკადმა 1958 წელს აშენებული ვაკე-საბურთალოს გვირაბი ჩახერგა წყლის მაქსიმალური რაოდენობის გამო, რომლის სიჩქარე იყო 1000 კუბური მეტრი წამში. დღემდე წყლის ყველაზე მეტი რაოდენობა დაფიქსირებული იყო 1982 წელს, როდესაც წყლის სიჩქარემ 105 კუბურ მეტრს წამში გადააჭარბა.

მდინარე ვერეს ხეობაში მე-19 საუკუნეში წყლის წისქვილები იყო და თბილისელები წყალს სასმელადაც იყენებდნენ. მოგვიანებით, 1927 წელს, ზოოპარკი დაარსდა, მაგრამ მდინარე ვერე ზოოპარკს არც მაშინ წყალობდა, როცა 1960 წლის 4 ივლისს საშინელი სტიქიის დროს ისე ადიდებულა, რომ ის მთლიანად დაუტბორავს და ყველა ცხოველი დაღუპულა... მაშინაც მხოლოდ ბეჰემოტი გადარჩენილა. არანაკლებ დატბორა თბილისი 1972 წელს მოვარდნილმა ღვარცოფმა და მდინარის ადიდებამ, რომლის ფოტოსაც გთავაზობთ.

წყარო: http://intermedia.ge 2015, 16 ივნისი, 19:28

2 ა. ტექსტის მიხედვით, რა არის წყალდიდობების მიზეზი თბილისში? დაამატეთ საკუთარი მოსაზრებები.

ბ. დაიყავით მცირე ჯგუფებად და არსებულ ცოდნაზე დაყრდნობით მოიფიქრეთ, როგორ შეიძლება თბილისის წყალდიდობის თავიდან არიდება?

3 ნახეთ ვიდეოჩანაწერი (3.1) და შეადარეთ:

ა. რესპონდენტის აზრით, რა არის თბილისში წყალდიდობის მიზეზი?

ბ. რესპონდენტის აზრით, ვინ არის პასუხისმგებელი წყალდიდობის შედეგებზე?

4 რაში ხედავს რესპონდენტი გამოსავალს?

5 დაიყავით ჯგუფებად და ჩაატარეთ პრეზენტაცია თბილისის წყალდიდობის შესახებ. საჭიროებისამებრ მოიძიეთ დამატებითი ინფორმაცია და წარმოადგინეთ თბილისის სტიქია ისტორიულ ჭრილში, მოიყვანეთ სხვადასხვა მოსაზრება მის წარმომშობ მიზეზებსა და შესაძლო გამოსავალზე.

ბლოკი 4

პარტიზანული მებაღეობა

1 ა. დააკვირდით სურათს და მოისმინეთ ჯგუფის წევრების იდეები/აზრები. რატომ შეიძლება არსებობდეს „პარტიზანული მებაღეობა“?

ბ. მოიძიეთ ქართულენოვან ინტერნეტსივრცეში ინფორმაცია ქართველ პარტიზან მებაღეებზე.

2 მოუსმინეთ აუდიოჩანაწერს (3.2) და გაარკვიეთ:

ა. რა ტიპის მოძრაობა / ორგანიზაციაა „პარტიზანული მებაღეობა“?

ბ. რა არის ამ ფენომენის წარმოშობის მიზეზი ქართულ საზოგადოებაში?

3 აუდიოჩანაწერის (3.2) მიხედვით, რაში გამოიხატება „ჯენტრიფიკაცია“ თბილისში?

4 რაში ხედავს რესპონდენტი, ნატა ფერაძე, მთავარ პრობლემას და, შესაბამისად, რა არის გამოსავალი შექმნილი მდგომარეობიდან?

5 ინტერნეტში მოიძიეთ დამატებითი ინფორმაცია „პარტიზან მებაღეებზე“ და მოუყევით ჯგუფის წევრებს თქვენ მიერ მოძიებული ახალი ინფორმაცია ამ მოძრაობის შესახებ.

თავი IV

ჯანმრთელობა

მისაღწევი მიზნები

მოსმენა:
საინფორმაციო ხასიათის ინტერვიუს დეტალების გაგება სამედიცინო დაზღვევის თემაზე.

კითხვა:
ჯანდაცვის თემაზე საინფორმაციო ტექსტის დეტალურად გაგება.

ლაპარაკი:
ჯანდაცვის თემაზე ხანგრძლივად, ნათლად და დეტალურად საუბარი მისთვის ნაცნობ ან საინტერესო თემებზე, ნიუანსების დაწვრილებით აღწერა და სხვადასხვა მონაცემის ერთმანეთთან შედარება;

მოხსენების შემდეგ ინტერაქცია: შეკითხვის დასმა და შეკითხვაზე არგუმენტირებული პასუხი.

წერა:
კარგად ჩამოყალიბებული, დეტალური ტექსტის დაწერა წაკითხული და მოსმენილი ინფორმაციის საფუძველზე;
ჯანდაცვის თემაზე ტექსტების სინთეზი, ანალიზი და ესეს დაწერა.

გრამატიკა/ლექსიკა

სასხვისო ქცევის ნიშნის ფუნქცია მესამე პირში (უ-).

სამედიცინო სფეროსთან დაკავშირებული ლექსიკა;
დაავადებები;
სტატისტიკური მონაცემების აღსაწერად საჭირო ლექსიკა.

ბლოკი **1** – საყოველთაო დაზღვევა
ბლოკი **2** – ყველაზე გავრცელებული დაავადებები საქართველოში
ბლოკი **3** – საყოველთაო ჯანდაცვის ავკარგიანობა
ბლოკი **4** – საყოველთაო ჯანდაცვის საყოველთაო პრობლემები

ბლოკი 1

საყოველთაო დაგღვევა

1 იმუშავეთ წყვილებში და ჰკითხეთ ერთმანეთს:

ა. რა სახის დაზღვევა იცით?

ბ. ვის შეუძლია სარგებლობა ამა თუ იმ დაზღვევით?

გ. რომელ დაზღვევას ანიჭებთ უპირატესობას? რატომ? მოიყვანეთ არგუმენტები.

2 მოუსმინეთ ვიდეოჩანაწერს (4.1) და გაარკვიეთ:

ა. ვისთვის არის საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამა?

ბ. რა მომსახურების მიღება შეუძლია პაციენტს ამ პროგრამის ფარგლებში?

3 ა. მოუსმინეთ ვიდეოჩანაწერს (4.1) კიდევ ერთხელ და კონტექსტის მიხედვით გაარკვიეთ, რას ნიშნავს:

- <u>გეგმიური</u> სამედიცინო მომსახურება.
- <u>გადაუდებელი</u> სამედიცინო მომსახურებება.

ბ. რა დაგეხმარათ ხაზგასმული სიტყვების შინაარსის გაგებაში?

4 ვიდეოჩანაწერის (4.1) მიხედვით უპასუხეთ შეკითხვებს:

ა. რა განხვავებაა გეგმიურ ამბულატორიულ და გადაუდებელ ამბულატორიულ მომსახურებებს შორის?

ბ. რომელი ინსტანციები არის ჩართული პროგრამით გათვალისწინებული მომსახურების მიღებაში და რა სახით?

5 ვიდეოჩანაწერის (10.1) მიხედვით, რომელია გადაუდებელი ამბულატურიული შემთხვევები? ჩამოთვალეთ მინიმუმ ოთხი შემთხვევა:

- .....
- .....
- .....
- .....

ბლოკი 2

ყველაზე გავრცელებული დაავადებები საქართველოში

1 იმუშავეთ წყვილებში:

ა. როგორ ფიქრობთ, რომელი დაავადებებია ყველაზე გავრცელებული?

ბ. რა არის ამ დაავადებების გამომწვევი მიზეზი?

2 გადაავლეთ თვალი ტექსტს და იპოვეთ, რომელი დაავადება არის გავრცელებული საქართველოში ყველაზე მეტად?

ყველაზე გავრცელებული დაავადებები საქართველოში

1. დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ცენტრის არაგადამდები დაავადებების დეპარტამენტის უფროსი, ლელა სტურუა, საქართველოში ყველაზე გავრცელებული დაავადებების გამომწვევ რისკფაქტორებსა და პრევენციის საშუალებებზე Ambebi.ge-ს ესაუბრა.

2. **– რომელ დაავადებებს აქვს ავადმყოფობისა და სიკვდილიანობის ყველაზე მაღალი მაჩვენებლები და რითია ეს განპირობებული?**

– მიუხედავად ცალსახა პროგრესისა, საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ინტერვენციისა და სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებასთან დაკავშირებით, არაგადამდები დაავადებები კვლავაც რჩება მნიშვნელოვან გამოწვევად საქართველოს ჯანდაცვის სისტემისათვის. ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის (ჯანმო) 2011 წლის ანგარიშის მიხედვით, საქართველოში სიკვდილიანობის 91 პროცენტი გამოწვეულია არაგადამდები დაავადებებით, აქედან 71 პროცენტი მოდის გულ-სისხლძარღვთა დაავადებებზე, 12 პროცენტი – კიბოზე, 2 პროცენტი – დიაბეტზე, 1 პროცენტი – ქრონიკულ რესპირატორულ დაავადებებზე, ხოლო სხვა არაგადამდებ დაავადებებზე მოდის საერთო სიკვდილიანობის 5 პროცენტი.

3. 2010 წელს ჩატარებულმა არაგადამდები დაავადებების რისკის ფაქტორების კვლევამ აჩვენა, რომ ქვეყანაში თამბაქოს მოხმარების საშუალო მაჩვენებელი 30.3%-ია (მწეველია მამაკაცთა 55.5% და ქალების – 4.8%), 70% დღიურად 5 ულუფაზე ნაკლებ ხილსა და ბოსტნეულს იღებს, 21.6% დაბალი ფიზიკური აქტივობით გამოირჩევა, ხოლო 56.5% ჭარბწონიანია ან მსუქანი.

4. – გულ-სისხლძარღვთა დაავადებებიდან რომელია ყველაზე უფრო გავრცელებული საქართველოში? რა სიმპტომები ახასიათებს ამ დაავადებას და რა რისკფაქტორები განაპირობებს მის განვითარებას?

– ყოველწლიურად მსოფლიოში კარდიოვასკულური დაავადებებით 17 მლნ ადამიანი იღუპება, ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის ექსპერტთა შეფასებით, 2030 წლისათვის ეს ციფრი 23 მილიონს მიაღწევს. გულ-სისხლძარღვთა დაავადებები სიკვდილიანობის უმთავრესი მიზეზია ევროპაში.

5. 2000-2013 წლებში საქართველოში აღინიშნება გულ-სისხლძარღვთა დაავადებების ზრდის ტენდენცია, რაც შეიძლება აიხსნას არა მხოლოდ ინციდენტების რეალური მატებით, არამედ, მოსახლეობის ცალკეული ჯგუფებისათვის მთელი რიგი სამედიცინო სერვისების ხელმისაწვდომობის გაზრდითა და წინა წლებთან შედარებით დაავადებათა აღრიცხვიანობის გაუმჯობესებით. გულ-სისხლძარღვთა დაავადებებში წამყვანი ადგილი უჭირავს ჰიპერტონულ, იშემიურ და ცერებროვასკულურ დაავადებებს;

6. საქართველოში გულ-სისხლძარღვთა დაავადებებს შორის ავადმყოფობისა და სიკვდილიანობის კუთხით ყველაზე დიდი წილი მოდის ჰიპერტენზიაზე (45%-50%). ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით (2002), საქართველო მსოფლიოს იმ 5 ქვეყანას შორისაა, რომელთა მოსახლეობაშიც ფიქსირდება არტერიული წნევის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი;

7. საქართველოში ევროკავშირის მისიისა და ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მხარდაჭერით 2010 წელს დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის მიერ ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის სტეპს მეთოდოლოგიის სტანდარტიზებული ინსტრუმენტების გამოყენებით ქვეყნის მასშტაბით ჩატარდა არაგადამდები დაავადებების რისკფაქტორების პირველი კვლევა. კვლევის მიხედვით, რესპონდენტთა 33.4 პროცენტი (მამაკაცები – 37% და ქალები – 30%) რეალური ან პოტენციური ჰიპერტონიკია; ჰიპერტონიკების 61.1 პროცენტი არ გადის ანტიჰიპერტენზიულ მკურნალობას. კვლევამ მაჩვენებლები საგანგაშო აღმოჩნდა, რადგან საქართველოს მოსახლეობის 56 პროცენტი მსუქანია (58.6% – მამაკაცი, 54.2% – ქალი) და 25.1 პროცენტი – ჭარბწონიანი (21.8% – მამაკაცი და 28.5% – ქალი).

8. – შაქრიანი დიაბეტი დაავადებათა ზემოთ მოცემულ ნუსხაში ბოლო, მე-10 ადგილზეა, თუმცა, საკმაოდ რთულ დაავადებად არის მიჩნეული. რა მდგომარეობაა ამ მხრივ საქართველოში ბოლო წლების სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, იზრდება თუ არა ამ დაავადების რიცხვი და რამდენად მართვადია ეს დაავადება? რა რისკფაქტორები იწვევს შაქრიან დიაბეტს და, საშუალოდ, რა ასაკის ადამიანები ავადდებიან?

– მსოფლიო მასშტაბით დიაბეტით სიკვდილიანობის თითქმის 80% აღინიშნება დაბალ და საშუალო შემოსავლების მქონე ქვეყნებში. დიაბეტით ავადობა საქართველოს ჯანდაცვის უმთავრესი პრობლემაა. დაავადების გავრცელება ქვეყანაში საკმაოდ მაღალია და წლიდან წლამდე მზარდია. საქართველოში 2012 წლის ბოლოს რეგისტრირებული იყო შაქრიანი დაბეტის 79169 შემთხვევა.

9. – რა რისკფაქტორები იწვევს შაქრიან დიაბეტს?

– დიაბეტი დაკავშირებულია ისეთი ფაქტორების მოქმედებასთან, როგორებიცაა: არასწორი კვება, თამბაქოსა და ალკოჰოლის ჭარბი მოხმარება, სიმსუქნე, ჰიპოდინამია. ხშირად დიაგნოზის დასმა ხდება დაავადებიდან რამდენიმე წლის შემდეგ, როდესაც აშკარად გამოხატულია გართულებები.

გესტაციური დიაბეტი – დიაბეტი, რომლის თავს იჩენს ორსულობისას და, შესაძლებელია, სწორი მართვის შემთხვევაში, ორსულობის შემდეგ აღარ გამოვლინდეს; თუმცა, მას დიაბეტის განვითარების მაღალი რისკი აქვს.

10. ძირითადი არაგადამდები დაავადებები, როგორებიცაა: გულ-სისხლძარღვთა დაავადებები, კიბო, დიაბეტი და ქრონიკული რესპირატორული დაავადებები, ხასიათდება საერთო რისკფაქტორებით – თამბაქოს მოხმარება თამბაქოს პასიური მოხმარების ჩათვლით, არაჯანსაღი საკვები ცხიმების, მარილისა და შაქრის მაღალი შემცველობის საკვები, დაბალი ფიზიკური აქტივობა და ალკოჰოლის ჭარბი მოხმარება. ეს ოთხი უმნიშვნელოვანესი რისკფაქტორი, ისეთი შუალედური რისკფაქტორების თანდართვით, როგორებიცაა: სიმსუქნე, ჰიპერტენზია, გლუკოზისა და ქოლესტეროლის მაღალი კონცენტრაცია სისხლში, წარსულში მიჩნეული იყო განვითარებული ქვეყნების ჯანმრთელობის უმნიშვნელოვანეს და უმწვავეს პრობლემად, თუმცა ამჟამად სრულიად ბუნებრივ და სწრაფად მზარდ პრობლემად გადაიქცა უღარიბესი ქვეყნებისთვისაც.

სალომე შიხაშვილი, Ambebi.ge
წყარო (მცირედი სახეცვლილებით): http://www.ambebi.ge/sazogadoeba/95732-10-yvelaze-gavrcelebuli-daavadeba-saqarthveloshi.html

3 **ა. მიუსადაგეთ დაავადებები შესაბამის კატეგორიებს ცხრილში:**

გრიპი ფილტვების ანთება ნაღვლის ბუშტის ანთება ანგინა

შიდსი (შეძენილი იმუნოდეფიციტის სინდრომი) ჰერპესი ალერგია

ბრონქიტი დიაბეტი

გადამდები დაავადებები	**არაგადამდები დაავადებები**

ბ. მიუწერეთ განმარტებებს დაავადების ტიპი:

1. …….…….. – ვრცელდება ჰაერწვეთოვანი გზით.
ვრცელდება დაავადებულ ადამიანთან კონტაქტისას: ხელის ჩამორთმევის დროს, გადაკოცნისას.

2. …….…….. – შეძენილია ცხოვრების არაჯანსაღი წესით ან გადადის მემკვიდრეობით.

4 **რა კრიტერიუმებით არის შედგენილი მეორე აბზაცში მოცემული დაავადებების სტატისტიკა?**

ა. _____

ბ. _____

5 წაიკითხეთ ტექსტი კიდევ ერთხელ და უპასუხეთ შეკითხვებს:

ა. რა საერთო არის დაავადებების კუთხით საქართველოსა და ევროპის მონაცემებს შორის?

ბ. იპოვეთ ტექსტში საქართველოში დაავადებათა ზრდის ტენდენციის მიზეზები.

გ. რა არის, კვლევის მიხედვით, ყველაზე გავრცელებული დაავადებების წარმომშობი მიზეზები?

ბლოკი 3

საყოველთაო ჯანდაცვის ავკარგიანობა

1 წაიკითხეთ ტექსტი, მოიშველიეთ თქვენი წინარე ცოდნა და საკუთარ მოსაზრებაზე დარყდნობით დაასაბუთეთ, რა არის ჯანმრთელობის დაცვის საყოველთაო უპირატესობა? პროგრამის (ჩამოწერეთ პუნქტებად):

- .....
- .....
- .....
- .....

საყოველთაო ჯანდაცვა და მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობა

ლიკა ზაკაშვილი
სტატიები/ჯანდაცვა
31 მარტი 2016

2016 წლის თებერვალში საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის პროგრამის ამოქმედებიდან 3 წელი სრულდება. ჯერ კიდევ პროგრამის ამუშავებამდე მას ბევრი კრიტიკოსი გამოუჩნდა. სკეპტიკოსთა რიგებში იყვნენ ისეთები, რომლებიც ფიქრობდნენ, რომ სახელმწიფო არ უნდა ზრუნავდეს ყველა მოქალაქის ჯანმრთელობაზე. მან ჯანმრთელობასთან დაკავშირებული ფინანსური რისკებისგან მხოლოდ მოწყვლადი ჯგუფები უნდა დაიცვას.

იყვნენ ისეთებიც, რომლებიც ფიქრობდნენ, რომ საყოველთაობა ცუდი არაა და სახელმწიფო თავის მოქალაქეებს ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ ფინანსურ ტვირთს უნდა უმსუბუქებდეს განურჩევლად მათი შემოსავლისა და სტატუსისა.

საყოველთაო ჯანმრთელობის პროგრამის ეფექტურობის შესაფასებლად მსოფლიო ბანკთან თანამშრომლობით ჩატარდა ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი კვლევა, რომლის მიზანიც იყო იმის განსაზღვრა, როგორ გაიზარდა ჯანდაცვის სერვისებზე ხელმისაწვდომობა პროგრამის დაწყების შემდეგ და, რაც უფრო მთავარია, როგორ შეუმსუბუქდა სხვადასხვა სოციალური სტატუსის მოქალაქეებს ჯანდაცვაზე გაწეული ფინანსური ხარჯები. კვლევის აღნიშნული ნაწილი განსაკუთრებით საინტერესოა, რადგან ჯანდაცვის პროგრამების ერთ-ერთი უმთავრესი მიზანი სწორედ ჯანდაცვის სხვადასხვა სერვისზე მოსახლეობის ჯიბიდან გადახდილი თანხის შემცირებაა.

ჯანდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, საყოველთაო ჯანმრთელობის პროგრამის ამუშავების შემდეგ გაუმჯობესდა სამედიცინო სერვისებზე ხელმისაწვდომობა, რაც იმას ნიშნავს, რომ მოქალაქეები ახლა უფრო ხშირად მიმართავენ სამედიცინო დაწესებულებებს.

რა გავლენა მოახდინა სამედიცინო მომსახურებებზე ხელმისაწვდომობის გაზრდამ მოსახლეობის ჯანმრთელობაზე?

ჯანდაცვის სისტემის ოთხი ძირითადი მიზნიდან პირველი მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესებაა.

ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის კონსტიტუციის მიხედვით ადამიანის ფუნდამენტური უფლება ცხოვრების პროდუქტიულად გატარებაა.

შესაბამისად, მოსახლეობის ჯანმრთელობაზე ზრუნვა, ავადობისა და სიკვდილიანობის შემცირება, მაღალი ხარისხისა და უსაფრთხო სამედიცინო მომსახურებაზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა და მათი ფინანსური რისკებისგან დაცვა ყოველი ქვეყნის ჯანდაცვის სისტემის ეროვნული პრიორიტეტი და პასუხისმგებლობაა.

მოსახლეობის ჯანმრთელობაზე გავლენას მხოლოდ ჯანდაცვა არ ახდენს.

მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობას ჯანდაცვის სისტემასთან ერთად სოციალური, ეკონომიკური და სხვა გარემო პირობები განსაზღვრავს.

ჯანდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, 2014 წლისთვის სახელმწიფო ჯანდაცვის პროგრამამ მოსახლეობის 99% მოიცვა.

მსოფლიო ბანკის, ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციისა და აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მიერ ჩატარებული კვლევის მიხედვით, 2010 წელთან შედარებით მოსახლეობა უფრო ხშირად აკითხავს ჯანდაცვის სერვისის მიმწოდებელს. კერძოდ, 2010 წელთან შედარებით 2014 წელს 6.6%-ით გაიზარდა იმ პირთა რაოდენობა, რომლებმაც ავადმყოფობის გამო სამედიცინო დაწესებულებას მიმართეს (2010 – 70.6%, 2014 – 76.6%).

2 **გაეცანით ქვემოთ მოცემულ ტექსტს და განსაზღვრეთ, რა ნაკლი შეიძლება ჰქონდეს ჯანმრთელობის დაცვის საყოველთაო პროგრამას?**

- .....
- .....
- .....
- .....

ჰიპერტენზია – „ჩუმი მკვლელი“

საანგარიშო წელს (2014) სისხლის მიმოქცევის სისტემის ახალი ავადმყოფობების გამოვლენისას 54.8% ჰიპერტენზიით დაავადებული, 21,8% – გულის იშემიით, 4,8% – ცერებროვასკულური ავადმყოფობებით და სხვა მიზეზებით 19% იყო. ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით, საქართველო იმ ხუთ ქვეყანას შორისაა, რომელთა მოსახლეობასაც ყველაზე მაღალი არტერიული წნევა აღინიშნება (საქართველოში, უნგრეთი, პოლონეთი, ლიტვა, კვიპროსი).

გულ-სისხლძარღვთა დაავადებათა წამყვანი ადგილი ჰიპეტენზიას უკავია. ჰიპეტენზიას “ჩუმი მკვლელი” ეწოდება, რადგან ხშირად ადამიანებმა არ იციან მისი არსებობის შესახებ. დავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის მიერ მომზადებულ ანგარიშში ნათქვამია, რომ ზრდასრული ადამიანების 60%-ს ჰიპერტენზიის განვითარების რომელიმე რისკფაქტორი აქვს, ხოლო ამ პოპულაციის ნახევარს – ორი ან მეტი რისკფაქტორი აღენიშნება, რაც ზრდის დაავადებების განვითარების რისკს.

ჰიპერტენზიის გამოწვევი რისკფაქტორია გენეტიკა – ჰიპეტენზიის არსებობა პირველი რიგის ნათესავებში დაავადების განვითარების მაღალ რისკზე მიუთითებს. ალკოჰოლის ჭარბი მოხმარება – სპირტის მაღალი შემცველობის სასმელის ხშირი მიღება – ზრდის წნევის მაჩვენებელს. თამბაქოს მოხმარება – მოწევა – იწვევს სისხლძარღვების შევიწროებას და დაზიანებული სისხლძარღვების მიდრეკილებას სპაზმისკენ. მისი გამომწვევი მიზეზები ასევე არის სტრესი და ფსიქიკური დაძაბულობა, მარილის ჭარბი მოხმარება, დაბალი ფიზიკური აქტივობა, სიმსუქნე, არაჯანსაღი კვება.

ჰიპერტენზიის გამომწვევი რისკფაქტორების სია ცხადყოფს, რომ ამ დაავადებასთან ბრძოლის ერთადერთი გზა სამედიცინო დაწესებულებები არაა და რისკფაქტორების შემცირების გარეშე ჰიპერტენზიით ავადმყოფობისა და სიკვდილიანობის მაჩვენებლის შეცვლა რთული ან შეუძლებელი იქნება.

ამასთანავე, საგულისხმოა 2010 წლის კვლევა არაგადამდები დაავადებების რისკფაქტორების შესახებ, რომლის მიხედვითაც მოსახლეობის 34%-ს ჩამოყალიბებული ან პოტენციური ჰიპერტენზია აქვს. ამავე კვლევის მიხედვით, ძალიან სწარაფად უნდა დაინერგოს არაგადამდები დაავადებების პრევენციისა და კონტროლის ეფექტური სისტემები.

ჯანდაცვის სამინისტროს წარმომადგენლის, მაია ხომერიკის, თქმით, სახელმწიფოს დაგეგმილი აქვს საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამაში მედიკამენტოზური კომპონენტის გაფართოება, სადაც ამბულატორიულ დონეზე გათვალისწინებული იქნება ანტიჰიპერტენზიული მედიკამენტების ჩადება.

გულ-სისხლძარღვთა სისტემით დაავადებულ პირთა რაოდენობა იზრდება. როგორც სხვადასხვა ანგარიშიდან ჩანს, კარდიოქირურგიულ ოპერაციათა რაოდენობა 4-ჯერ გაიზარდა, თუმცა, სახელმწიფოს ამ დაავადებების პრევენციის ნაწილში ჯერჯერობით ეფექტური ღონისძიებები არ გაუტარებია. ჰიპერტენზიის ეროვნული სტრატეგიის მიხედვით კი საქართველოს საკმაოდ ამბიციური გეგმა აქვს და 2025 წლამდე ჰიპერტენზიის პრევალენტობის 25%-ით შემცირებას გეგმავს.

http://liberali.ge/articles/view/21815/sayoveltao-jandatsva-da-mosakhleobis-janmrtelobis-mdgomareoba

3 **დააკვრიდით 2014 წლის სიკვდილიანობის მონაცემებს და შეადარეთ ისინი წინა წლების მონაცემებს (ბლოკი 2, დავალება 2):**

რომელმა დაავადებებმა იკლო და რომელმა მოიმატა?

4 **ა. დაიყავით ქვეჯგუფებად და შეიმუშავეთ სტრუქტურა მოხსენებისთვის: „საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის საყოველთაო პროგრამის ავკარგიანობა“. გაითვალისწინეთ შემდეგი მსხვილი პუნქტები:**

- შესავალი – პრობლემის დასმა;
- ძირითადი ნაწილი – არსებული სიტუაციის აღწერა, ანალიზი და არგუმენტები;
- დასკვნა – საკუთარი მოსაზრება მოცემულ საკითხზე.

ბ. განიხილეთ ქვეჯგუფების მიერ შემუშავებული სტრუქტურა მთლიან ჯგუფთან.

გ. როგორ შეაფასებთ მოხსენებას? შეავსეთ და შემდგომ განიხილეთ ქვეჯგუფის მომხსენებლების შეფასების რუბრიკები:

	3 (კარგი)	2 (საშუალო)	1 (არადამაკმაყოფილებელი)
მოხსენება კარგად არის სტრუქტურირებული.			
მომხსენებლები ადეკვატურად და არგუმენტირებულად პასუხობენ მსმენელების შეკითხვებს.			

5 ა. მოამზადეთ ზეპირი მოხსენება შემუშავებული სტრუქტურის მიხედვით. ჩამოწერეთ მნიშვნელოვანი დარგობრივი სიტყვები და ფრაზები, რომლებიც დაგჭირდებათ მოხსენებისთვის.

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

ბ. ქვეჯგუფის წევრებზე გაანაწილეთ მოხსენების ნაწილები და წარუდგინეთ მოხსენება აუდიტორიას.

გ. მსმენელებმა შეაფასეთ მომხსენებლები დავალება 4.ბ-ში შემუშავებული კრიტერიუმების ცხრილის მიხედვით.

ბლოკი 4

საყოველთაო ჯანდაცვის საყოველთაო პრობლემები

1 მოსუმინეთ აუდიოჩანაწერს (4.2) და მონიშნეთ, რომელია სწორი:

საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის შედეგად მოსახლეობას სჭირდება ბინის გაყიდვა ან დაგირავება ოპერაციის გასაკეთებლად.	
უღარიბესი მოსახლეობა სოფლად ცხოვრობს.	
ყველა მოქალაქეს უნდა ჰქონდეს ჯანდაცვის მოკრძალებული პაკეტი.	
ჯანდაცვის სამინისტრო ვერ აკონტროლებს პროგრამის ხარჯებს.	
სხვადასხვა სოციალური ფენის ქრონიკული დაავადებების მქონე მოქალაქეებს თანაბრად გაეზარდათ ხარჯები.	
მოსახლეობის უფრო მდიდარ ნაწილს უფრო მეტის გადახდა უწევს ჯიბიდან.	
პროგრამაში შეინიშნება კვალიფიციური დაგეგმვისა და ანალიზის დეფიციტი.	

2 **მოუსმინეთ აუდიოჩანაწერს (4.2) კიდევ ერთხელ და განსაზღვრეთ:**

ა. რამდენი ითვლება საქართველოში მაღალ შემოსავლად?

ბ. რამდენი ლარით არის გაზრდილი პროგრამის ხარჯები?

---

3 **რა ფუნქცია აქვს უ- პრეფიქსს შემდეგ სიტყვებში:**

ა. ღარიბი – უღარიბესი

მდიდარი – უმდიდრესი

ბ. უწევს
უჭირს
უჩანს

4 **ა. გამოყავით შემდეგი სიტყვების ძირი (რომელი სიტყვისგან არის ნაწარმოები):**

გაუმჯობესება –

გაუარესება –

ბ. ვის გაუუმჯობესდა პირობები საყოველთაო დაზღვევის შედეგად და ვის გაუუარესდა?

გ. დააკვირდით ქვემოთ მოცემულ ზმნებს: რა ფუნქცია აქვს ამ ზმნებში პირველ და მეორე უ-ს: რომელი ემთხვევა ფუნქციურად 3.ა დავალების სიტყვების ფუნქციას და რომელი – 3.ბ ზმნებისას:

გაუუმჯობესდა –

გაუუარესდა –

დ. შეავსეთ წესი:

უ- პრეფიქსიან ზმნებთან ბენეფიციარი (ვისთვისაც არის დანიშნული ზმნით აღნიშნული მოქმედება) ყოველთვის დგას ..... ბრუნვაში.

5 **აღწერეთ ორი ძირითადი პრობლემა, რომლებიც საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის დანერგვის შემდეგ გამოიკვეთა:**

ა. _____

_____

ბ. _____

_____

6 საყოველთაო ჯანდაცვის წარმატებები და ხარვეზები.

დაიყავით მცირე ჯგუფებად, გამოიყენეთ ამ თავში მოცემული სხვადასხვა მოსამენი თუ წერილობითი ტექსტი, შეაჯამეთ ინფორმაცია და წარმოადგინეთ საკითხთან დაკავშირებული დადებითი და უარყოფითი მხარეების საკუთარი ანალიზი ესეს სახით (დაახლოებით 200 სიტყვა).

თავი V

ეკონომიკა

მისაღწევი მიზნები

მოსმენა:

შემსწავლელს შეუძლია ძირითადად ყველაფერი გაიგოს ეკონომიკურ თემებზე სალიტერატურო ენით გადმოცემული სატელევიზიო გადაცემებიდან.

კითხვა:

შემსწავლელს შეუძლია იმ სტატიებისა და მოხსენებების გაგება, რომლებიც ეხება თანამედროვე პრობლემებს და რომელთა ავტორებიც გამოთქვამენ განსაკუთრებულ აზრს ან დგანან განსხვავებულ პოზიციაზე;

შემსწავლელს შეუძლია გაიგოს სპეციალური სტატიები, რომლებიც სცილდება მისი საქმიანობის სფეროს იმ შემთხვევაში, თუ მას აქვს ლექსიკონის გამოყენების საშუალება ამა თუ იმ ტერმინის/კონკრეტული პოლისემიური სიტყვის რომელიმე მნიშვნელობის დასაზუსტებლად.

ლაპარაკი:

შემსწავლელს შეუძლია საკუთარი მოსაზრებების ზუსტად და დაბეჯითებით გადმოცემა; ასევე სხვის არგუმენტებზე რეაგირება, დისკუსიის გამართვა ეკონომიკურ პრობლემატიკაზე წასაკითხი ან მოსმენილი ტექსტიდან გაგებული ინფორმაციის საფუძველზე.

წერა:

შემსწავლელს შეუძლია კარგად ჩამოყალიბებული, დეტალური ტექსტის დაწერა წაკითხული ან მოსმენილი ინფორმაციის საფუძველზე;

შემსწავლელს შეუძლია წერილობით ტექსტებში დამოკიდებულებაზე, მიზეზებსა და შედეგებზე ვარაუდების გამოთქმა.

გრამატიკა/ლექსიკა



ჰიპოთეზის ჩამოყალიბება პირობითი წინადადების საშუალებით: თუ… , მაშინ …;

მცდარი და ნამდვილი მიზეზის დასახელება „არა ….. , არამედ" კონსტრქუციის მეშვეობით;

სასურველ-აუცილებელი მოქმედების გამოხატვა მეორე კავშირებითის საშუალებით (გამეორება-გამრავლება).

ბლოკი **1** – საარსებო მინიმუმი

ბლოკი **2** – ქართული ღვინის ექსპორტი

ბლოკი **3** – საშინაო და საგარეო ვალი

ბლოკი **4** – აბრეშუმის გზა

ეკონომიკური ლექსიკა სახელმწიფო ვალის, სამომხმარებლო კალათის, ექსპორტისა და სავაჭრო ურთიერთობების სფეროს შესახებ.

ბლოკი 1

საარსებო მინიმუმი

1 ა. იმუშავეთ წყვილებში და ჩამოწერეთ პუნქტებად, რა კრიტერიუმებით განისაზღვრება სიღარიბის ზღვარზე მყოფი ქვეყანა:

ბ. განმარტეთ, რას ნიშნავს (შეგიძლიათ გამოიყენოთ ლექსიკონი):

1. „საარსებო მინიმუმი“

2. „სამომხამარებლო კალათა“

2 გადახედეთ ქვემოთ მოცემულ ტექსტს, შეადარეთ და შეავსეთ პირველი დავალების ა. და ბ. პუნქტები.

რამდენად ასახავს სამომხმარებლო კალათა რეალურ სურათს?

ემა ტუხიაშვილი
10 თებერვალი / 2015 წყარო: გაზეთი „კვირის პალიტრა“

„იმის გამო, რომ მოსახლეობა ჯერ კიდევ სურსათში ხარჯავს თავისი შემოსავლის უმეტეს ნაწილს, საქართველო კვლავ სიღარიბის ზღვარზე
მყოფი ქვეყნების რიგში დგას“.

სტატისტიკის სამსახურმა სამომხმარებლო კალათა განაახლა. როგორც გასულ წელს, 2015 წლის სამომხმარებლო კალათა კვლავ 295 დასახელების საქონლისა და მომსახურებისგან შედგება, თუმცა, შარშანდელთან შედარებით, შეცვლილია მათი ოდენობები.

სამომხმარებლო კალათა ქვეყნის საშუალო მომხმარებლის დანახარჯებს ასახავს. ის გვაჩვენებს, რომ საშუალო-სტატისტიკური ქართველი ყველაზე მეტს სურსათისა და უალკოჰოლო სასმელების შესაძენად ხარჯავს – 30,74%-ს საერთო ხარჯებიდან, ყველაზე იშვიათად კი ტანსაცმელსა და ფეხსაცმელს ყიდულობს. სასმელ-საკვების შემდეგ, სამომხმარებლო კალათაში ყველაზე დიდი წილი ტრანსპორტზე მოდის – 11,80%, შემდეგ ჯანმრთელობის დაცვაზე – 9,46%, საცხოვრებელზე, წყალზე, ელექტროენერგიაზე, აირსა და სათბობის სხვა სახის დანახარჯებზე – 8,48% და სხვ. სასურსათო დანახარჯების მაღალი წილის გამო, საქართველო კვლავ სიღარიბის ზღვარზე მყოფი ქვეყნების რიგში დგას. თუმცა, საშუალო-სტატისტიკური ქართველის სამომხმარებლო კალათაში შედის ქიშმიშიც, ყვავილიცა და კინოსეანსზე დასწრებაც. რამდენად ასახავს სტატისტიკოსების მიერ შედგენილი სამომხმარებლო კალათა რეალურ სურათს, ალბათ, ეკონომისტების განსასჯელია, ერთი კი ფაქტია, რომ 159-ლარიანი საარსებო მინიმუმი მომხმარებლის საჭიროებებს ნამდვილად ვერ აკმაყოფილებს.

სოსო არჩვაძე, ექსპერტი ეკონომიკის საკითხებში: "ბოლო წლების პრაქტიკა ადასტურებს, რომ იცვლება სამომხმარებლო კალათის შემადგენლობა, სამომხმარებლო კალათაში წარმოდგენილი გვქონია 311 დასახელების საქონელიც და 265-ც. ეს იმაზეა დამოკიდებული, კონკრეტულ დროს როგორ არის განაწილებული ხარჯების „მარაო“ სხვადასხვა საქონლის ან მომსახურების მიმართ. არსებული 295 დასახელება სავსებით ლეგიტიმურია, საკმარისია და კალათის შემადგენლობის მიხედვით საკმაოდ საინტერესო ინფორმაციის მიღება შეიძლება. სხვა საკითხია ე.წ. ღირებულება – რა ღირებულებისაა თითოეული ეს სასაქონლო ჯგუფი. კითხვებსა და სკეპტიციზმს ის ბადებს, რომ პროპორციები მათ შორის არ არის ეკონომიკურად საფუძვლიანად დასაბუთებული. მაგალითად, გამოდის, რომ ჩვენი მოსახლეობა სასმელსა და თამბაქოზე ხარჯავს თითქმის ორჯერ მეტს, ვიდრე ტანსაცმელსა და ფეხსაცმელზე. ასეთ შემთხვევაში ჩვენი საზოგადოება სრულიად ასოციალური და მარგინალური ჯგუფებისგან უნდა შედგებოდეს. ამას კი ნამდვილად ვერ იტყვი ამდენი მაღაზიის, ბუტიკისა და ბაზრობის ფონზე. მიმაჩნია, რომ სამომხმარებლო კალათა უნდა გადაიხედოს.

ხარჯების სიდიდე და სტრუქტურა დამოკიდებულია ორ რამეზე – შემოსავლებისა და ფასების დონეებზე ქვეყანაში. ქვეყნებში, სადაც მაღალია შემოსავალი, სასურსათო ხარჯები შედარებით დაბალია. ჩვენთან იყო დრო, როცა სურსათზე მთელი შემოსავლების 2/3-ს ვხარჯავდით. შემდეგ ეს მაჩვენებელი 60%-მდე შემცირდა, ახლა კი 30%-ზე ცოტა მეტია, მაგრამ განვითარებულ ქვეყნებში სურსათზე დანახარჯი გაცილებით ნაკლებია. მაგალითად, ევროკავშირში, ხარჯების მთლიან მოცულობაში, სურსათის ხარჯები მხოლოდ 12%-ია. კიდევ უფრო ნაკლებია ეს მონაცემი აშშ-ში (8,1%) და შესაბამისად, მეტი თანხა რჩებათ სხვა მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად. რაც უფრო იზრდება ოჯახის შემოსავალი, მით უფრო მცირდება ხარჯებში სურსათის წილი. 160 ლარით ამ სამომხმარებლო კალათის შევსება გაჭირდება, მაგრამ თუ მოსახლეობას გადავიყვანთ პურზე, შაქარსა და ჩაიზე, რა თქმა უნდა, 160 ლარიც საკმარისი იქნება.

ფაქტია, რომ ჩვენი საარსებო მინიმუმი ვერ ასახავს რეალურ საჭიროებებს და არც სამომხმარებლო კალათის შესავსებად გვეყოფა. აუცილებლად უნდა გადაისინჯოს საარსებო მინიმუმი, მაგრამ ბოლო დროს ამ საკითხმა ხელისუფლებაში რატომღაც აქტუალურობა დაკარგა“.

3 წაიკითხეთ ტექსტი და უპასუხეთ შეკითხვებს:

ა. რომელ კომპონენტს უჭირავს ყველაზე მეტი წილი ქართულ სამომხმარებლო კალათაში?

ბ. რა განსხვავებაა საქართველოსა და განვითარებული ქვეყნების საშუალო სამომხმარებლო კალათებს შორის?

4 რას და რატომ აყენებს ექსპერტი ეჭვქვეშ მოცემულ სამომხმარებლო კალათაში?

5 ექსპერტის აზრით, რა არის საჭირო სამომხმარებლო კალათის განსაზღვრისას? განმარტეთ, რატომ?

ბლოკი 2

ქართული ღვინის ექსპორტი

1 იმუშავეთ წყვილებში: რა ფაქტორებმა შეიძლება შეუშალოს ან შეუწყოს ხელი ალკოჰოლური პროდუქტის ექსპორტს?

2 ნახეთ ვიდეოჩანაწერი (5.1ა) და განსაზღვრეთ, რა ტენდენციები შეინიშნება საქართველოს ღვინის ექსპორტის სფეროში? (ზრდა, კლება, პროცენტული მაჩვენებლები):

ა. 2016 წლის იანვარში 2015 წლის იანვართან შედარებით:
.....%-ით.

ბ. 2015 წელი 2014-თან შედარებით: .....
.....%-ით.

3 ა. გამოთქვით ვარაუდი, რომელია საქართველოსთვის ღვინის ძირითადი საექსპორტო ქვეყნები?

ბ. მოუსმინეთ ვიდეოჩანაწერი (15.1ბ) და გადაამოწმეთ თქვენი ვარაუდი.

გ. რა იწვევს ექსპორტის ვარდნას (ვიდეოჩანაწერი 5.1ბ) ქართული ღვინის ტრადიციულ, ძირითად საექსპორტო ქვეყნებში?

---

4 რა სტრატეგიას მიმართავს საქართველო ქართული ღვინის რეალიზაციის გასაზრდელად (ვიდეოჩანაწერი 5.1ბ):

ა. ქვეყნის ფარგლებს გარეთ?

ბ. შიდა ბაზარზე?

---

5 დაიყავით სამ ჯგუფად, აირჩიეთ ქვეთემა, მოუსმინეთ ვიდეოჩანაწერს (5.1) სრულად და ჩაინიშნეთ თქვენთვის საჭირო ინფორმაცია არჩეულ თემებთან დაკავშირებით:

ა. ვალუტის რყევა და მისი გავლენა ღვინის რეალიზაციაზე;
ბ. ღვინის კანონის ზემოქმედება ღვინის რეალიზაციაზე;
გ. ტურიზმის როლი ქართული ღვინის რეალიზაციის საქმეში.

ბლოკი 3

საშინაო და საგარეო ვალი

1 იმუშავეთ წყვილებში და ჩამოწერეთ:

ა. რას სახის ვალს იცნობთ?

ბ. ვალის გადახდის რა პირობებს იცნობთ?

გ. როგორ გესმით ტერმინი „სახელმწიფო ვალი“?

---

2 წაიკითხეთ ტექსტი და უპასუხეთ შეკითხვებს:

ა. რამდენია საქართველოს საგარეო ვალი?

ბ. ტექსტის მიხედვით რამდენია საქართველოს საგარეო ვალის ოდენობა ერთ სულ მოსახლეზე?

ვინ არის გადამხდელი?

გიორგი აბაშიშვილი

1 სახელმწიფო საგარეო ვალის გადახდა შესაძლოა თითოეულ მოქალაქეს დაეკისროს, რაც ქამრების სერიოზულად მოჭერას გულისხმობს.

2 სახელმწიფო ვალი არის თემა, რომელიც ხშირად გამხდარა სხვადასხვა ტიპის სპეკულაციის საგანი. ქვეყნის მოქალაქეთა ნაწილი სვამს ლეგიტიმურ კითხვას: სახელმწიფოს მიერ წლების განმავლობაში დაგროვებული ვალის გადახდა სხვადასხვა ფორმით საქართველოს თითოეულ მოქალაქეს ხომ არ მოუწევს?

3 2010 წლის 30 ივნისის მდგომარეობით საქართველოს საგარეო ვალი 6 მილიარდ 389 მილიონ 775 ათასი ლარია.

4 თუ პირობითად დავუშვებთ, რომ საქართველოს თითოეულ მოქალაქეს, განურჩევლად სქესისა და ასაკისა, თავისი წილი ვალის გადახდა დაეკისრა, მაშინ აღმოვაჩენთ, რომ 2010 წლის ბოლოსათვის სახელმწიფო საგარეო ვალი ერთ სულ მოსახლეზე იქნება დაახლოებით 1592 ლარი (საქსტატის მონაცემებით, საქართველოს მოსახლეობა 2010 წლისათვის 4 მილიონ 436 ათას 400 ადამიანია).

5 სახელმწიფო ვალი არის სახელმწიფოს მიერ აღებული ყველა სესხი და მათზე დარიცხული პროცენტები, რომლებიც დროის მოცემული მომენტისათვის დაფარული არ არის. სახელმწიფოს აქვს ვალის აღების "გამართლების" უამრავი მიზეზი, დაწყებული ბიუჯეტის დეფიციტიდან, დამთავრებული ინფრასტრუქტურული პროექტებით.

6 სახელმწიფო ვალი თავის მხრივ იყოფა ორ ნაწილად: სახელმწიფო საგარეო ვალი და სახელმწიფო საშინაო ვალი.

7 სახელმწიფო საშინაო ვალი არის ქვეყნის მთავრობის მიერ საკუთარი მოქალაქეებისაგან აღებული ვალი.

8 სახელმწიფო საგარეო ვალი კი არის ქვეყნის მთავრობის მიერ სხვა ქვეყნებისაგან, ან საერთაშორისო ორგანიზაციებისაგან აღებული სესხი.

9 ეკონომიკური თვალსაზრისით, საგარეო ვალის აღება მაშინაა გამართლებული, როდესაც იზრდება ეკონომიკა, ანუ ქვეყანას უნდა ჰქონდეს მზარდი შემოსავალი, რათა ადვილად შეძლოს აღებული ვალის, ე.წ. ძირი თანხისა და მისი ასევე მზარდი პროცენტების დაფარვა. თუმცა, წლების განმავლობაში, საქართველოში მთავრობა საგარეო ვალს სრულიად გაუმჭვირვალე ვითარებაში იღებდა.

10 სახელმწიფო საგარეო ვალს ოთხი მიმართულება აქვს: პირველი – ეს არის ვალი მრავალმხრივი კრედიტორებისაგან, რომლებშიც იგულისხმება საერთაშორისო ორგანიზაციები; მეორე – ორმხრივი კრედიტორებისაგან აღებული ვალი, როდესაც მთავრობა რომელიმე მეორე ქვეყნისაგან სესხულობს ფულს; შემდგომი სიტუაციაა სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების გაყიდვის გზით დაგროვილი ვალი და ბოლოს, როდესაც თანხის სესხება მესამე ქვეყნიდან, ან საერთაშორისო ორგანიზაციიდან ხდება სახელმწიფოს გარანტიის პირობით.

11 როგორც აღვნიშნეთ, 2010 წლის 30 ივნისის მდგომარეობით, საქართველოს საგარეო ვალი 6 მილიარდ 389 მილიონ 775 ათასი ლარია.

12 თუმცა, 2010 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის თანახმად, საქართველოს სახელმწიფო საგარეო ვალი კიდევ უფრო იზრდება და განისაზღვრება 7 მილიარდ 61 მილიონ 200 ათასი ლარით. ეს თანხა თითქმის მილიარდ-ნახევრით მეტია გასული წლის მაჩვენებელზე.

13 ხშირ შემთხვევაში, სახელმწიფოს საგარეო ვალს განიხილავენ მთლიან შიდა პროდუქტთან (მშპ) მიმართებით. მთლიან შიდა პროდუქტში იგულისხმება ყველა იმ საქონლისა და მომსახურების საბოლოო საბაზრო ღირებულება, რომელიც იწარმოება ქვეყნის შიგნით დროის მოცემულ პერიოდში.

14 მშპ იყოფა ნომინალურ და რეალურ მთლიან შიდა პროდუქტად. რეალური მთლიანი შიდა პროდუქტის გამოსათვლელად ჯერ რომელიმე საბაზისო წელს ირჩევენ და მისგან გამომდინარე ითვლიან მიმდინარე მდგომაერობას.

15 თუმცა, ამ შემთხვევაში, ჩვენთვის უფრო საინტერესო ნომინალური მთლიანი შიდა პროდუქტია, რომლის გამოთვლაც უფრო მარტია – მიმდინარე საბაზრო ფასებით.

16 როდესაც სახელმწიფო საგარეო ვალს ნომინალურ მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებით განიხილავენ, შემდეგი იგულისხმება: მაგალითად, რამდენი მილიარდი ლარის ღირებულების პროდუქცია აწარმოა საქართველომ 2010 წელს, ხოლო ამავე 2010 წელს რამდენი მილიარდი ლარის ღირებულების საგარეო ვალი აქვს.

17 საქართველოს მთავრობის გათვლით, 2010 წელს მთლიანი შიდა პროდუქტის ნომინალური მაჩვენებელი 19 მილიარდ 46 მილიონ 400 ათასი ლარი იქნება. ამ მონაცემების ანალიზის თანახმად კი, შეგვიძლია გავაკეთოთ შემდეგი პროგნოზი: საქართველოს სახელმწიფო საგარეო ვალი 2010 წლის ბოლოსათვის შეადგენს ნომინალური მშპ-ის 37.1 პროცენტს მაშინ, როცა 2009 წლისთვის საგარეო ვალი ნომინალური მშპ-ის მხოლოდ 31.1 პროცენტი იყო.

18 ბოლო ცხრა წლის განმავლობაში სახელმწიფო საგარეო ვალის მოცულობის შეფარდება მშპ-სთან კლების ტენდენციით ხასიათდებოდა, ხოლო 2009 წლიდან ეს მაჩვენებელი საგრძნობლად იზრდება.

19 ცხადია, ერთ დღეს, მაგალითად, გერმანიის კანცლერი პირადად არ გვესტუმრება სახლში და არ მოგვთხოვს მისი ქვეყნის კუთვნილი თანხის დაბრუნებას.

20 თუმცა, ერთი რამ ფაქტია, რომ საქართველოს თითოეულ მოქალაქეს სულ უფრო მეტი თანხის დაზოგვა მოუწევს არა იმიტომ, რომ სამომავლო ინვესტიციები განახორციელოს, არამედ იმიტომ, რომ მათი პირობითი წინაპრების მიერ მიზანშეწონილად თუ მიზანშეუწონლად აღებული თანხები გაისტუმროს.

21 საგარეო ვალის გადახდა შემდეგნაირად ხდება: მთავრობა ყოველი წლის ბიუჯეტში წინასწარ ითვალისწინებს თანხებს, რომელსაც მიმდინარე წლის განმავლობაში გადაუხდის სხვადასხვა კრედიტორს.

22 ბუნებრივია, ყველა ეს თანხა აკლდება სახელმწიფოს მიერ განსახორციელებელ სხვადასხვა ტიპის სოციალურ თუ ინფრასტრუქტურულ პროექტებს. წლების განმავლობაში სახელმწიფო საგარეო ვალის მომსახურებაზე იხარჯებოდა ქვეყნის წლიური ბიუჯეტის საშუალოდ 2-8 პროცენტი.

23 სათანადო ეკონომიკური ზრდის პირობებში მსგავსი, ერთი შეხედვით, „შემაძრწუნებელი" საგარეო ვალის გადახდაც კი არ არის მნიშვნელოვანი პრობლემას.

24 თუმცა, სამწუხაროდ, საქართველოს მთავრობის მიერ მოწოდებული ეკონომიკური ზრდის საპროგნოზო მონაცემები, მიმდინარე წლიდან 2013 წლის ჩათვლით, მაინც და მაინც დიდი ოპტიმიზმის საფუძველს არ იძლევა, რადგან დასახელებული წლების განმავლობაში ეკონომიკური ზრდა მაქსიმუმ 2-7 პროცენტის ფარგლებში მერყეობს, რაც განვითარებადი ქვეყნისთვის არცთუ კარგი მაჩვენებელია. თუ საქართველო იქნებოდა განვითარებული ქვეყანა, 2-7-პროცენტიანი წლიური ზრდა უბრალოდ იდეალური იქნებოდა, მაგრამ ეკონომიკაში მოქმედი მკვეთრი ზრდის ეფექტის თანახმად, როდესაც განვითარებადი ქვეყნები განვითარების უფრო მაღალ მაჩვენებელს აღწევენ, ვიდრე განვითარებული ქვეყნები, წარმოდგენილი პროცენტები საკმაოდ დამაფიქრებელია.

წყარო: http://www.liberali.ge/vin-aris-gadamkhdeli

3 **როდის არის გამართლებული სახელმწიფოსთვის საგარეო ვალის აღება?**

4 იმუშავეთ წყვილებში და განმარტეთ შემდეგი ფრაზები:

ა. ქამრების სერიოზულად მოჭერა. (აბზაცი 1)

ბ. ქვეყნის მოქალაქეთა ნაწილი სვამს ლეგიტიმურ კითხვას. (აბზაცი 2)

გ. სახელმწიფო საგარეო ვალი ერთ სულ მოსახლეზე იქნება დაახლოებით 1592 ლარი. (აბზაცი 4)

დ. რას ნიშნავს ტერმინი „სახელმწიფო ვალი“? (აბზაცი 5)

ე. განმარტეთ ტერმინები: „სახელმწიფო საგარეო ვალი", „სახელმწიფო საშინაო ვალი". (აბზაცი 6-8)

---

5 ა. იპოვეთ ქვემოთ მოცემულ წინადადებაში:

- **ჰიპოთეზა** (გახაზეთ <u>სწორი</u> ხაზით);
- **სავარაუდო შედეგი** (გახაზეთ <u>წყვეტილი</u> ხაზით).

თუ პირობითად დავუშვებთ, რომ საქართველოს თითოეულ მოქალაქეს თავისი წილი ვალის გადახდა დაეკისრა, მაშინ აღმოვაჩენთ, რომ სახელმწიფო საგარეო ვალი ერთ სულ მოსახლეზე იქნება დაახლოებით 1592 ლარი.

ბ. შემოხაზეთ ოვალით კავშირები:

- ერთი კავშირი, რომელიც მიუთითებს ჰიპოთეზაზე;
- ერთი კავშირი, რომელიც მიუთითებს სავარაუდო შედეგზე.

გ. შემოხაზეთ ოთხკუთხედით ზმნები:

- ჰიპოთეზის მიმანიშნებელი ზმნა ჰიპოთეზის წინადადებაში;
- სავარაუდო შედეგის აღმნიშვნელი ზმნა სავარაუდო შედეგის წინადადებაში.

დ. დააკვირდით შემოხაზულ ზმნებს: რა არის <u>საერთო</u> ამ ზმნებს შორის ფორმისა და შინაარსის მხრივ?

ე. შეავსეთ წესი:

ჰიპოთეზის ჩამოსაყალიბებლად საჭიროა ორი წინადადების, საკუთრივ ჰიპოთეზისა და სავარაუდო შედეგის წინადადებების დაკავშირება კავშირებით:

ჰიპოთეზის წინადადებაში კავშირით „.... “ , ხოლო ..... -ის წინადადებაში – კავშირით „მაშინ".

ჰიპოთეზისა და სავარაუდო შედეგის მიმანიშნებელი ზმნები დგას ..... -ის მწკრივის ფორმაში.

6 **რამდენად დამაბრკოლებელია საქართველოსთვის თავისი მოქალაქეებისთვის და ეკონომიკური განვითარებისთვის ასეთი დიდი საგარეო ვალის არსებობა? (მოიყვანეთ მაგალითები ტექსტებიდან და მოიყვანეთ საკუთარი არგუმენტები). დაიყავით ორ ჯგუფად, გამართეთ დისკუსია არგუმენტებისა და კონტრარგუმენტების მოშველიებით.**

ბლოკი 4

აბრეშუმის გზა

1 **გამოთქვით ვარაუდები, რას ნიშნავს „აბრეშუმის გზა“?**

2 **გადახედეთ ტექსტს და იპოვეთ ტერმინ „აბრეშუმის გზის” ორი მნიშვნელობა:**

ა. .....

ბ. .....

აბრეშუმის გზის მოლოდინში

გიორგი ნარმანია|სტრატეგიები|იანვარი 25, 2016

2015 წლის 13 დეკემბერს ჩინეთის პორტ ლიანიუნგანის ტერმინალიდან სატრანზიტო მატარებელი ყაზახეთისა და აზერბაიჯანის გავლით საქართველოში შემოვიდა. პროექტის განხორციელებაში რამდენიმე ქვეყნის სარკინიგზო სისტემა და რამდენიმე საერთაშორისო სატრანსპორტო და საექსპედიტორო კომპანია მონაწილეობდა. საქართველოს გავლით საქონელი თურქეთში ჩავა. აღნიშნული სატრანზიტო მარშრუტის განვითარების შემთხვევაში, რომელიც თანამედროვე აბრეშუმის გზის პროექტის ერთ-ერთი ვარიანტია, ჩინეთის აღმოსავლეთი ნაწილიდან ცენტრალური აზიისა და სამხრეთ კავკასიის გავლით მატარებელი დაახლოებით 12 დღეში ჩავა სტამბულში, საიდანაც მარმარაის გვირაბის გავლით ევროპაში მოხვდება. ეს სატრანზიტო მარშრუტი განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ჩინეთსა და ევროპულ ქვეყნებს შორის არსებული ვაჭრობის მასშტაბის ფონზე, რაც, 2014 წლის მონაცემებით, 615 მილიარდ აშშ დოლარს აღწევს და, პროგნოზის თანახმად, 2020 წლამდე 800 მილიარდ აშშ დოლარამდე გაიზრდება.

სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა, უდავოდ, პოზიტიურ როლს თამაშობს ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში და ახალისებს მდგრად ეკონომიკურ ზრდას, ურბანიზაციას, ინდუსტრიალიზაციასა და საერთაშორისო ვაჭრობას. სწორედ აღნიშნული განაპირობებს საქართველოს ინტერესს, ჩაერთოს აბრეშუმის გზის პროექტში.

ევროპისა და აზიის ქვეყნებს შორის სავაჭრო ურთიერთობები ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე ჩამოყალიბდა. თავდაპირველად სახმელეთო ტრანსპორტი ჩინეთსა და ხმელთაშუაზღვისპირეთს აკავშირებდა. სავაჭრო ქარავნები კვეთდნენ ათასობით კილომეტრს, რათა პროდუქცია გაეცნოთ და მიეწოდებინათ განსხვავებული ცივილიზაციისათვის. აღნიშნულ გზას აბრეშუმის გზა უწოდეს, რადგან პირველ ეტაპზე ძირითადი სავაჭრო პროდუქტი სწორედ აღმოსავლური აბრეშუმი გახლდათ. შუა საუკუნეებში სახმელეთო მარშრუტმა ნელ-ნელა დაკარგა არსებული ფუნქცია, რადგან სახელმწიფოთა შორის არსებული არაერთი დაპირისპირების ფონზე გზებზე მოძრაობა უფრო და უფრო სახიფათო გახდა და იგი წარმატებით ჩაანაცვლა საზღვაო ტრანსპორტმა. საზღვაო ტრანსპორტი დღემდე ლიდერობს საერთაშორისო გადაზიდვებში და ევროპასა და აზიას შორის საერთაშორისო ვაჭრობა ყველაზე ხშირად სწორედ მისი მეშვეობით ხდება.

გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან – საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ – ისტორიული აბრეშუმის გზის აღდგენის არაერთი ინიციატივა იყო. აღსანიშნავია, რომ ეს ტერმინი საკმაოდ ფართო მნიშვნელობით გამოიყენება და მის ქვეშ მოიაზრებენ თითქმის ყველა პროექტს, რომლებიც ევრაზიის კონტინენტის აღმოსავლეთ და დასავლეთ ნაწილებს აკავშირებს. ევროკავშირის ინიციატივით შეიქმნა პროექტი TRACECA, რომელიც 14 ქვეყანას აერთიანებს და ევროპისა და ცენტრალური აზიის ქვეყნებს შორის სატრანსპორტო სისტემისა და ვაჭრობის განვითარებას ისახავს მიზნად, რუსეთსა და ირანზე გამავალი მარშრუტების გვერდის ავლით. 2011 წელს ამერიკის შეერთებული შტატების ინიციატივა, აღედგინა სავაჭრო ურთიერთობები აბრეშუმის გზის გასწვრივ, მიზნად ისახავდა ავღანეთის როლის გაზრდას რეგიონალურ ურთიერთობებში. აღნიშნული პროექტების არსებობისა და, ერთი შეხედვით, არსებული საერთაშორისო მხარდაჭერის მიუხედავად, აბრეშუმის გზის როლი დღემდე არც ისე დიდია.

2013 წლის 7 სექტემბერს ჩინეთის პრეზიდენტმა სი ძინ პინმა ყაზახეთში ვიზიტისას პირველად გაახმოვანა აბრეშუმის გზის ეკონომიკური სარტყელის (Silk Road Economic Belt) კონცეფცია, რომელიც ითვალისწინებს ჩინეთის ცენტრალური და დასავლეთის რეგიონების სახმელეთო ტრანსპორტით დაკავშირებას ცენტრალურ აზიასთან, ახლო აღმოსავლეთთან და ევროპის ქვეყნებთან. აღნიშნული პროექტით ჩინეთი რამდენიმე ფაქტორისგამო არის დაინტერესებული. ბოლო რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში ჩინეთის ეკონომიკური ზრდა ძირითადად მის აღმოსავლეთ და სამხრეთ პროვინციებზე აისახა, რადგან აღნიშნულ რეგიონში წარმოებული საქონლის გადაზიდვა საზღვაო ტრანსპორტით ევროპისა და ამერიკის მიმართულებით გაცილებით მარტივია. შესაბამისად, ჩინეთი ნაკლებად განვითარებული დასავლეთ პროვინციების სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე ზრუნავს და ახალი სავაჭრო კავშირების შექმნა სურს, რაც, თავის მხრივ, აღნიშნულ პროვინციებს გამოაცოცხლებს. ასევე, საზღვაო გადაზიდვისთვის საჭირო შედარებით დიდი დრო ჩინურ პროდუქციას რიგ შემთხვევაში ნაკლებად კონკურენტულს ხდის ევროპულ ბაზარზე. ამასთანავე, სამხრეთ ჩინეთის ზღვაში არსებული დავა და პოტენციური დაპირისპირება ჩინური პროდუქციის უსაფრთხო ექსპორტს უქმნის საფრთხეს.

აბრეშუმის გზის ეკონომიკური სარტყელის კონცეფციამ შესაძლოა ამ საუკუნეში ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი როლი ითამაშოს ევრაზიის კონტინენტის განვითარებაზე. ჩინეთი უკვე არის გლობალური მოთამაშე უდიდესი ეკონომიკური რესურსით და ყოველდღიურად მზარდი გავლენით. აბრეშუმის გზის განვითარების ჩინურ პროექტს მხარს უჭერს არაერთი სახელმწიფო, რომლებსაც სურთ, თვითონაც გახდნენ აღნიშნული პროექტის ბენეფიციარი.

აბრეშუმის გზის ეკონომიკური სარტყელის პროექტი, რომელსაც სახმელეთო აბრეშუმის გზასაც უწოდებენ, შეესაბამება ისტორიულ აბრეშუმის გზას, რომელიც საუკუნეების წინ გამოიყენებოდა და ის რამდენიმე ალტერნატიულ ვარიანტს მოიაზრებს:

1. რუსეთზე გამავალი ჩრდილოეთის გზა

ჩრდილოეთის გზა დღევანდელი მდგომარეობით ყველაზე განვითარებული მარშრუტია აბრეშუმის გზის ეკონომიკური სარტყელის პროექტში და ორ მარშრუტს მოიცავს. ტრანსციმბირის სარკინიგზო მაგისტრალი ჩინეთს რუსეთისა და ბელარუსის გავლით ევროპულ ქვეყნებთან აკავშირებს, ხოლო 2011 წელს ამოქმედებული ჩუნცინი-სინძიანი-დუისბურგის რკინიგზით ჩინეთი ყაზახეთის, რუსეთის, ბელარუსისა და პოლონეთის გავლით გერმანიაში დუისბურგის პორტს უკავშირდება. აღნიშნული მარშრუტის სიგრძე დაახლოებით 11,000 კილომეტრია და შესაძლებელს ხდის, ჩინური საქონელი დასავლეთ ევროპის ბაზარზე 16 დღეში მოხვდეს, საზღვაო გადაზიდვის შემთხვევაში კი ამას 45-60 დღე სჭირდება. მიუხედავად იმისა, რომ სარკინიგზო გადაზიდვა საზღვაო ტრანსპორტთან შედარებით ძვირია, მისი ფასი საგრძნობლად ჩამოუვარდება საჰაერო გადაზიდვას და მნიშვნელოვანი ალტერნატივაა ძვირადღირებული და მალფუჭებადი საქონლის გადასაზიდად. ჩრდილოეთის გზას უკვე აქტიურად იყენებს არაერთი ცნობილი კომპანია, მაგალითად, HP, კომპანია Foxconn-ი, რომელიც Apple-ის ერთ-ერთი მომწოდებელია.

მიუხედავად იმისა, რომ ჩრდილოეთის გზაზე ინფრასტრუქტურა უკვე არსებობს და მარშრუტიც ფუნქციონირებს, ჩინეთი მაინც მუშაობს ალტერნატიულ გზებზე, რათა პროექტში ცენტრალური აზიისა და ახლო აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებიც ჩაერთონ, მოხდეს მარშრუტების დივერსიფიცირება და ქვეყანა მხოლოდ რუსეთზე გამავალ გზაზე არ იყოს დამოკიდებული. ამასთანავე, აღნიშნული მარშრუტის გეოგრაფიული მდებარეობის გამო, რკინიგზის მოვლის ხარჯები საკმაოდ დიდია, რაც აძვირებს ჩრდილოეთის გზის გამოყენებას, ხოლო კლიმატური პირობები სატრანსპორტო გადაადგილებას აფერხებს.

2. ირანზე გამავალი სამხრეთის გზა

აბრეშუმის გზის მეორე ვარიანტი ცენტრალური აზიის ქვეყნების: ყირგიზეთის, უზბეკეთისა და თურქმენეთის სარკინიგზო და საგზაო ინფრასტრუქტურის გავლით – ჩინეთს სპარსეთის ყურეზე მდებარე ირანულ საპორტო ქალაქთან, ბენდერ აბასთან, აკავშირებს. თუმცა, ასევე შესაძლებელია ირანიდან მარშრუტი თურქეთის მიმართულებით გაგრძელდეს და ევროპულ ქვეყნებს ამ გზით დაუკავშირდეს. როდესაც ჩინეთში სახელმწიფოს მიერ კონტროლირებულმა მასმედიის საშუალებებმა აბრეშუმის გზის ეკონომიკური სარტყელის სავარაუდო რუკა გამოქვეყნეს, მასზე სწორედ ე.წ. სამხრეთის გზა იყო ასახული, რომლის მეშვეობითაც ირანისა და თურქეთის გავლით ჩინეთი ევროპას უკავშირდება. ეს პროექტი შესაძლებლობას მისცემს ჩინეთს, ცენტრალური აზიის ქვეყნებზე გავლენა გაზარდოს და ირანს დაუკავშირდეს, რაც გაუმარტივებს წვდომას ისეთ ენერგორესურსებზე, როგორებიცაა თურქმენული გაზი და ირანული ნავთობი.

აღნიშნული პროექტის ამოქმედება მნიშვნელოვან პრობლემებთან არის დაკავშირებული, რომელთაგან უმთავრესია თანამედროვე ინფრასტრუქტურის არარსებობა (ამ მარშრუტის გამოყენებით მხოლოდ ყაზახეთსა და თურქეთს შორის სარკინიგზო გადაზიდვა 25-30 დღეს გრძელდება) და პოლიტიკური არასტაბილურობა. თურქეთი და ირანი არაერთი საკითხის გამო არიან დაპირისპირებული და ისინი დღესდღეობით რეგიონში გავლენის მოპოვებისთვის ეცილებიან ერთმანეთს. ამასთანავე, მიუხედავად ირანისათვის დაწესებული დასავლური სანქციების ახლო მომავალში შესაძლო გაუქმებისა, ამ მასშტაბის პროექტში ირანის სტაბილურ პარტნიორად ჩამოყალიბებას გარკვეული დრო დასჭირდება

3. სამხრეთ კავკასიაზე გამავალი გზა

ჩრდილოეთისა და სამხრეთის მარშრუტის ალტერნატივაა გზა, რომელიც სამხრეთ კავკასიაზე გადის. რამდენიმე თვის წინ თურქეთში მომუშავე ანალიტიკურმა ორგანიზაციამ, კასპიის სტრატეგიული კვლევების ინსტიტუტმა, გამოაქვეყნა კვლევა სახელწოდებით „კასპიის სატრანზიტო დერეფანი“, რომელიც სწორედ აღნიშნულ მარშრუტს ეძღვნება. კასპიის სატრანზიტო დერეფანი ითვალისწინებს ცენტრალური აზიის გავლით ჩინური ტვირთის რკინიგზით ტრანსპორტირებას კასპიის ზღვის პორტებამდე ყაზახეთსა და თურქმენეთში. კასპიის ზღვის გავლით ტვირთი ბაქოს

პორტში ჩავა, ხოლო შემდეგ ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზის გავლით ტვირთი მოხვდება თურქეთში, საიდანაც შესაძლებელია მისი ევროპული ქვეყნებში გადატანა. მარშრუტი ასევე უზრუნველყოფს ევროპული და თურქული საქონლის ცენტრალური აზიისა და ჩინეთის ბაზარზე მოხვედრას...

აღნიშნული სატრანზიტო დერეფნის უპირატესობაა უკვე თითქმის დასრულებული ინფრასტრუქტურა ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზის სახით (ჯერჯერობით არ დასრულებულა თურქეთის ტერიტორიაზე საქართველოს საზღვრიდან ყარსამდე არსებული 76-კილომეტრიანი მონაკვეთი) და კასპიის ზღვის პორტების მშენებლობისა და გაფართოების პროექტები. აზერბაიჯანი (ალატის პორტი) და თურქმენეთი (თურქმენბაშის პორტი) უკვე აშენებენ ახალ პორტებს კასპიის ზღვაზე, ხოლო ყაზახეთი აფართოებს აქტაუს პორტს და აშენებს ახალ კურიკის პორტს. ამასთანავე, ყაზახეთის მიერ სულ ახლახან დასრულებული ჟეზკაზგან-ბეინეუს რკინიგზის მშენებლობის შედეგად მარშრუტის სიგრძე დაახლოებით 1,000 კილომეტრით შემცირდა და ამჟამინდელი სიგრძე ჩინეთ-ყაზახეთის საზღვრიდან საქართველო-თურქეთის საზღვრამდე დაახლოებით 9,700 კილომეტრია.

საქართველოს ასევე შეუძლია წაახალისოს კასპიის სატრანზიტო დერეფნის გავლით საქართველოში შემოსული ტვირთების ქართული სარკინიგზო სისტემით გადაზიდვა საქართველოს პორტებამდე, ხოლო შემდეგ შავი ზღვის გავლით ტრანზიტი ევროპულ ქვეყნებში. ამგვარი მარშრუტი კასპიის სატრანზიტო დერეფანს კასპიისა და შავი ზღვის დერეფნად აქცევს. სწორედ აღნიშნულის გათვალისწინებით ანაკლიის მრავალწლიანი პორტის მშენებლობა განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს. გეგმის მიხედვით, პირველ ეტაპზე ანაკლიის პორტის გამტარუნარიანობა წელიწადში 7 მილიონი ტონა ტვირთი იქნება, ხოლო ტვირთბრუნვის გაზრდის შემთხვევაში გამტარუნარიანობის 100 მილიონ ტონამდე გაზრდაა შესაძლებელი. ანაკლიის პორტის მთავარი უპირატესობა არის საშუალო და დიდი ზომის (პანამაქსის ტიპის) გემების მიღების შესაძლებლობა, რომლებიც 8,000-8,500 კონტეინერს იტევს. არსებული პორტებისა და ანაკლიის დაგეგმილი პორტის მეშვეობით შესაძლებელი გახდება კასპიის სატრანზიტო დერეფნით შემოსული საქონლის საქართველოდან ტრანსპორტირება ბულგარეთის, რუმინეთისა და უკრაინის პორტებში, საიდანაც ტვირთის სხვა ევროპულ ქვეყნებში გადატანა იქნება შესაძლებელი.

კასპიის სატრანზიტო დერეფნის როლი განსაკუთრებით კარგად წარმოჩნდა რუსეთსა და თურქეთს შორის რამდენიმე კვირის წინ დაწყებული დაპირისპირების ფონზე. მას შემდეგ, რაც თურქული ტვირთებისათვის რუსეთის საზღვარი ჩაიკეტა, გართულდა თურქული საქონლის ექსპორტი არა მარტო რუსეთში, არამედ ცენტრალური აზიის ქვეყნებისა და ჩინეთის მიმართულებით, რადგან ამ ქვეყნებში საქონელი ძირითადად სწორედ რუსეთის გავლით ხვდებოდა. აზერბაიჯანმა და ყაზახეთმა გამოთქვეს მზადყოფნა, შეესრულებინათ სატრანზიტო ფუნქცია და თურქული საქონლის ტრანსპორტირება სწორედ კასპიის სატრანზიტო დერეფნის გავლით გახდა შესაძლებელი. კასპიის სატრანზიტო დერეფნის გავლით შესაძლებელია ჩინეთიდან თურქეთამდე საქონლის ტრანსპორტირება 12 დღეში, ეს აბრეშუმის გზის სხვადასხვა მარშრუტს შორის ყველაზე მომხიბვლელი ალტერნატიული გზაა. თუმცა, ამ მარშრუტით სარგებლობისას რამდენიმე მნიშვნელოვანი დაბრკოლებაც იქმნება, რომელთაგან ყველაზე ანგარიშგასაწევია იმ ქვეყნების რაოდენობა, რომელთაც მარშრუტი კვეთს და თითოეული ქვეყნის განსხვავებული კანონმდებლობა, ინდივიდუალური საბაჟო პროცედურები თუ სარკინიგზო ტარიფები. სახელმწიფოები უკვე მუშაობენ გადამზიდავი კომპანიებისთვის საერთო ტარიფისა და ჰარმონიზებული საბაჟო პროცედურების შეთავაზებაზე, რათა მარშრუტის გამოყენება ნაკლებ დროსა და ფინანსურ ხარჯებთან იყოს დაკავშირებული.

სამხრეთ კავკასიაზე გამავალი გზის თანამედროვე აბრეშუმის გზის ძირითად მარშრუტად ჩამოსაყალიბებლად საჭიროა, მარშრუტის გასწვრივ მდებარე ყველა სახელმწიფომ განავითაროს სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა, თანხვდერაში მოვიდეს სავაჭრო პოლიტიკა და საბაჟო კანონმდებლობა. ამასთანავე, პროექტში ჩართულმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ იყოს გამართული ბიუროკრატიული აპარატი და ჩამოაყალიბონ მიმზიდველი ლოგისტიკის სისტემა, რათა ამ მარშრუტით გადაადგილება უფრო სწრაფი, სანდო და მოსახრხებელი გახდეს და ამით მოიპოვოს უპირატესობა ალტერნატიულ მარშრუტებთან შედარებით. შესაბამისად, ამ პროექტის წარმატება

სახელმწიფოების საერთო ძალისხმევაზეა დამოკიდებული. იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოსთან ერთად ცენტრალური აზიის ქვეყნები, აზერბაიჯანი და თურქეთი, დაინტერესებული არიან აღნიშნული მარშრუტით და მისი განვითარება სრულად შეესაბამება ამ ქვეყნების ძირითად ეკონომიკურ ინტერესებს, ოპტიმიზმის საფუძველი ნამდვილად არსებობს.

თანამედროვე აბრეშუმის გზის ნაწილად ქცევა გაზრდის თითოეული მონაწილე ქვეყნის, მათ შორის საქართველოს, შემოსავალს სატრანზიტო გადასახადის სახით, თუმცა, მისი საერთო ეფექტი გაცილებით დიდი იქნება. სატრანზიტო დერეფანი გააჩენს რეალურ პოტენციალს, რომ საქართველო იქცეს ლოგისტიკურ ცენტრად და უფრო მარტივად დაუკავშირდეს მსოფლიოს სხვადასხვა წერტილს. ეს კი მნიშვნელოვან წამახალისებელ ფაქტორად იქცევა ქვეყანაში წარმოების განსავითარებლად და სხვა ისეთ ინსტრუმენტებთან ერთად, როგორიცაა თავისუფალი ვაჭრობა ევროკავშირთან (ასევე ჩინეთთან თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ხელშეკრულების დადების შანსი), ქვეყანაში ინვესტირებას წაახალისებს.

3 **რა დადებითი გავლენა შეიძლება იქონიოს ამ გზის სხვადასხვა ვარიანტმა საქართველოს ეკონომიკაზე?**

ა. 1:
ბ. 2:
გ. 3:

4 **რა რისკ-ფაქტორები უკავშირდება ამ პროექტს? ჩამოწერეთ ძირითადი პუნქტები და იმსჯელეთ ჯგუფებში. ჩაინიშნეთ სხვა ჯგუფების მოსაზრებებიც.**

საკუთარი მოსაზრებები	სხვების მოსაზრებები

5 **რომელ სხვა ისტორიულ, გეოპოლიტიკურ მოვლენას შეადარებდით დღევანდელ „აბრეშუმის გზას“?**

თავი VI

საქართველო ევროპასა და აზიას შორის

მისაღწევი მიზნები

მოსმენა:

შემსწავლელს შეუძლია გაიგოს ძირითადად ყველაფერი აქტუალურ თემებზე სალიტერატურო ენით გადმოცემული სატელევიზიო რეპორტაჟებიდან და პირდაპირი ჩართვებიდან.

კითხვა:

შემსწავლელს შეუძლია იმ სტატიებისა და მოხსენებების გაგება, რომლებიც ეხება თანამედროვე პრობლემებს და რომელთა ავტორებიც გამოთქვამენ განსაკუთრებულ აზრს ან დგანან განსხვავებულ პოზიციაზე.

ლაპარაკი:

შემსწავლელს შეუძლია ხანგრძლივად, ნათლად და დეტალურად ისაუბროს მისთვის ნაცნობ ან საინტერესო თემებზე, დაწვრილებით აღწეროს ნიუანსები და შეადაროს მონაცემები ერთმანეთს;

შემსწავლელს შეუძლია მოხსენების წარდგენისას უპასუხოს ამ მოხსენების შესახებ დასმულ შეკითხვებს; ამასთანავე, ისე თავისუფლად ისაუბროს, რომ მსმენელმა ნათლად გაიგოს მისი ნათქვამი.

წერა:

შემსწავლელს შეუძლია პრობლემის არსის გადმოცემა, სისტემურად წარმოჩენა, მნიშვნელოვანი საკითხების წინ წამოწევა და წერილობითი დისკუსიის გამართვა;

შემსწავლელს შეუძლია ისეთი მოხსენების/ესეს დაწერა, რომელშიც მტკიცებულებები წარმოჩენილია სისტემურად, ხაზგასმულია ძირითადი მომენტები და ისეთი დეტალები, რომლებიც მხარს უჭერს მოხსენებაში წარმოდგენილ თვალსაზრისს.

გრამატიკა/ლექსიკა

პოლიტიკურ თემატიკასთან დაკავშირებული ლექსიკა;
კულტურულ იდენტობასთან დაკავშირებული ლექსიკა;
ისტორიულ და გეოპოლიტიკურ თემებთან დაკავშირებული ლექსიკა.

ბლოკი **1** – აბრეშუმის გზის გეოპოლიტიკური მნიშვნელობა

ბლოკი **2** – საქართველო: ევროპა თუ აზია?

ბლოკი **3** – საქართველო ევროპისა და აზიის გასაყარზე

ბლოკი **4** – საქართველო და ევროკავშირი

ბლოკი 1

აბრეშუმის გზის გეოპოლიტიკური მნიშვნელობა

1 დაჯგუფდით სამეულებად და შეაგროვეთ ჯგუფში არსებული ცოდნა აბრეშუმის გზის შესახებ. დაახარისხეთ ინფორმაცია შემდეგი სფეროების მიხედვით:

- ეკონომიკური მნიშვნელობა;
- გეოპოლიტიკური მნიშვნელობა.

2 ა. გადახედეთ სტატიას აბრეშუმის გზის შესახებ მე-11 თავში (შემსწავლელის წიგნი, ბლოკი 4. დავალება 1), ქვეჯგუფმა აირჩიოს აბრეშუმის გზის სამი სამომავლო ვარიანტიდან ერთ-ერთი და დახაზოს მარშრუტი რუკაზე.

ბ. უყურეთ ფილმს (6.1) მონიშნეთ რუკაზე ძველი აბრეშუმის გზა.

3 ა. ნახეთ ვიდეოჩანაწერი (6.2). შეადარეთ სიუჟეტში აღწერილი აბრეშუმის გზის მარშრუტი სტატიაში აღწერილ (შემსწავლელის წიგნი, თავი 11, ბლოკი 4, დავალება 1) და თქვენ მიერ დახაზულ (დავალება 2.ა) მარშრუტებს. იპოვეთ მსგავსება და განსხვავებები.

ბ. ნახეთ ვიდეოჩანაწერი (6.2) კიდევ ერთხელ: რა სახის ფინანსურ და გეოპოლიტიკურ სარგებელს მოუტანს ეს გზა საქართველოს? შეადარეთ ძველი და ახალი აბრეშუმის გზების ეკონომიკური და გეოპოლიტიკური დატვირთვა: რაშია მსავსება, რაშია განსხვავება?

4 ა. დაიყავით წყვილებად, შეიმუშავეთ პუნქტები აბრეშუმის გზის შესახებ მოხსენების მოსამზადებლად. გამოყავით მთავარი და მეორეხარისხოვანი აზრები და წამოადგინეთ მოხსენების სტრუქტურა. გააცანით თქვენ მიერ შემუშავებული სტრუქტურა სხვებს და დაასაბუთეთ, რა პრინციპით დაალაგეთ მთავარი და მეორეხარისხოვანი აზრები.

ბ. დისკუსიის შემდეგ, საჭიროებისამებრ, დახვეწეთ თქვენი მოხსენების სტრუქტურა და განავრცეთ დეტალურად თითოეული პუნქტი.

5 ა. მე-4 დავალებაში შემუშავებული გეგმის მიხედვით მოამზადეთ მოხსენება თემაზე „აბრეშუმის გზა“.

ბ. გააცანით მოხსენება ჯგუფს. მოხსენების შემდეგ არგუმენტირებულად უპასუხეთ მსმენელთა შეკითხვებს.

ბლოკი 2

საქართველო: ევროპა თუ აზია?

1 დაიყავით მცირე ჯგუფებად, მოიძიეთ ინფორმაცია ინტერნეტში საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობისა და გეოპოლიტიკური ადგილის შესახებ: რომელ გეოგრაფიულ არეალს მიეკუთვნება საქართველო?

2 **წაიკითხეთ სტატია და გაარკვიეთ, რით ასაბუთებს ავტორი, რომ საქართველო ევროპის ნაწილია და არა აზიის? იპოვეთ რამდენიმე არგუმენტი:**

რატომ არის საქართველო ევროპის ნაწილი და რატომ არიან ქართველები უძველესი ევროპელები

თამაზ გამყრელიძე

როგორც ცნობილია, „ევროპა" და „აზია" ფიზიკური გეოგრაფიის თვალსაზრისით საერთო კონტინენტია და გაერთიანებულია „ევრაზიის" სახელწოდებით. ამ საერთო კონტინენტის დაყოფა „ევროპულ" და „აზიურ" ნაწილებად არსებითად პირობითია, უფრო გეოპოლიტიკური ფაქტორებით არის განპირობები და ძირითადად კულტურულ-ისტორიულ ტრადიციებს ემყარება.

გეოგრაფიული სახელები „ევროპა" და „აზია" ანტიკური სამყაროდან მომდინარეობს და ძველი ბერძნული საკუთარი სახელებია, მეტად გავრცელებული ბერძნულ მითოლოგიაში. ცნობილი ბერძნული მითის მიხედვით, ევროპა იყო ფინიკიელი მეფის ქალიშვილი, რომელიც გაიტაცა ღვთაება ზევსმა, ხარად გარდაქმნილმა, კუნძულ კრეტაზე. აქ მათ ეყოლათ შვილი მინოსი – კუნძულ კრეტის მეფე. მეფე მინოსს უკავშირდება სწორედ კრეტაზე ცნობილი სასახლის-ლაბირინთის-აშენება, ბერძენ გმირ თესევსის ხართან – მინოტავრთან – აქ შებრძოლება და მისი ლაბირინთიდან გამოყვანა არიადნეს ძაფის დახმარებით.

თვით ბერძნული სახელები „ევროპა" და „აზია" სემიტური წარმომავლობის სიტყვებს უკავშირდება, შესაბამისად „საღამოს", „მზის ჩასვლისა" და „გამოსვლის", „მზის ამოსვლის" მნიშვნელობებით. შემთხვევითი არ უნდა იყოს ის, რომ ევროპა ბერძნულ მითოლოგიაში სწორედ ფინიკიელი (ე.ი. სემიტი) მეფის ქალიშვილი იყო.

ძველი ბერძნებისათვის საზღვარი სამხრეთ ევროპასა და აზიას შორის კოლხურ მდინარე „ფაზისზე" გადიოდა. მდინარე „ფაზისი" გაიგივებულია დღევანდელ „რიონთან", თუმცა, „ფაზისის" სახელწოდებით ბერძნულ სამყაროში სხვა მდინარეებიც აღინიშნებოდა, შესაძლებელია, მდინარე „ჭოროხიც". ამდენად, „ევროპის" საზღვრად სამხრეთში, ტრადიციული წარმოდგენების თანახმად, რიონი ან ჭოროხი უნდა მივიჩნიოთ და ზოლი „ევროპასა" და „აზიას" შორის არა კავკასიონის ქედის გასწვრივ გავავლოთ, არამედ საქართველოს სამხრეთ-დასავლეთით არსებული მდინარეების დინების მიხედვით ვივარაუდოთ.

ამ თვალსაზრისით „კოლხეთიც", „კოლხეთის სამეფოც" ძველი ბერძნებისათვის მთლიანად ევროპაში იყო მოთავსებული და "ევრაზიული" კონტინენტის საკუთრივ „ევროპულ" ნაწილს განეკუთვნებოდა. „ზანური" – დღევანდელი მეგრულ-ლაზურის წინაპარი დასავლურ-ქართველური დიალექტი – იყო სწორედ კოლხური სახელმწიფოს ენა, რომელზეც, როგორც ივარაუდება, მეტყველებდნენ აია-ქვეყნის, ე.ი. „კოლხეთის", მეფე აიეტი და მისი ქალიშვილი – გრძნეული მედეა. მას აკაკი შანიძე „კოლხურს" უწოდებს. სწორედ აქედან ისესხეს ბერძენმა არგონავტებმა „ტყავის" აღმნიშვნელი კოლხური სიტყვა *ტყოვ - / *ტკოვ „ოქროს საწმისის" გამოსახატავად, რომლის მოსაპოვებლად ისინი უძველეს ხანაში კოლხეთისკენ გამოემართნენ.

უახლესი გამოკვლევების თანახმად, კოლხური სახელმწიფოებრიობის არსებობა ჩვენ უკვე ძვ. წელთაღრიცხვის მე-15 საუკუნისათვის უნდა ვივარაუდოთ, რამდენადაც მიკენური ეპოქის ბერძნულ წარწერებში (ძვ. წელთაღრიცხვის XV/XIV სს.) დოკუმენტურად დასტურდება მრავალი სახელი, რომლებიც „არგონავტების მითიდან“ იყო ჩვენთვის ცნობილი, მათ შორის ისეთი სახელები, როგორებიცაა: „ქვეყანა ა ი ა“, „კოლხიდა“, „იასონი“ და სხვ.

ყოველივე ზემოთქმულის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ საქართველოს და საზოგადოდ სამხრეთ კავკასიის დიდი ნაწილი, უძველესი წარმოდგენების მიხედვით, "ევრაზიული" კონტინენტის სწორედ ევროპულ ნაწილში მდებარეობს, განსხვავებით რიონისა და ჭოროხის სამხრეთით მდებარე რეგიონებისაგან (ანატოლია, ირანის ზეგანი, მესოპოტამია), რომლებიც, ამავე წარმოდგენების თანახმად, კონტინენტის „აზიურ“ ნაწილს განეკუთვნება და თანამედროვე გეოგრაფიულ ნომენკლატურაში „წინა აზიის“ ან „სამხრეთ-დასავლეთ აზიის“ სახელწოდებით არის ცნობილი (გერმ. Vorderasien, ინგლ. South West Asia). ამავე არეალს ხშირად „ახლო აღმოსავლეთს“ უწოდებენ (რუს. Ближний Восток, ინგლ. Near East). ამდენად, საქართველო და „სამხრეთ კავკასია“ საზოგადოდ უნდა განვიხილოთ ევრაზიული კონტინენტის საკუთრივ ევროპულ ნაწილში მდებარე რეგიონად, რომელსაც გვთავაზობენ, „სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპა“ ვუწოდოთ (რუს. Юго-Восточная Европа, ინგლ. South East Europe), „სამხრეთ-აღმოსავლეთი აზიის“ ანალოგიით (რუს. Юго-Восточная Азия, ინგლ. South East Asia). ამიტომ არიან სწორედ ქართველები „უძველესი ევროპელები“, შედარებით დასავლეთ-ევროპელებთან, რომლებიც ამ ხანაში ჯერ კიდევ არ იყვნენ გამოსულნი საისტორიო ასპარეზზე.

ამგვარად, „ევრაზიული“ კონტინენტის ევროპული ნაწილი შედგება „დასავლეთ ევროპის“, „აღმოსავლეთ ევროპისა“ (საზღვრებით ურალის მთებისა და კასპიის ზღვის სანაპიროს გასწვრივ) და "სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპისაგან, რომელშიც შედის საქართველო და „სამხრეთ კავკასიის“ ანუ „ამიერ-კავკასიის“ სხვა ქვეყნები.

თანამედროვე გეოპოლიტიკური ნომენკლატურის თანახმად, რომელიც პრინციპში „ცივი ომის“ პერიოდში იყო შემუშავებული, ტერმინი „აღმოსავლეთ ევროპა“ მოიცავდა სახელმწიფოებს, რომლებიც ყოფილ საბჭოთა კავშირს დასავლეთიდან ესაზღვრებოდა; ეს იყო პოლონეთი, უნგრეთი, რუმინეთი, ბულგარეთი და აგრეთვე ევროპის სხვა სახელმწიფოები, რომლებიც „ვარშავის ბლოკში“ იყვნენ გაერთიანებულნი და „ჩრდილოატლანტიკურ ალიანსს“ უპირისპირდებოდნენ; ბალკანეთის სახელმწიფოები ამასთანავე სწორედ „სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპად“ იწოდებოდნენ.

ცივი ომის პერიოდიდან ნაანდერძევი ეს გეოპოლიტიკური ნომენკლატურა თანამედროვე მსოფლიო წესრიგის პირობებში ჩვენს გეოპოლიტიკურ სინამდვილესთან აშკარად შეუსაბამოა და გადასინჯვაა საჭირო.

კერძოდ, სრულიად უდავოა, რომ ის, რაც „აღმოსავლეთ ევროპად“ იწოდებოდა, უნდა განიხილებოდეს გეოგრაფიულად როგორც „ცენტრალური ევროპა“, ხოლო ამ ცენტრალური ზონის დასავლეთით და აღმოსავლეთით (ვიდრე ურალის ქედამდე) მდებარე რეგიონები, შესაბამისად, როგორც „დასავლეთ“ და „აღმოსავლეთ ევროპა“. ეს უკანასკნელი არეალი (ე.ი. „აღმოსავლეთ ევროპა“) დღევანდელი რუსეთის ფედერაციის მთელ დასავლურ ნაწილს მოიცავს ვიდრე ურალის ქედამდე, ხოლო ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკები, ამჟამად დამოუკიდებელი ევროპული სახელმწიფოები (ბელორუსი, უკრაინა, მოლდოვა, აგრეთვე ბალტიისპირა რესპუბლიკები) ევროპის „ცენტრალურ ზონაში“ განლაგდება. ამ თვალსაზრისით „ჩრდილოეთ კავკასია“ მთლიანად ევროპის აღმოსავლეთ ნაწილში შედის, ხოლო „სამხრეთ კავკასია“ ("ამიერკავკასია") კავკასიონის ქედს აქეთ „სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაში“ აღმოჩნდება. ამდენად, ამ თვალსაზრისითაც, სავსებით ბუნებრივია მთელ სამხრეთკავკასიურ არეალს „სამხრეთ-აღმოსავლეთი ევროპა“ ეწოდოს.

თანამედროვე ევროპის გეოპოლიტიკური ნომენკლატურის ეს საკითხები უნდა დადგეს ოფიციალურად საერთაშორისო ევროპული სტრუქტურების წინაშე და სათანადოდ გადაწყდეს არსებული გეოპოლიტიკური რეალობის გათვალისწინებით.

მეტად საგულისხმოა, რომ ბრიუსელში, ევროკავშირში, ჩვენი საპარლამენტო დელეგაციისათვის გადმოცემულ ევროპის ერთ-ერთ ძველ იტალიურ რუკაზე (1575 წლისა) საქართველო სწორედ ევროპის ნაწილად არის ჩათვლილი და კონტინენტის იმ რეგიონშია, რომელსაც დღეს სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპას ვუწოდებთ.

ამ თვალსაზრისით, საქართველოს ევროსაბჭოში შესვლა არსებითად იმის დასტურია, რომ ქართული სახელმწიფო გეოგრაფიულად ყოველთვის ევრაზიული კონტინეტის ევროპულ ნაწილს განეკუთვნებოდა. საქართველოს ამ საბჭოში გაწევრიანება ერთგვარად ჩვენი ტრადიციული „ევროპულობის“ აღიარებაა. სწორედ ამას უნდა გულისხმობდეს ზურაბ ჟვანიას მიერ „ევროსაბჭოში“ ნათქვამი სიტყვები: „მე ვარ ქართველი, მაშასადამე მე ვარ ევროპელი“, ამასთან დაკავშირებით სავსებით კანონზომიერად უნდა დადგეს აგრეთვე საკითხი საქართველოსა და სხვა სამხრეთ კავკასიური ქვეყნების, როგორც ევროპული სახელმწიფოების, „ევროგაერთიანებაში“ შესაძლო მიღების კანონზომიერების შესახებ.

მაგრამ რამდენად „წმინდა ევროპულია“ თვით ქართული კულტურა და ქართული ცივილიზაცია? რომელ სამყაროს განეკუთვნება საქართველო. კულტურულ-ისტორიულად – „დასავლურს“ თუ „აღმოსავლურს“, როგორ კულტურულ-ისტორიულ კავშირებს ავლენს ქართული სახელმწიფოებრიობა თავისი სამიათასწლოვანი ისტორიის მანძილზე?

რამდენადაც საქართველო მდებარეობს ევროპის უკიდურესად სამხრეთ-აღმოსავლურ ნაწილში და კონტინენტის „აზიურ“ ნაწილს ესაზღვრება, ბუნებრივია, ქართული კულტურა და ცივილიზაცია სწორედ დასავლურ-აღმოსავლური კულტურების სინთეზი და სიმბიოზია, ამ კულტურათა შერწყმისა და შერევის შედეგად აღმოცენებული.

ანტიკური ბერძნული კულტურა და ცივილიზაცია ევროპული კულტურისა და ცივილიზაციის აკვნად სამართლიანად ითვლება. თვით ეს ბერძნული, „ელინური“ კულტურა მჭიდროდ არის დაკავ-შირებული თავისი ფესვებით ძველ აღმოსავლურ ცივილიზაციებთან.

ალექსანდრე მაკედონელის აღმოსავლეთში ლაშქრობების შემდეგ ჩამოყალიბდა ე.წ. „ელინისტური“ კულტურა და ცივილიზაცია (გერმანელი მეცნიერის დროიზენის მიერ შემოღებული ტერმინი), რომელიც წარმოადგენდა ბერძნული, „ელინური“ კულტურის შერწყმას აღმოსავლურ კულტურულ ტრადიციებთან. ამ პროცესში წინარეისტორიულ ქართულ კულტურულ ტრადიციებსაც გარკვეული წვლილი უნდა შეეტანა. აღმოსავლეთიდან მომდინარე ეს კულტურული იმპულსები და გავლენები დასავლურ კულტურასა და ცივილიზაციაზე აისახება სწორედ ცნობილ ლათინურ სენტენციაში – Ex Oriente Lux – „სინათლე აღმოსავლეთიდან მოდის“. ამ სიმბიოზური „ელინისტური“ კულტურის შერწყმით აღმოსავლურ ქრისტიანობასთან იქმნება ბიზანტიური კულტურული ტრადიციები, რომლის სფეროში შემოდის აგრეთვე აღმოსავლური ქრისტიანობის არეალში მოქცეული ქვეყნები, მათ შორის ისტორიული საქართველოც. „ელინისტური“ კულტურული ტენდენციების საფუძველზე ყალიბდება აღმოსავლური ქრისტიანობის წიაღში ახალი კულტურული ცენტრები საკუთარი ეროვნული დამწერლობით და აღმოსავლურ-დასავლურ ცივილიზაციაზე დამყარებული ეროვნული კულტურული ტრადიციებით. ამაშია სწორედ ქართული მატერიალური და სულიერი კულტურის უნიკალურობა და განუმეორებლობა, ამით არის მომხიბვლელი როგორც დასავლეთისათვის, ისე აღმოსავლეთისათვის. საქართველო იქცა ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ქრისტიანულ კულტურულ ცენტრად, რომელმაც თავისი მრავალსაუკუნოვანი სახელმწიფოებრივი ისტორიის მანძილზე მრავალი აღმავლობა და დაცემა განიცადა, სანამ იგი დღემდე როგორც დამოუკიდებელი, სუვერენული სახელმწიფო მოაღწევდა.

დღეს უნიკალური შანსი გვეძლევა ამ კულტურის მსოფლიოში გაცხადებისა და დემონსტრირების, და ეს შესაძლებლობა ღირსეულად უნდა გამოვიყენოთ.

ისტორიამ განსაზღვრა ისე, რომ საქართველოში სათავეში მოვიდენენ პოლიტიკური ძალები, რომელთაც ქართული სახელმწიფო სრული საერთაშორისო იზოლაციიდან გამოიყვანეს და უპირატესად დასავლური ორიენტაციის წყალობით იგი ფართო საერთაშორისო ასპარეზზე გაიყვანეს. ამას, პირველ რიგში, ხელი შეუწყო საქართველოსა და მთელი სამხრეთ კავკასიის გეოპოლიტიკურმა მდებარეობამ როგორც აღმოსავლეთისა და დასავლეთის გზაჯვარედინზე მდებარე კონტინენტის აზიური და ევროპული ნაწილების გამაერთიანებელმა რეგიონმა. თავის დროზე წამოყენებულ იქნა იდეა საქართველოს გადაქცევისა აღმოსავლეთ-დასავლეთის გამაერთიანებელ ძირითად არტერიად, ძირითად გზად და დერეფნად აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის.

ამ ფუნქციას ისტორიულად, როგორც ცნობილია, ასრულებდა „დიდი აბრეშუმის გზა“, რომლითაც სხვა საქონელთან და ნაწარმთან ერთად აღმოსავლეთიდან დასავლეთში უპირატესად ჩინური აბრეშუმი შედიოდა. სწორედ ამ „დიდი აბრეშუმის გზის“ გაცოცხლებისა და აღორძინების საკითხი დადგა.

ტერმინი „აბრეშუმის გზა“ XIX საუკუნის ბოლოს გერმანულ მეცნიერებაში შეიქმნა და იხმარებოდა ჩინეთიდან დასავლეთისკენ უძველესი სავაჭრო გზის აღსანიშნავად; აბრეშუმი ძველად დასავლეთში ჩინეთიდან შემოტანილი ყველაზე ფასეული ქსოვილი და ერთ-ერთი უძვირფასესი ნაწარმი იყო, და ისევე როგორც ნავთობი დღეს, აბრეშუმი იყო არა მხოლოდ ყველაზე მნიშვნელოვანი სავაჭრო საქონელი, არამედ ერთ-ერთი ძირითადი საგადასახადო საშუალება მთელ აღმოსავლეთში.

ამდენად, ისტორიულად სავსებით გამართლებულია აღმოსავლეთ-დასავლეთის დამაკავშირებელი ახალი სავაჭრო და სატრანზიტო გზის მეტაფორულად „აბრეშუმის გზად“ წოდება. მაგრამ თუ ისტორიული „დიდი აბრეშუმის გზა“ საქართველოს მნიშვნელოვნად უფრო სამხრეთით გადიოდა და მხოლოდ რაღაც პერიფერიული შტო თუ შემოდიოდა სამხრეთ კავკასიის რეგიონში, დღეს საქართველოზე „ახალი აბრეშუმის გზის“ სწორედ ძირითადი არტერია გაივლის; საქართველო დღეს აღმოსავლეთ-დასავლეთის დამაკავშირებელი რეგიონის ცენტრშია მოქცეული. შესაძლოა, უფრო გამართლებული იქნებოდა ლაპარაკი არა ისტორიული „დიდი აბრეშუმის გზის“ აღდგენისა და გაცოცხლების შესახებ, არამედ „ახალი აბრეშუმის გზის“ შექმნაზე, რომლის ძირითადი აღმოსავლეთ-დასავლეთის დამაკავშირებელი არტერია სწორედ საქართველოზე გაივლის, რაც სავსებით შეესაბამება დასავლურ-აღმოსავლური ცივილიზაციებისა და ნაკადების კულტურული შერწყმისა და გაერთიანების საქართველოს ისტორიულ მისიას

ამასთან დაკავშირებით მინდა გავიხსენო დიდი გოეთეს სიტყვები „დასავლურ-აღმოსავლური დივანიდან“:

“Wer sich selbst und andre kennt,
Wird auch hier erkennen,
Orient und Okzident
Sind nicht mehr zu trennen”

„ვინც თავისი თავი და სხვანი შეიცნო,
აქ იმასაც შეიმეცნებს,
რომ აღმოსავლეთ-დასავლეთი
ერთმანეთს აღარ უნდა დავაცილოთ“.

„24 საათი“, N 31(580), 7 თებერვალი, 2004

3 **რა ახალი ინფორმაცია გაიგეთ „აბრეშუმის გზის“ შესახებ ამ სტატიიდან?**

4 **რა ახალ, განსხვავებულ ფუნქციას იძენს „ახალი აბრეშუმის გზა“?**

5 დაიყავით ორ ჯგუფად და გამართეთ დისკუსია თემაზე „საქართველო - ევროპაა თუ აზია“? მოიფიქრეთ არგუმენტები თქვენი მოსაზრების დასასაბუთებლად.
მოიფიქრეთ კონტრარგუმენტები მეორე ჯგუფის შესაძლო არგუმენტებზე.

ბლოკი 3

საქართველო ევროპისა და აზიის გასაყარგე

1 გადახედეთ ტექსტს და გაარკვიეთ, რა ტიპის ტექსტია?

ა. ისტორიული ტექსტი;

ბ. სამეცნიერო სტატია;

გ. ესე.

გიგი თევზაძე

ტექსტი

„საქართველო – აღმოსავლეთის და დასავლეთის გზისგასაყარზე“: დღევანდელი ქართველების თვითწარმოდგენის და თვითპრეზენტაციის ისტორია (წიგნიდან „განჯადოება“)

1. ის, რომ საქართველო ევროპისა და აზიის, გნებავთ, ევროპული და აზიური კულტურების გადაკვეთაზე არსებობს და ამის გამო მისი წარსული, აწმყო და მომავალი გამორჩეულია – დღეს ქართულ საზოგადოებაში (და არა მარტო) მიღებული და გავრცელებული აზრია, რომელშიც ეჭვს ვერ შეიტან. ამ თემაზე ეწყობა კონფერენციები – არა მარტო საქართველოში (მაგ., 2009 წლის აპრილში – კოლუმბიის უნივერსიტეტში), მზადდება ტელეგადაცემები, ამ თემას ხშირად იყენებენ უცხოელი „ქართველოლოგები“.
2. რამდენიმე ხნის წინათ სწორედ ზემოთ ხსენებული კოლუმბიის უნივერსიტეტის კონფერენციისათვის მოხსენების მომზადება მომიწია. ჯერ კი ვაპირებდი ევროპისა და აზიის გადაკვეთის ფენომენოლოგიას შევჭიდებოდი, და სახელდახელო თეორიაც კი მოვამზადე, რომლის მიხედვითაც ევროპა-აზიის გადაკვეთა – პოლიტიკურ-კულტურული ცნებაა და არა გეოპოლიტიკური. რომ ამ ცნების არეალი დასავლეთის პოლიტიკური ღირებულებებისა და კულტურის პოლიტიკის გავრცელებასთან ერთად, ინაცვლებს აღმოსავლეთისაკენ. ამ მინითეორიის მიხედვით, აღწერა – „ევროპის და აზიის გადაკვეთაზე ყოფნა“ (ან, გნებავთ, აღმოსავლეთის და დასავლეთის) პოლიტიკურ-კულტურული ინდიკატორების კომპლექსია და მოძრავია. XIX საუკუნეში და XX-ს დასაწყისში ის საქართველოსთვის ადეკვატური აღწერა იყო, მანამდე კი, ახლა რომ ევროპის ცენტრალურ ნაწილს რომ უწოდენენ, იმ ქვეყნების შესაბამისი.
3. ამჯერად ის აზერბაიჯანის აღწერაა და მოსალოდნელია, რომ რამდენიმე ხანში ისევ გაიწიოს აღმოსავლეთისაკენ. ის იყო ამ თეორიის ხორცშესხმას შევუდექი, ნაციონალ-სოციალისტების მხარდამჭერი ერთი ფილოსოფოსის რჩევა / წესი გამახსენდა, რომ ყველაზე მეტი კითხვა იმის მიმართ უნდა დაისვას, რაც ზედაპირზეა და ვიცით, რომ თავისთავად ცხადია.
4. პირველი კითხვა სწორედ ამ აღწერის, როგორც ევროპისა და აზიის, თუ ევროპული და აზიური კულტურების და ცხოვრების წესების გადაკვეთის მიმართ გამიჩნდა: თუ ეს აღწერა შუა საუკუნეებშიც რელევანტური იყო საქართველოსათვის, ვინმეს – უცხოელ მოგზაურს, ან საქართველოს მკვიდრს მაინც – უნდა გამოეყენებინა.

5. ჩემმა ხანგძრლივმა ძიებამ საინტერესო შედეგი გამოიღო: არცერთ უცხოელ მოგზაურს, არცერთ ქართველ ინტელექტუალს, არც შუა საუკუნეებში და არც მერე, XIX საუკუნის ბოლომდე, საქართველოსო მსგავსად არავის აღუწერია: არც შარდენს, არც კასტელს, არც ლამბერტს, არც დე გრაი დე ფუას, არც ავიტაბლეს, არც მონპერეს, არც გიულდენშტედტს, არც მარკო პოლოს და, ბოლოს და ბოლოს, არც ალექსანდრე დიუმას. მოკლედ, არცერთი უცხოელი მოგზაურის თვალში, რომელიც ადრეული შუა საუკენეებიდან ახალ დრომდე საქართველოში მოგზაურობდა, არც საქართველო და არც მისი რომელიმე კუთხე არ აღუწერია „ევროპისა და აზიის გადაკვეთის" გამოყენებით.

6. მაგრამ ხომ შეიძლება ეს აღწერა ყოფილიყო არა მოგზაურების, არამედ, ევროპელი, არამოგზაური ინტელექტუალების მიერ გამოყენებული? იმ ადამიანების, რომლებიც გეოგრაფიით იყვნენ დაინტერესებული და მოგზაურების ჩანაწერებით და მათ მიერ შედგენილ რუკებით აზროვნებდნენ? ამ მიმართულებითაც იგივე შედეგი მივიღე: მაგალითად, იმანუელ კანტი, რომელიც კიონიქსბერგის უნივერსიტეტში ფიზიკურ გეოგრაფიაში კითხულობდა ლექციებს, საქართველოს შესახებ წერს ქვეთავში, რომელსაც „თურქეთის აზია" (ანუ, ჩვენთვის უფრო ნაცნობი „წინა აზია") ჰქვია. ასე რომ, თუკი ვლაპარაკობთ წარმოასახვით საქართველოზე, როგორი იყო ის შუა საუკუნეებში და ახალი დროის დასაწყისში ევროპელებისა და ქართველების თვალში, ის არანიარად არ იყო ევროპისა და აზიის გადაკვეთა და არც ამ გადაკვეთაზე წარმოშობილი ცხოვრების წესი და სახელმწიფო. რა თქმა უნდა, ჯერ კიდევ ადრეული შუა საუკუნეებიდან ქართული სახელმწიფოს იდეოლოგია მეტყველებდა საკუთარ თავზე, როგორც კარიბჭეზე და ქრისტიანობის ბოლო საყრდენზე აღმოსავლეთის მიმართულებით. მაგრამ, დამეთანხმებით, „საყრდენ-კარიბჭიდან" „გადაკვეთაზე წარმოშობილამდე" საკმაოდ რთული გზაა, სპეკულაციებით და არადამაჯერებლობით აღსავსე.

7. ევროპელებისათვის საქართველო შუა საუკუნეებსა და შემდგომ პერიოდშიც იყო აღმოსავლეთი, ან, უფრო ხშირად – წინა აზია. ეს არ არის გასაკვირი: შუა საუკუნეების ევროპის რუკები უცნაურად ემთხვევა ცივი ომის დროინდელ ცენტრალური ევროპის რუკას და არ შეიცავს უნგრულ, სერბულ და პოლონურ ტერიტორიებს. ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ გერმანელი ინტელექტუალები გერმანიის, როგორც ევროპისა და აზიის გადაკვეთაზე მყოფი სახელმწიფოს, შესახებ სვამდნენ კითხვას, ევროპას მიეკუთვნება თუ აზიას, აქედან გამომდინარე, პოლიტიკურ შედეგებზე საუბრობდნენ.

8. ბუნებრივია, ამის შემდეგ მართებული იქნება ვიკითხოთ, როდის წარმოიშვა საქართველოს, როგორც აღმოსავლეთისა და დასავლეთის, ანდა – ევროპისა და აზიის [კულტურების] გზის გასაყარზე /გადაკვეთაზე მდგომის აღწერა? ზემოთ თქმულის გათვალისწინებით პასუხის სამი ვერსია შეიძლება არსებობდეს:

1. ეს აღწერა შეიმუშავეს ქართველმა ინტელექტუალებმა XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისში, განსაკუთრებით – დამოუკიდებლობის მოკლე (1917-1921) პერიოდში. ისინი მიზნად ისახავდნენ ძლიერი სახელმწიფო-ერის იდენტობის შექმნას;
2. ეს აღწერა შემოიღეს საბჭოთა კავშირში, როგორც საბჭოთა ხელისუფლების პროექტის ნაწილი, რომლიც ამტკიცებდა საბჭოთა კავშირის განსაკუთრებულობას და გამორჩეულობას ყველასა და ყველაფრისგან;
3. ეს აღწერა წარმოიშვა საბჭოთა საქართველოში, 70-იან წლებში, თანამედროვე ქართული ეროვნული იდენტობის შექმნის პროცესში.

განვიხილოთ სამივე ვერსია:

1. 1917-23 წლის ვერსია:

ქართველ ინტელექტუალებს შორის კამათი ქართული იდენტობის შესახებ საქართველოში XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისში დაიწყო. ის ემთხვევა რუსეთის იმპერიის შიდაპოლიტიკურ და საგარეო დასუსტებას. კამათის ძირითადი შინაარსი საქართველოს, როგორც კონკრეტული კულტურისა და ცნობიერების მატარებელი ხალხის ერთობის მიკუთვნებლობის შესახებ იყო. ეს გასაგებიცაა: რუსეთის დასუსტებამდე და მისი დაშლის საფრთხის რეალურად ქცევამდე რუსეთისადმი პოლიტიკური და კულტურული კუთვნილება ეჭვს არ იწვევდა. მას შემდეგ, რაც რუსეთის იმპერიამ რღვევა დაიწყო, ქართველმა მოაზროვნეებმა ლოგიკურად დასვეს კითხვა, თუ მომავალში ვის კუთვნილებად უნდა წარმოედგინათ საკუთარი თავი და ქვეყანა.

ისიც უნდა ითქვას, რომ ეს კამათი უფრო საქართველოს მომავალის, განვითარების გზის შესახებ მიმდინარეობდა, ვიდრე იმის შესახებ, თუ წარსულში რანი იყვნენ და დღეს რას წარმოადგენენ ქართველები. ამ დისკუსიაში მთავარი კითხვა იყო მომავალი განვითარების მიმართულების შესახებ: საით უნდა წასულიყო საქართველო – ევროპისაკენ თუ აზიისაკენ. ევროპის გზის „ლიდერი“ გერონტი ქიქოძე იყო, ხოლო აზიის – ვახტანგ კოტეტიშვილი. ძალიან ცოტა (მათ შორის გრიგოლ რობაქიძეც) აღწერდა საქართველოს, როგორც კულტურების გადაკვეთას, ამ გადაკვეთაზე მდგომს და ცდილობდა ამით საქართველოს განსაკუთრებულობის დასაბუთებას (იხ. „ევროპა თუ აზია“. გამოცემლობა „ლიტერატურის მატიანე“. თბილისი 1997). ვფიქრობ, ამ დროს „გადაკვეთაზე დგომა“ იმიტომაც არ იყო პოპულარული იდეა, რომ საკამათო საკითხი მეტად პრაგმატული ჩანდა: რუსეთის იმპერია ქრებოდა და საქართველოს სჭირდებოდა იდენტობის ახალი საყრდენი. შემდეგ, როდესაც რუსეთის იმპერია მართლაც დაიშალა, საჭირო იყო ახალი ადგილის პოვნა თანამედროვე სამყაროში, რომელიც მომავალი იდენტობის ამოსავალ წერტილად იქცეოდა. „გადაკვეთაზე დგომა“ კი სულ მცირე – მომავლის გაურკვეევლობას ნიშნავდა და მუდმივ რყევას ორ სამყაროს შორის – და ამავე დროს – ზედმეტად იყო წარსულსა და წარმოშობაზე ორიენტირებული, პრაგმატულად ვერ პასუხობდა კონკრეტულ კითხვას კონკრეტული მომავლის შესახებ. მაშინ, როდესაც ევროპისა და აზიის მიმართულებების მომხრეებს პრაგმატული პასუხებიც ჰქონდათ და მომავლის მეტ-ნაკლებად ჩამოყალიბებული ხედვაც.

2. საბჭოთა კავშირის განსაკუთრებულობის თეორიის ვერსია:

საბჭოთა კავშირის განსაკუთრებულობის თეორია ძირითადათ შეიქმნა სტალინის დროს და მისი მხარდაჭერით. ამ თეორიის მნიშვნელოვანი ნაწილი იყო ქართული რენესანსის თეორია, რომლის მიხედვითაც ევროპული რენესანსი საქართველოში დაიწყო.

არანაკლები მნიშვნელობა საბჭოთა განსაკუთრებულობის თეორიაში ენიჭებოდა „ევრაზიისტვოს“, რომელიც აღწერდა რუსეთს, როგორც ორარსიან ქვეყანას – სადაც ევროპა და აზია ერთიანდებოდა. ეს ერთიანობა კი ორივე მხარეზე ბატონობის ლეგიტიმაცია იყო. ეს თეორია XIX საუკუნეში შეიქმნა რუსი ნაციონალისტების მიერ და აქტიურად გამოიყენებოდა საბჭოთა იდეოლოგიაში.

თუმცა, „გადაკვეთაზე მყოფობა“ არცერთ – არც რენესანსისა და არც „ევრაზიისტვოს“ – თეორიაში არ იყო გამოყენებული. მე ამის კვალი დიდი საბჭოთა ენციკლოპედიის ვერცერთ გამოცემაში (სამი გამოცემა – 30-იან, 50-იან და 70-იან წლებში) ვერ ვიპოვე.

საქართველოში, გასაბჭოებამდე და გასაბჭოების შემდეგაც, მხოლოდ ორიოდე ქართველი ინტელექტუალი (მაგ:, ნიკოლო მიწიშვილი, აკაკი პაპავა) ცდილობდა „ევრაზიისტვო“ საქართველოს აღწერაში გამოეყენებინა, მაგრამ, როგორც ჩანს, მათ ვერც ამის ადეკვატური გამოყენება და ვერც მიმდევრების პოვნა ვერ მოახერხეს.

3. წინა საუკუნის 70-იან წლებში საქართველოში წარმოშობის ვერსია:

გასული საუკუნის 70-იან წლებში საბჭოთა კავშირის რეპრესიული და იდეოლოგიური მექანიზების მუშაობა მთელი რიგი შიდა თუ გარე ფაქტორების მუშაობის გამო შესუსტდა. ამან კი საშუალება მისცა ქართველ საბჭოთა ინტელიგენციას დაეწყო ფიქრი ქართულ კულტურულ იდენტობაზე (წარსულზე ორიენტირებით) და ეს სასკოლო წიგნებსა და საუნივერსიტეტო ლექციებში აესახა. მხოლოდ ამ დროიდან ხდება „გადაკვეთისა“ და „გზისგსაყარის“ თეორია დომინანტური საქართველოს აღწერებში. ამას მნიშვნელოვნად ხელი შეუწყო გრიგოლ რობაქიძის თავიდან აღმოჩენამ ქართველი მკითხველებისთვის: ამ დროისათვის რობაქიძის ნაწერები (რომელთა ღერძიც „გადაკვეთის“, „გზისგასაყარის“ – „ორი დაპირისპირებულის (ევროპის და აზიის) აქ შეერთების“ თეორია იყო) აქტიურად გავრცელდა ქართულ საზოგადოებაში ე.წ. „სამიზდატის“ მეშვეობით. გრიგოლ რობაქიძე უპირობოდ აიქვეს ძალიან მნიშვნელოვან ევროპელი მწერლად, და შესაბამისად, ერთ-ერთი (თუ ყველაზე უფრო არა) საუკეთესო ქართველ მწერლად. ამიტომ, მისი ერთ დროს მარგინალური თეორია, „გზისგასაყარის/გზაჯვარედინის“ შესახებ ქართველი საბჭოთა ინტელიგენციის მიერ (ძალიან მცირე გამონაკლისებით), ასევე უპირობოდ იქნა მიღებული, როგორც საქართველოს „სულის“ ერთადერთი ჭეშმარიტი აღწერა. ეს აღწერა იმდენად გავცელდა, რომ უკრიტიკოდ შეაღწია ქართველოლოგებშიც კი. შესაბამისად, ამ იდეამ, რომელიც ახალი კულტურული ნაციონალიზმის ნაწილი გახდა და ქართველების განსაკუთრებულობას დაედო საფუძვლად: – ის, რომ საქართველო ევროპისა და აზიის

ადაკვეთის შედეგად წარმოიშვა – ან ზოგი, რადიკალური ვერსიით – ეს ის ადგილია, რომელიც საფუძვლად უდევს ორივეს – ევროპასაც და აზიასაც. ამ თეორიამ ძალიან მალე მოიპოვა პოპულარობა და ცხადი გახდა. შედეგად, საქართველოს ლეგიტიმური კულტურული აღწერა ჩამოყალიბდა, როგორც ევროპისა და აზიის გზისგასაყარზე წარმოქმნილი და ამიტომ – განსაკუთრებული, მნიშვნელოვანი და ა.შ. შედეგად, დღემდე, კითხვა „საქართველო – ევროპა თუ აზია?“ რიტორიკულია და პასუხი ცხადია – არც ევროპა და არც აზია, არამედ ორივე ერთად და კიდევ რაღაც…

პოსტ-საბჭოთა განვითარება

90-იანი წლების შემდეგ ქართული ეროვნული იდენტობის ამ ნაწილმა – „ევროპისა და აზიის გზისგასაყარზე და გადაკვეთაზე ყოფნამ“ – ნელ-ნელა გეოპოლიტიკურ ფაქტორად დაიწყო გარდაქმნა. ამ გარდაქმნაში მთავარი როლი ედუარდ შევარდნაძემ შეასრულა: მის წინაშე საკმაოდ რთული ამოცანა იყო – საკუთარი პოლიტიკური სტაბილურობის უზრუნველსაყოფად ერთსა და იმავე დროს მას უნდა დაემყარებინა კარგი (ან ნორმალური) ურთიერთობა რუსეთთან, აშშ-სთან, ქართულ საზოგადოებასთან (ყოფილ საბჭოთა ინტელიგენციასთან მაინც). ეს ყველაფერი უნდა ეკეთებინა ისე, რომ რომელიმე მხარეს არ გადახრილიყო.

არ ვიცი, რამდენად აცნობიერებდა ედუარდ შევარდნაძე მის მიერ ქართული იდენტურობის კონსტრქუციის გამოყენებას (რომელიც სხვათა შორის, მისი კომპარტიის ცენტრალური მდივნობის პერიოდში შეიქმნა), მაგრამ ფაქტია, რომ სწორედ მისი მითითებებით მოხდა საქართველოს, როგორც აბრეშუმის გზისა (წარსული) და ნავთობსადენების გზის (მომავალი) პრეზენტაცია მსოფლიო პოლიტიკურ სცენაზე.

ამ პრეზენტაციის საშუალებით საქართველო მისაღები გახადა მსოფლიო პოლიტიკისათვის, და შევარდნაძის მოკლევადიანი მიზანი – უზრუნველეყო საკუთარი პოლიტიკური სტაბილურობა – თუნდაც ტერიტორიების დაკარგვის ხარჯზე – შეასრულა. შევარდნაძის პროექტი – ექცია გზისგასაყარი-დერეფანი-გზაჯვარედინი გეოპოლიტიკურ მუდმივად – წარმატებით განხორციელდა. გზისგასაყარის, გზაჯვარედინის იდენტობა უზრუნველყოფს მოქალაქეების თვითწარმოდგენას და წარმოდგენას საკუთარი ქვეყნის შესახებ, როგორც არცერთ მხარეზე (არც ევროპა, და არც აზია) მდგარის, მაგრამ რაღაც ძალიან მნიშვნელოვანის. ამას შევარდნაძემ გეოპოლიტიკური აღწერაც დაუმატა, რომელიც იდენტობის ამ შინაარსის ეკონომიკურ-პოლიტიკურ განზომილებას უზრუნველყოფდა. შედეგად, შევარდნაძემ, როგორც ამ სქემის ავტორმა და ერთადერთმა მცოდნემ, თუ როგორ უნდა უზრუნველყო მისი წარმატებულობა, საკუთარი პოლიტიკური სტაბილურობა კარგა ხნით გაინაღდა.

მართალია, ამ იდენტობა-გეოპოლიტიკურმა კონტრუქციამ საქართველოს ტერიტორიებიც დააკარგვინა და დემოკრატიისა და ეკონომიკური განვითარების გზიდანაც ააცდინა, მაგრამ ეს ქართველი ინტელექტუალებისათვის შეუმჩნეველი დარჩა. პირიქით – შევარდნაძის „გეგმა“ ზუსტად „ჩაჯდა“ 70-იან წლებში შექმნილ ეროვნული იდენტობის შინაარსში, და ამის შემდეგ საქართველოს პოლიტიკური მიდრეკილება დერეფნების, მილსადენებისა და გზისგასაყარებისაკენ შეუქცევადად იქცა.

შევარდნაძემ მოახერხა, რომ იდენტობის კონსტრუქცია გეოპოლიტიკურ მუდმივად ექცია და ამით კიდევ უფრო გაამყარა 70-80-იან წლებში შექმნილი გზისგასაყარის, გზებისა და კულტურების გადაკვეთის ეროვნული იდენტურობის შინაარსი.

შევარდნაძის შემდეგ

მიუხედავად იმისა, რომ 2003 წლის შემდეგ ახალმა ადმინისტრაციამ დაიწყო შევარდნაძის მემკვიდრეობის უარყოფა/ცვლილება, მისი მთავარი მემკვიდრეობა შეუმჩნეველი დარჩა: გზის გადაკვეთის, კულტურათა გადაკვეთის, გზაჯვარედინისა და კულტურათჯვარედინის თეორია, როგორც ქართული იდენტურობისა და საქართველოს გეოპოლიტიკური ღერძი. ეს შეუმჩნევლობა ბუნებრივიცაა, რადგან ახლანდელი ხელისუფლების პოლიტიკოსები სწორედ იმ სკოლაში დადიოდნენ, სადაც ქართულმა საბჭოთა ინტელიგენციამ და ქართველმა მასწავლებლებმა ამ იდენტობაზე დამყარებული განათლების შეტანა დაიწყო. ამიტომ, ბუნებრივია, რომ ისინი აღიქვამენ ამ იდენტობას, როგორც ერთადერთ შესაძლებელს.

ახალმა ხელისუფლებამ მოახერხა შევარდნაძის მემკვიდრეობის ზედაპირზე მყოფი პრობლემებისაგან მნიშვნელოვანწილად განთავისუფლება (კორუფცია, არასისტემური განვითარება და ა.შ.), მაგრამ პოლიტიკური მოქმედების ღერძი ისევ შევარდნაძისეული გეოპოლიტიკური მუდმივი და 80-იანი წლების იდენტობის შინაარსი დარჩა: საქართველოს პრეზენტაცია ადგილად, რომელიც იდეალურია უცხო ბიზნესის განვითარებისათვის იმიტომ, რომ აქ ისეთი ხელისშემწყობი კანონებია, როგორებიც არსად, ისევ იმ იდენტობის კულტივირებაა, რომელიც შევარდნაძის დროს წარმოიქმნა: ისევე, როგორც გაზსადენისა და გზისგასაყარის შემთხვევაში, აქაც ორიენტაცია აღებულია უცხოური ინვესტიციისათვის კარგ პირობებზე. თუკი გაზსადენების შემთხვევაში ეს პირობა გეოგრაფიულია, ახალი ადმინისტრაციის შემთხვევაში ამას საკანონმდებლო ბაზა დაემატა. იმის თქმა, რომ ამ მიდგომას არანაირი შედეგი არ აქვს – შორს არის როგორც საღი აზრისაგან, ასევე საქმის რეალური ვითარებისაგან. ისევე, როგორც შევარდნაძის ბაქო-ჯეიხანის ნავთობსადენის შემთხვევაში, საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესებამაც ეკონომიკური ზრდა გამოიწვია, მაგრამ ეკონომიკური ზრდის ეს ორივე მეთოდი მოკლევადიანია – ორიენტირებულია დროის მოკლე მონაკვეთში ეკონომიკური ზრდის მიღებაზე: ორივე შემთხვევაში აქცენტი ამოწურვად და ფარდობით (პოლიტიკურად და ფიზიკურად) რესურსებზეა გაკეთებული.

მე არ ვამბობ, რომ რომელიმე ამ მეთოდზე უარი უნდა ითქვას, მაგრამ ეჭვი მეპარება ამ ორი მიმართულების ღერძად დასახვაში. როგორც გაზსადენი, ასევე საინვესტიციო გარემო კარგია როგორც პოლიტიკური (ეს უკვე ვნახეთ) იარაღი და მოკლევადიან პერსპექტივაში ეკონომიკის ზრდის მეთოდი, მაგრამ მგონია, რომ თანამედროვე სამყაროში ეროვნული იდენტობა უფრო ცოდნის და უნარების განვითარებაზე უნდა იყოს დამყარებული, ვიდრე გარედან პოლიტიკური და ეკონომიკური ჩადინებების მოლოდინზე. არადა, ცოდნისა და უნარების განვითარებაზე ქვეყნის ორიენტირებას, როგორც ჩანს, ჩვენი ეროვნული იდენტობა და გეოპოლიტიკური წარმოსახვა ეწინააღმდეგება.

ამიტომ ვფიქრობ, რომ დღეს ჩვენი მთავარი პრობლემა ჩვენი ეროვნული იდენტობის შინაარსისა და აგებულების განსაზღვრაა. თუკი დავრჩებით მასპინძლის, გზირის, გზის მომვლელის სქემაში, საეჭვოა, რომ რაიმე ღირსეული განვითარების მოლოდინი უნდა გვქონდეს. არადა – ეს სამწუხარო იქნება იმის გათვალისწინებით, რომ ეს იდენტობა, რომელიც ჩვენს აწმყოსა და მომავალს განსაზღვრავს, და რომლის ტყვეობაშიც ვართ, არა უხსოვარ დროს, არამედ სულ რაღაც 20-30 წლის წინათ ჩამოგვიყალიბდა, თანაც იმდროინდელი საბჭოთა ხელსუფლების აქტიური მონაწილეობით.

იმდენად, რამდენადაც ქართული სახელმწიფოს თანამედროვე პროფილი ახლა ყალიბდება, სახელმწიფოს ქმედებებს მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა კიდევ შეუძლია ეროვნული იდენტობის რეკონსტრუირებაზე. ამ ბოლო დრომდე ჩვენი ეკონომიკური და საგანმანათლებლო პოლიტიკა კვლავ ძველი იდენტობის ფარგლებში ტრიალებდა. არა მარტო უცხოური ინვესტიციებისათვის ხელსაყრელი საინვესტიციო გარემოს შექმნა, არამედ საზღვარგარეთ სწავლებაზეც მკაფიო ბიუჯეტური აქცენტის გაკეთებაც ისევ და ისევ მასპინძლობის, მოლოდინისა და გარემოს შექმნის, გზისგასაყარზე ყოფნის იდენტობის კონსტრუქციაში ჯდება. თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ ამ ბოლო დროს ხელისუფლების საბიუჯეტო აქცენტის ცვლილება, მისი დაინტერესება შიდა ეკონომიკური პროცესებითა და ცოდნის განვითარებით იმედს იძლევა, რომ საბოლოოდ მივალთ იმ პოზიციამდე, რომ ეკონომიკის გრძელვადიანი განვითარების პირობა, თუნდაც საუკეთესო და მდგრადი საინვესტიციო გარემო, არის განათლებული მოქალაქეები და მათი ცოდნაზე დამყარებული უნარები. და იმისათვის, რომ ეს გარემო შეიქმნას რამდენიმე წლის შემდეგ, ამაზე დღეს უნდა დავიწყოთ ზრუნვა. ეს კი აუცილებლად მოახდენს ჩვენი იდენტობის შინაარსზე შესაბამის გავლენას და თავს დავაღწევთ იმ კომიკურ, ძალიან შემთხვევით ფაქტორებზე დამყარებულ იდენტობას, რომლის ტყვეობაშიც ვართ.

გამოქვეყნებულია: burusi | 24/06/2010
https://burusi.wordpress.com/2010/06/24/gigi-tevzadze-6/.

2 **წაიკითხეთ ტექსტი და უპასუხეთ შეკითხვებს:**

ა. რა თეზისის დამტკიცება სურს ავტორს?

ბ. რომელი ტრადიციული შეხედულება მოჰყავს ავტორს?

გ. რომელი არგუმენტებით აბათილებს ავტორი მოცემული შეხედულების ტრადიციულობას?

დ. როგორია ავტორის პოზიცია „აბრეშუმის გზასთან“ დაკავშირებით?

3 მოკლედ შეაჯამეთ ესეში ნახსენები 5 სხვადასხვა ისტორიული ეტაპი და საქართველოს, როგორც „გზაგასაყარის“ ცნების განვითარების შესაძლო მიზეზები და განმაპირობებელი ფაქტორები:

4 ა. გაეცანით ესეს შემადგენელ ნაწილებს. იპოვეთ, რა ფუნქცია აქვს თითოეულ ნაწილს და მიუსადაგეთ ისრით შესაბამისი ფრაზა:

ესეს ძირითადი ნაწილები	კონკრეტული შემადგენელი კომპონენტები
შესავალი	მთავარი სათქმელი. ……
	ძირითადი აზრის გადმოცემა თეზისის სახით. …..
ძირითადი ნაწილი/არგუმენტირება	შეკითხვის დასმა, რომლის შესახებაც იქნება საუბარი ესეში. ……
	კონტრარგუმენტების უარყოფა ფაქტებით, ციტატებით და ა.შ. ….
	თეზისის გამეორება, საკუთარი მოსაზრებების შეჯამება. ….
დასკვნა	ესეს დაწერის მიზეზის გამოკვეთა. ….
	განსახილველი საკითხის მკითხველისათვის გაცნობა. ….

ბ. 1-ლი დავალების ტექსტში იპოვეთ ცხრილში მოცემული მონაკვეთები (ძირითადი ნაწილები და შემადგენელი კომპონენტები) და მიუწერეთ სტრიქონის ნომრები თითოეულ ნაწილს.

5 დაიყავით სამეულებად და შეადგინეთ მოცემული ესეს გეგმა მე-4 დავალებაში მოცემული პუნქტების გათვალისწინებით:

ბლოკი 4

საქართველო და ევროკავშირი

1 დაიყავით სამეულებად და შეაგროვეთ ჯგუფში შემდეგი ინფორმაცია:
რას ნიშნავს ვიზალიბერალიზაცია?
რომელი ქვეყნებისთვის შეიძლება იყოს მნიშვნელოვანი ვიზალიბერალიზაცია?
რატომ შეიძლება იყოს მნიშვნელოვანი ზოგიერთი ქვეყნისთვის ვიზალიბერალიზაცია?

2 ნახეთ ვიდეოჩანაწერი (6.5) და ჩაინიშნეთ ინფორმაცია შემდეგ პუნქტებთან დაკავშირებით:

ა. რა მნიშვნელობა აქვს ვიზალიბერალიზაციას საქართველოსთვის?

ბ. როგორია მოსახელობის აზრი ვიზალიბერალიზაციასთან დაკავშირებით?

გ. რას ნიშნავს „რბილი ძალა“?

3 ვიდეოჩანაწერის (6.5) მიხედვით გაარკვიეთ, რა სტერეოტიპები არის გავრცელებული საქართველოში ევროპისა და ევროკავშირის შესახებ?

4 რომელ კონკრეტულ სტრატეგიებსა და ხერხებს მიმართავს დახმარების პროგრამები ქართული საწარმოების ევროსტანდარტებზე გადასაყვანად?

5 შეაჯამეთ მიღებული ინფორმაცია, დაიყავით ორ ჯგუფად და გამართეთ დისკუსია საქართველოსთვის ვიზალიბერალიზაციის მომხრეთა და მოწინააღმდეგეთა შორის. გამოიყენეთ არსებული სტერეოტიპები, დაამატეთ თქვენი შეხედულებისამებრ შესაძლებელი არგუმენტები. გააბათილეთ მოწინააღმდეგეთა არგუმენტები.

www.geofl.ge